

გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“ № 5.

K75025  
2

პირ. ნინიძე და ალ. ცისკარიძე.

# სამართლის მეცნიერება

სამკვლევო სასწავლებლის კურსი.



თბილისი.  
ქალაქთა კავშირის სტამბა.  
1920


პირ. ნინიძე და ალ. ცისკარიძე.

# საბართლოს მესწიერებ

სამუდამო სასწავლებლის კურსი.



თბილისი.  
კალაქთა კავშირის სტამბა.  
1920



K 75D25  
2

კ-1150

კ. 2020-1131

# შასავალი.

ადამიანი და საზოგადოება.

ყოველი ადამიანი აუცილებლათ ეკუთვნის რომელსამე წრეს, საზოგადოებას. ადამიანი წარმოუდგენელია საზოგადოების გარეშე.

სინამდვილეში არ არსებობენ რობინზონები, მოწყვეტილი საზოგადოებას და გარიყული უდაბურ კუნძულებზე, რომელთაც ადამიანთა ყრიაშული არც კი ხედებათ. მაგრამ სასტიკ ბედს რომ მოეძულებია და დასახელებულ უბედურ გმირის მდგომარეობაში ჩაეყენებია ადამიანი, მას სევდა და მწუხარება დაღევდა; მისი აზრი და გრძნობა მუდამ გმირის ცდაში იქნებოდა, რომ როგორმე დაბრუნებულიყო ჩვეულ სფეროში, ადამიანთა საზოგადოებაში.

ადამიანი მონობას უფრო ადვილათ შეურიგდებოდა, ვიდრე მარტოობასო, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. მართლაც, ყოველდღიური დაკვირვება გვარწმუნებს ჩვენ ამაში. ცნობილია, რომ მარტოდ-მარტო საკანში გამომწყვდეულ ტუსაღებს ეშლებათ ნერვები, გიჟდებიან და ხშირად თვითმკვლელობასაც კი მიმართავენ, რომ განთავისუფლდნენ აუტანელ ტანჯვისაგან.

თავის მსგავს არსებისაკენ ლტოლვა ადამიანში უძლიერესია. ცხადია, ეს ქონდა მხედველობაში ძველი საბერძნეთის ბრძენს არისტოტელს, როდესაც ამბობდა: „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“.

## საზოგადოებრივი და ადამიანის სულიერი და მატერიალური კულტურა.

საზოგადოებრივი კულტურის პირობაა ადამიანის კეთილდღეობისათვის. საზოგადოების გარეშე ის, უპირველეს ყოვლისა, დამარცხდებოდა არსებობისათვის ბრძოლაში: თავის დაცვა, თავშესაფარის აშენება, ნადირობა—ყველა ეს მოითხოვს ადამიანთა ძალების შეერთებას; უამისოთ შეუძლებელია რაიმე წარმატება, რაიმე პროგრესი.

საზოგადოებრივი კულტურა, მაშინ არც ენა იქნებოდა, არც ლიტერატურა, არც მეცნიერება. საზოგადოების გარეშე ადამიანი ბუნების მონა იქნებოდა და არა მეფე, როგორც ის დღესაა. მხოლოდ შეერთებულ ძალას, მრავალთა თანამშრომლობას შეეძლო შეექმნა ის აუარებელი სიმდიდრე, რომლის მეუფეც დღეს არის კაცობრიობა. ფაბრიკები, ქარხნები, რკინის გზები, გვირაბები, ტელეგრაფები, ჰაეროპლანები—ყველაფერი ეს თანაცხოვრობისა და შეერთებული ძალის ნაყოფია.

ერთი სიტყვით, საზოგადოების გარეშე ადამიანი ვერ გამოიკვებავდა თავს, ვერ შეინარჩუნებდა ფიზიკურ არსებობას, ვერ დაახწევდა თავს ველურობას, ვერ განვითარდებოდა სულიერათ, ვერ გაძლიერდებოდა ქონებრივათ.

## ადამიანთა ინტერესების სოლიდარობა, უნთიქტობის ფაქტები.

ადამიანთა ინტერესები გადახლართულია ერთი მეორეში. დროთა მსვლელობაში ადამიანთა შემაერთებელი ძაფები სულ უფრო ძლიერი ხდება. მეორე მხრივ, ადამიანი შორდება ვიწრო წრეს, ის ხდება უფრო ფართო და უფრო მრავალრიცხოვან საზოგადოების წევრი.

რა ქმნის ადამიანთა კავშირსა და მჭიდროდ დამოკიდებულებას? რასაკვირველია მათი ცხოვრების პირობები და მრავალგვარი მოთხოვნილებები: ადამიანებს აქვთ საერთო თუ მსგა-

ესი მოთხოვნები და ისინიც ხან შეგნებულათ, ხან შეუგნებლათ, ინსტიტუტურათ ერთდებიან საერთო საქმის მოსაგვარებლათ და გასაკეთებლათ. ასეთია მაგალითად, მტრისაგან თავის დაცვის საქმე. ან კიდევ ადამიანთა შორის არსებობს შრომის განაწილება და ისინი საჭიროებენ გაცვლა-გამოცვლასა და ურთიერთ სამსახურს.

ამ რიგათ გამოდის, რომ ადამიანებს აკავშირებს ინტერესთა თანხმობა, სოლიდარობა.

ადამიანთა ისტორიის პირველ საფეხურზე ეს ინტერესთა სოლიდარობა მხოლოდ ვიწრო წრეში იჩენს თავს. დროთა განმავლობაში კი ის ვრცელდება და თავის ქსელში აბამს უზარმაზარ სახელმწიფოებსა და მთელ მსოფლიოსაც. მართლაც, დიდი ცოდნა და შორსმჭვრეტელობა არ არის საჭირო, რომ დავრწმუნდეთ ამაში: თუ ამერიკაში ან ინდოეთში მოსავალი არ მოვიდა, ევროპა დაიშმევა. პანიკა ლონდონის ბირჟაზე თავზარს დასცემს ამერიკელ ბანკირს; ამერიკელი მუშა დაინტერესებულია, რომ ჩინეთში მუშას კარგი ხელფასი ეძლეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვიერი ჩინელები გადავლენ ამერიკაში, კონკურენციას გუაწევენ და დასცემენ ამერიკელი მუშის ხელფასს.

„დადგება თუ არა დღე—ამბობს ერთი ფრანგი პროფესორი, როდესაც ადამიანთა სოლიდარობა შთანთქავს ადგილობრივ, ოლქობრივ, ნაციონალურ სოლიდარობას და ადამიანი წარმოიდგენს თავს, როგორც მსოფლიოს მოქალაქე? მშვენიერი ოცნებაა ეს, თუ მომავალი სინამდვილე?“ .. ძნელია თქმა. ვინ იცის რა ფორმებში ჩამოყალიბდება მომავალში ადამიანთა შეგნება და დამოკიდებულება. ჯერ-ჯერობით კი კაცობრიობა დანაწილებულია მრავალ ჯგუფებათ და კავშირებათ. ფორმები ადამიანთა კავშირებისა დროთა განმავლობაში იცვლებოდა და კაცობრიობის განვითარების საფეხურებზე ხან ერთს ფორმას ქონდა უალრესი მნიშვნელობა, ხან მეორეს. ამ კავშირთა შორის ყველაზე უფრო პრიმიტიულათ აჯახი უნდა ჩაითვალოს

დამოკიდებულებათა განვითარება და გართულება ქმნის უფრო განვითარებულ, დროსა და გარემოების შესაფერ ფორმებს. ასეთია გვარა, (ნათესავ ოჯახთა კავშირი), თქმა (კავშირი ნათესავ გვართა), დაბოლოს — სახელმწიფო — ეს ჩვენი დროის უმაღლესი და უურთულესი ფორმა თანაცხოვრობისა.

სახელმწიფო ეწოდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე მობინადრე, თავისუფალი ხალხის კავშირს, რომელსაც შეუქმნია ხელისუფლება (მთავრობა) კავშირში მშვიდობიანი წესრიგის დასამყარებლათ.

სახელმწიფო, საზოგადოთ, მრავალრიცხოვანი კავშირია, მაგრამ ამ მხრივ არაერთი ნორმა არ არსებობს. არც ტერიტორიის სივრცეს აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა; რუსეთის იმპერიის მკვიდრთა რიცხვი 150 მილიონს აღემატებოდა, მისი ტერიტორიის სივრცე დედამიწის  $\frac{1}{6}$  შეადგენდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი კი 3 მილიონს არ აღემატება, მისი ტერიტორია ხომ სულ უმნიშვნელოა რუსეთის ტერიტორიასთან შედარებით, მაგრამ ერთიცა და მეორეც სახელმწიფოს წარმოადგენენ.

ზემოაღნიშნულიდან სჩანს, რომ სახელმწიფოს სამი აუცილებელი ელემენტი ახასიათებს: ტერიტორია, მოსახლეობა და სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება.

აღსანიშნავია, რომ უფრო მაღალი საფეხურის საზოგადოებრივი კავშირის არსებობა არ მოითხოვს უფრო პრიმიტიული ფორმის აუცილებლათ გაუქმებას, მაგრამ ითვისებს უკანასკნელის ფუნქციებს. მაგალითად ოჯახი, ეს პრიმიტიული კავშირი, დარჩა გვარშიც, თემშიც, სახელმწიფოშიც, თუმცა მისი ფუნქცია დღეს ისეთი აღარაა, როგორც წინეთ.

ჩამოთვლილ კავშირებს ერთი მეტად საყურადღებო თვისება აქვს: ისინი არიან იძულებითი კავშირები, ე. ი. ისინი ამყარებენ ერთგვარ წესწყობილებას და თუ კავშირის რომელიმე წევრი დადგენილ წესრიგს არ ემორჩილება, იმას ძალით იმორჩილებს კავშირი.

## საზოგადოება და წესრიგი.

ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს ან თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, თუ მას არ აქვს ერთნაირი წესრიგი, თუ მისი წევრები ვერ რიგდებიან ერთმანეთში, ვერ მუშაობენ შეთანხმებულადა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოების წევრებსა და ჯგუფებს აქვთ ერთგვარი მოთხოვნილებები, საერთო მიზნები, რომ არსებობს ინტერესთა სოლიდარობა. მაგრამ შესაძლებელია ეს ყველას შეგნებული არ ქონდეს. ამას გარდა ადამიანში დიდათაა განვითარებული ეგოიზმი. ის თავის მოქმედებაში ყოველთვის საზოგადოების ინტერესით როდი ხელმძღვანელობს. მას ამოძრავებს პირადი ინტერესებიც, პირადი კეთილდღეობა. არსებობისათვის ბრძოლის დროს შეიძლება დაიბადოს ინტერესთა წინააღმდეგობა, კონფლიქტი. ასეთ დროს შეიძლება მძლავრმა დაჩაგროს სუსტი, სძლიოს, დააზარალოს, ან სავსებითაც მოსპოს მოპირდაპირე. და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცხოვრებაში ძლიერ ხშირია შეხლა-შემოხლის საბაბი (საკმარისია გავითვალისწინოთ არსებული ეკონომიური უთანასწორობა და ამ ნიადაგზე არსებული კლასთა ბრძოლა), ადვილათ წარმოვიდგენთ, თუ რა ჯოჯობითად გადაიქცეოდა ცხოვრება, რომ ადამიანს ასეთ კონფლიქტების გადასაწყვეტათ და მოსაგვარებლათ ვერ გამოენახა სხვა გზა, გარდა ძალმომრეობისა. მაშინ მშვიდობიანი ცხოვრება, შრომა და თანამშრომლობა შეუძლებელი გახდებოდა. მაშინ გაჩაღდებოდა „ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ“ და საზოგადოებაც დაიქცეოდა.

აქედან ცხადია საჭიროება და აუცილებლობა რაიმე წესრიგის, ძალის, რომელიც გაანელებს კონფლიქტების სიმწვავეს, შეზღუდავს კერძო პირთა და ჯგუფთა თვითნებობასა და ძალმომრეობას, განსაზღვრავს, რის ვაკეთება შეუძლია საზოგადოების წევრს და რა ეკრძალება მას.

ს ა მ რ თ ა ლ ი .

საზოგადოებაში იქმნება ყველასათვის სავალდებულო წესები, რომელმაც უნდა მოაგვაროს ადამიანთა დამოკიდებულება და ძალა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წესრიგი. ეს ძალა დღეს სახელმწიფოს სახით გვევლინება.

ყველა იმ სავალდებულო და იძულებით წესებს, რომელნიც საზღვრავენ ადამიანთა ურთი-ერთ შორის და საზოგადოებასთან დამოკიდებულებას, ეწოდება სამართალი.

ასე, სამართალი არის ყოფაქცევის წესები იმათთვის, ვინც სცხოვრობს საზოგადოებაში, ის გვეუბნება, რის გაკეთება ნებადართულია და რა არის აკრძალული. მისი აღსრულება სავალდებულოა ყველასათვის და არა თვითთულთა, სურვილზეა დამოკიდებული.

სამართლის მიზანია დაცვა წეს-რიგის, უზრუნველყოფა საერთო კეთილდღეობისა და პიროვნების თავისუფლებისა.

ის იძულებითი წესია.

საზოგადოებაში სხვა წესებიცაა მიღებული—ასეთია ზნეობრივი წესები, წესები რიგიანობისა და ზრდილობისა, მაგრამ მათ აღსრულებაში ადამიანი თავისუფალია. პირიქით, ვინც სამართლის ბრძანებას გადავა, მას მოელის განსაზღვრული სასჯელი. უნდა ვიცოდეთ კიდევ, რომ ერთი და იგივე არაა „სამართალი“ და „სიმართლე“, თუმცა სამართლისათვის ბრძოლაში „სიმართლე“ ხდება მებრძოლთა დევიზათ. ეს მცნებანი ენათესავებიან, მაგრამ არ უდრიან ერთმანეთს. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ბევრგან არსებობს ცენზიანი საარჩევნო სისტემა, რომელიც თვით ქრისტესაც, როგორც ღარიბს, უარს ეტყოდა ხმის მიცემის უფლებაზე, მაშინ როდესაც ჩვენი წარმოდგენით სიმართლე მოითხოვს, რომ ყველა გონიერ და კეთილ მოქალაქეს უფლება ჰქონდეს მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში.

მიუხედავად ამისა, იდეალური სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქალაქეთა წარმოდგენას სიმართლეზე.

### სამართალი და უფლება.

ჩვენ ვთქვით, რომ სამართალი არის ყოფაქცევის იძულებითი წესი, სავალდებულო ყველასათვის, ვინც კი სცხოვრობს იმ საზოგადოებაში, რომელმაც ეს სამართალი გამოიმუშავა. სამართალში აღნიშნულია, თუ რაა აკრძალული, ნებადართული, დავალებული. პიროვნებას შეუძლია განახორციელოს, ან მოითხოვოს ის, რაც სამართლით არის დაწესებული.

იმ ნებას, ხელს, რომლითაც სამართლის ძალით აღჭურვილია პიროვნება, ეწოდება უფლება. ასე, სამართალსა და უფლებას შორის მჭიდრო კავშირია. სამართალი უფლების საფუძველია. შეიძლება ვთქვათ, რომ სამართალი არის ობიექტიური უფლება.

სამართალი ლაპარაკობს საერთო დებულებაზე, მაგალითად ასე: დანაშაულის ჩამდენი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს დანაკლისი, მიყენებული პირდაპირ მისი მოქმედებით. აქ ლაპარაკია საერთო დებულებაზე, საზოგადოთ ყველაზე, ვინც უნდა იყოს თავისი უმართლო მოქმედებით ზარალის მიმყენებელი, ან ამ მოქმედებით დაზარალებული.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე კონკრეტიულმა პირმა A—მ, თავისი უმართლო მოქმედებით გადაუწვა სახლი B—ს. უკანასკნელი, ეყრდნობა სამართლის ზემოაღნიშნულ დადგენილებას, უჩივს პირველს ზარალს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკია უფლებაზე, B—ს სუბიექტიურ უფლებაზე.

### იურადიულა დამოკიდებულება.

მოყვანილ მაგალითში B—ს უფლება აქვს მოითხოვოს A—დან ზარალის ანაზღაურება.

A ვალდებულია ზღოს ზარალი.

ისეთ დამოკიდებულებას ორ (ან რამოდენიმე) პირთა შორის, როდესაც ერთს უფლება აქვს მოითხოვოს მეორესაგან რაიმე საგანი, ან განსაზღვრული მოქმედება, და უკანასკნელი

ვალდებულია (სამართლის ძალით) დაემორჩილოს ამ მოთხოვნას, ეწოდება იურიდიული დამოკიდებულება.

### ბუნებრივი სამართალი და დადებითი სამართალი.

სამართალი სავსებით საზოგადოებრივი ცხოვრების ნაყოფია. ის მუდამ იცვლება, ემორჩილება განვითარების კანონს. წესები, რომელნიც მოქმედობენ განსაზღვრულ ეპოქაში, დროს შეუფერებელი და უვარგისნი ხდებიან მეორე ეპოქაში და სხვა პირობებში.

მიუხედავად ამისა წინეთ არსებობდა და დღესაც არ მოქვედარა წარმოდგენა, თითქო არსებობდეს სამართალი, რომელიც არ განიცდის ცვალებადობას, სდგას დროსა და ცხოვრების პირობების გარეშე, სამართალი, ნაყოფი არა ადამიანთა შეგნების და მოქმედებისა, არამედ სამარადისო, სრული და სიმართლის თანაბარი — ბუნებრივი სამართალი. ასეთი სამართლის არსებობა სწამდათ ძველი რომის იურისტებს და საბერძნეთის ფილოსოფოსებს. ცნობილი ფილოსოფოსი სოკრატე ამტკიცებდა, მაგალითად, რომ არსებობს დაუწერელი ღვთაებრივი სამართალიო. მისი აზრით, ადამიანი უნდა ცდილობდეს გაიგოს ეს ღვთაებრივი სამართალი და მას შეუფარდოს თავისი კანონები. შემდეგ საუკუნეებშიაც არ მომკვდარა ასეთი აზრი, ასეთი იყო მე-18 საუკუნეში შკოლა ეგრეთ წოდებულ ბუნებრივი სამართლისა. დასახელებული მწერლები უარყოფდნ ისტორიის მნიშვნელობას და უნდოდნათ შეექმნათ სამართალი, გამოსადგვი ყველა ხალხებისათვის და ყველა დროსთვის.

მიუხედავად ამისა, სხვა და სხვა მწერლებს სხვა და სხვანაირათ ესმოდათ თვისებები ასეთი „ბუნებრივი“ სამართლისა და მუდამ ბუნდოვანი წარმოდგენა ქონდათ მათე.

ჩვენს დროში ასეთი წარმოდგენა სამართალზე დრო მოქმულათ უნდა ჩაითვალოს. ახალმა დრომ გაავლო საზღვარი საკაცობრიო და ღვთაებრივ, თუ ბუნებრივ სამართალს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა დამოკიდებულების გარეშე

არ არსებობს არავითარი სამართალი, არავითარი უფლება. განსაზღვრულ საზოგადოებაში მომქმედ სამართალს ეწოდება დადებითი სამართალი. უკანასკნელი ყალიბდება ყველასათვის ხელმისაწვდომ და გასაგებ ფორმაში.

### სამართლის წყაროები.

სამართალი სხვა და სხვა ფორმით გვევლინება. ამ ფორმებს სამართლის წყაროები ეწოდება. მათგან უმთავრესია ა) ადამიანი და ბ) კანონი (წყარო ეწოდება აგრეთვე ისტორიულ ნაწარმოებს, რომელიც სამართლის შესწავლის საშუალებას გვაძლევს).

#### ა) ადამიანი.

ადამიანი სამართლის ძველი ფორმაა. ის წარმოიშვა მაშინ, როდესაც არ არსებობდა განვითარებული მოქალაქობრივი ცხოვრება, როდესაც ადამიანთა დამოკიდებულება პრიმიტიული იყო, არ იყო სახელმწიფოს სისტემატიური კანონმდებლობა, ნაკლებათ ან სრულებით არ იყო წერა-კითხვა. დღეს კი ის ჩამორჩენილ ქვეყნებში და კუთხეებში დარჩენილა, თუმცა განათლებულ ინგლისშიაც აქვს მას ალავი.

ადამიანს თვით ხალხი ქმნიდა და ამუშავებდა, შემდეგ ის ვრცელდებოდა როგორც წინაპართა წმინდა ანდერძი. ადამიანს ავტორიტეტი და სიმტკიცე იმაზეა დამოკიდებული, რომ ხალხი მას შეეჩვია და მიიჩნია ის, როგორც მართებული. ადამიანი არის სამართალი გამტკიცებელი მისი ხმარებით, ამბობდენ რომაელი იურისტები.

ჯერ კიდევ მრავალი ადამიანი დარჩენილა ჩვენში, უმთავრესად კავკასიელ მთიელთა შორის. სხვათა შორის მათი აღწერილობა მოგვცა ა. ყაზბეგმა თავის ბელეტრისტულ ნაწერებში. ასე აგვიწერს ის, მაგალითად, სისხლის აღების ადათს: მთიელი სისხლით შურს იძიებს მისი ნათესავის, ძმად ნაფიცის, ან მეგობრის მკვლელობაზე, დედაკაცის შეურაცხყოფაზე და სხ.

სისხლს მხოლოდ სისხლი დაჰფარავს: უბატიობა, შეურა-

ცხოვრა მხოლოდ სისხლით განიბანების—ასე ფიქრობს მთიელი, ასეთია სურვილი მისი ღმერთების, ასეთია წმიდა ნება და ანდერძი წინაპართა, რომელთა აჩრდილნიც მუდამ შთამომავალთან არიან და უკარნახებენ მას თავიანთ სურვილს.

თუ რაოდენ განვითარებას აღწევს ადათი, სჩანს შემდეგიდან: ამავე მთიელებში, როგორც მოწმობენ მკვლევარნი (მაგ. მ. მ. კოვალევსკი), სისხლის აღება როგორც ღვთაებრივი წესი, არ წარმოადგენს როგორც ჰგონიათ, აღვირ-წახსნილ ხოცვა-ქლეტას, პირიქით, მას თავისი წესები აქვს, ხშირად მეტად სასტიკიც; შურის ძიებაში მონაწილეობას იღებს განსაზღვრული წრე. ამ წრეშიც განაწილებულია როლები. ასე, მაგალითად, ფშავ-ხევსურებში დედიდან ბიძებმა უნდა დაანგრიონ მკვლელის მახლობელი ნათესავის (უფრო ხშირად ბიძის) სახლ-კარი. შურისძიების შეწყვეტა და დახვევაც თავისი წესით ხდება. სისხლის მაძიებელს შურისძიებისათვის საკმაო საბუთი უნდა ჰქონდეს, მანვე უნდა იცოდეს შურისძიების საზღვარიც. სისხლის აღება შეიძლება სხვა გვარში და არა თავისაში. სისხლის აღებაში მთიელები სასტიკნი არიან, მაგრამ შურს იძიებენ ჯანმრთელ და მძლავრ მტერზე, ხოლო შურისძიება ავათმყოფზე, დაჭრილზე, „ნახევარ-კაცზე“ სამარცხვინო საქმედ ითვლება.

დღეს ადათით ხელმძღვანელობენ იმდენათ, რამდენათაც ეს დაშვებულია კანონით.

საერთოდ, ადათი ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. თავისი ბუნებით ის კონსერვატიული, ან კიდევ რეაქციონურია. პროფესორი პეტრაეიციკის სიტყვით, ადათს უკან, წარსულ საუკუნეთა წყვდიადისაკენ უჭირავს თვალი.

## ბ) კ ა ნ ო ნ ა.

სამართლის მთავარი, თითქმის ერთად ერთი წყარო დღეს კანონია. ის წარმოადგენს იურიდიულ ნორმას, გამოცემულის სახელმწიფოს სათანადო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული რიგითა და ფორმით. ამ განსაზღვრულ რიგისა და ფორმის

დაცვა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ კანონი სავალდებულო გახდეს. ამით კანონი განსხვავდება ადათისაგან, რომელსაც თანდათანობით ქმნის ხალხი ყოველგვარ განსაკუთრებულ და განსაზღვრულ ფორმის გარეშე (შესაძლებელია ადათი კანონათ იქცეს, თუ ეს მიზანშეწონილათ იქნება ცნობილი. ეს ხშირადაც ხდება).

არ უნდა ვურევდეთ ერთმანეთში ასეთ ტერმინებს, როგორცაა „სამართალი“, „კანონი“.

პირველი უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს. სახელმწიფოს ორგანო, რომელიც კანონებს ქმნის, იწოდება საკანონმდებლო ორგანოთ, პარლამენტათ.

კანონმდებლობის საქმე ყოველგან ერთნაირათ არ არის მოწყობილი: ზოგან ის თითქმის მთლად და პირდაპირ ხალხის ხელშია (ზოგიერთი კანტონები შვეიცარიისა, მაგალითად შვიცი, უნტერვალდენი), ზოგან თვითმპყრობელ მონარქის (მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს ფორმა უკვე ისპობა), ზოგან კი განაწილებულია ხალხის წარმომადგენლებსა და მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელთა შორის.

კანონი ყველასათვის სავალდებულო წესია, ის ყველამ უნდა აღასრულოს, ამიტომ მისი გამომცემელი ორგანო უნდა იყოს ფრიად ავტორიტეტუანი და ხალხის ნდობით აღჭურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონს არ დაემორჩილებიან, დაირღვევა წესრიგი და გამეფდება უხეში ძალმომრეობა.

სამართალი, კანონი გამომსახველია საზოგადოებრივ მატერიალურ და მორალურ ძალთა განწყობილებისა. ეს განწყობილება იცვლება და, მაშასადამე, უნდა შეიცვალოს მისი გამომსახველი და დამახასიათებელი წესებიც. ასეც ხდება ხან მშვიდობიან რეფორმის, ხან რევოლუციის მეოხებით.

### ადმინისტრატიული განკარგულება.

კანონისაგან განირჩევა ადმინისტრატიული განკარგულება. გარეგანი, ანუ ფორმალური განსხვავება იმაში გამოიხატება,

რომ კანონს ადგენს საკანონმდებლო ორგანო (პარლამენტი) და ის, სახელმწიფოს თავის მიერ დამტკიცებული, ქვეყნდება; ადმინისტრაციულ აქტს კი ახდენენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები მმართველობის რიგით. ადმინისტრაციული განკარგულება რომ საჯაროდებულო გახდეს, ამისათვის საჭიროა, რომ ის კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს.

არსებითი (მატერიალური) განსხვავება კანონისა ადმინისტრაციულ განკარგულებისაგან იმაში გამოიხატება, რომ პირველი წარმოადგენს საერთო ნორმას, მეორე—კონკრეტულ ზომას კერძო შემთხვევისათვის.

### შ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი.

სახელმწიფოს ფუნქციები განაწილებულია სხვა და სხვა ორგანოთა შორის. ფუნქცია კანონმდებლობისა უაღრესად პარლამენტს ეკუთვნის. ამიტომ მას ეწოდება საკანონმდებლო ორგანო, თუმცა მისი მოღვაწეობა მარტო კანონმდებლობაში არ გამოიხატება. სახელმწიფოში ყველაფერს კანონი აწესრიგებს, ყველანი კანონს ემორჩილებიან. აქედან ცხადია მნიშვნელობა იმ ორგანოსი, რომელიც ქმნის კანონებს. ის პირველად გილს იქერს სახელმწიფოში. ინგლისში ამბობენ: პარლამენტს ყველაფერი შეუძლია, მხოლოდ დედაკაცს ვერ გარდაქმნის მამაკაცადო. პარლამენტი ყოველგან ერთნაირად არ არის მოწყობილი. ზოგან ის ერთი პალატისაგან შესდგება, ზოგან ორისაგან; ზედა და ქვედა პალატისაგან.

ზედა პალატა უაღრესათ სახელმწიფოს გაბატონებული წრეების წარმომადგენელია, ქვედა—უფრო დემოკრატიული ნაწილის.

დემოკრატიული პრინციპი უარყოფს პარლამენტის ორ პალატიან სისტემას: მას აქვს დადებითი მხარე, მაგრამ ის ვერ ფარავს მის უარყოფით მხარეებს. ხშირად ელობება წინ ქვედა პალატის პროგრესიულ ნაბიჯებს: იქ იმარხება ქვედა პალატაში მიღებული დემოკრატიული კანონ-პროექტები. მრ-

ვალი საბუთი მოყავთ ორპალატიან სისტემის სასარგებლოთ, მაგრამ ერთი ამ საბუთთაგანი ყველაზე უფრო საინტერესოა: სახელმწიფოში მუდამ მოიპოვებთან კაცები, წარჩინებულნი ჩამომავლობით, სიმდიდრით, დამსახურებით, ამბობს სახელგანთქმული მწერალი მონტესკიო. მაგრამ ისინი რომ დანარჩენ ხალხს შეეუერთოთ და მხოლოდ სხვების თანასწორი ხმის უფლება მიეცეთ, მაშინ საერთო თავისუფლება მათთვის მონობათ გადაიქცევა და აღარ ექნებათ სურვილი დაიცონ ის, რადგან საერთო დადგენილებათა უმრავლესობა მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული. მათი კანონმდებლობაში მონაწილეობა სხვა მათ უპირატესობათ უნდა უდრიდეს. ეს კი ასე იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეადგენენ განსაკუთრებულ კორპუსს, რომელსაც უფლება ექნება შეაჩეროს ხალხის დადგენილებანი სწორედ ისე, როგორც ამ უკანასკნელს შეუძლია პირველის დადგენილებათა შეჩერება. ამგვარათ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ებარებოდეს კეთილშობილთა კორპუსს და იმას, რომელიც არჩეულია ხალხის წარმომადგენლათ. ამავდროს თვითველ მათგანს უნდა ქონდეს ცალკე კრებები, თათბირები და თავისი განსაკუთრებითი ინტერესები“. ცხადია, ასეთ უპირატესობას დემოკრატია არავის დაუთმობს, სადაც ის ბატონობს.

### კანონის შექმნის პრინციპი.

კანონის შექმნისა და გამოცემის საქმეში ოთხი საფუძვლიანი პრინციპი:

- ა) საკანონმდებლო ინიციატივა.
- ბ) კანონ-პროექტის განხილვა.
- გ) კანონ-პროექტის დამტკიცება (სანქცია).
- დ) კანონის გამოქვეყნება.

### ა) საკანონმდებლო ინიციატივა.

საკანონმდებლო ინიციატივა ეწოდება ამა თუ იმ ახალი კანონის გამოცემის თაოსნობას. ინიციატივა არის დასაწყისი,

პირველი საფეხური კანონის გამოცემის საქმეში. კონსტიტუციებში აღნიშნულია, თუ ვის ეკუთვნის ინიციატივის უფლება და რა რიგით უნდა ხდებოდეს ის. ამიტომ ცხადია, პრესაში, მიტინგზე და სხ. ახალი კანონის გამოცემის შესახებ უბრალო კითხვის აღძრა არ შეიძლება ჩაითვალოს ინიციატივით, თუმცა კი შესაძლებელია, რომ ის გახდეს კანონის გამოცემის საბაბით (*occasio legis*).

იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა, განირჩევა რამოდენიმე ფორმა უკანასკნელისა: მთავრობის ინიციატივა, პარლამენტის ინიციატივა, კერძო ინიციატივა, სახალხო ინიციატივა.

მთავრობის ინიციატივა სხვა ჩამოთვლილ ფორმებზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს ბუნებრივია: მთავრობა კანონის აღმსრულებელია; პრაქტიკული მოღვაწეობის დროს ის ადვილათ გრძნობს კანონის ამა თუ იმ ნაკლს, ან კანონის უქონლობას. მთავრობის ხელში გროვდება ყოველგვარი ცნობები სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესახებ; ის ამოძრავებს სახელმწიფოს ტექნიკურ აპარატს; მას ყავს გამოცდილი და მცოდნე ძალები. ამიტომ მას უფრო ეხერხება საფუძვლიანი კანონ-პროექტის შედგენა და დამუშავება.

პარლამენტის ინიციატივის უფლება, ჩვეულებრივით, პარლამენტის წევრთა განსაზღვრულ რიცხვს ენიჭება (მაგალითად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და საბჭოში ამის უფლება ქონდა ჯგუფს, შემდგარს არა ნაკლებ 30 კაცისაგან), ჩვენი კონსტიტუციის პროექტით—პარლამენტის ყოველ წევრს.

სახალხო ინიციატივა იმ სახელმწიფოებში არსებობს, სადაც ფეხი მოუკიდებია დემოკრატიულ წესწყობილებას (შვეიცარია, ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი შტატები)—ამ შემთხვევაში მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვს (ჩვენი კონსტიტუციის პროექტით 5.000 ამომრჩეველს) უფლება აქვს წარადგინოს ხელმოწერილი პროექტი და პარლამენტი ვალდებულია განიხილოს ის.

კერძო ინიციატივას (რომელიც გამომდინარეობს კერძო

პირებისაგან და კორპორაციებისაგან) პრაქტიკული მნიშვნელობა თითქმის არ აქვს.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტი ინიციატივის უფლებას ანიჭებს პარლამენტის ყოველ წევრს, თვითმართველობებს, ან 5.000 ამომრჩეველს.

### ბ) კანონ-პროექტის განხილვა.

პარლამენტის საკანონმდებლო უფლება უმთავრესათ კანონ-პროექტების განხილვაში და კრიტიკაში გამოიხატება. ჩვეულებრივად, პარლამენტში ან ერთ-ერთ მის პალატაში შემოსული კანონპროექტი გადადის სათანადო კომისიაში; უკანასკნელი ეცნობა და იხილავს მას, რის შემდეგაც თავის მოხსენებას და დასკვნას უდგენს პლენუმს (საერთო სხდომა).

საბოლოო რედაქციის შემდეგ ის გადადის პარლამენტის მეორე პალატაში, თუ ასეთი არსებობს. თუ მეორე პალატა პროექტს სავსებით არ იღებს, ინიშნება შემთანხმებელი კომისია ორივე პალატის წარმომადგენელთაგან.

პროექტი საბოლოო რედაქციით წარედგინება სახელმწიფოს უმაღლეს წარმომადგენელს დასამტკიცებლათ.

### გ) კანონ-პროექტის დამტკიცება (სანქცია). „ვეტო“.

კანონ-პროექტს ამტკიცებს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი—მეფე, პრეზიდენტი. ღდეს ეს ყოველგან მიღებული წესია, საქართველოს გარდა.

კანონის დამტკიცება ანუ სანქცია გარეგნულათ ხელისმოწერაში გამოიხატება. ჩვენში მიღებული წესით კანონი ქვეყნდება დამფუძნებელი კრების და მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერით, თუმცა მთავრობის თავმჯდომარის ხელის მოუწერლობა არ შეაჩერებს კანონის ძალაში შესვლას.

კანონის ძალა, ანუ მოქმედება ღდეს, ადგილისა და პირობის მიხედვით.

კანონი მომავლისათვის იწერება და არა წარსულისთვის ცხადია, მისი ძალაც მხოლოდ მომავალზე უნდა ვრცელდებოდეს.

დეს. დღეს მეცნიერებაში და პრაქტიკაში მიღებულია დებულება, რომ კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს. ეს გასაგებია: უნდა ვიცოდეთ, თუ რას ბრძანებს კანონი, რომ შევასრულო ის. რაც სამართლით აკრძალული არაა, ის ნებადართული უნდა იყოს. ამიტომ არ შეიძლება პასუხი მაგებიო მომავალში იმ საქციელისთვის, რომელიც ჩავიდინე მაშინ, როცა ის ნებადართული იყო.

ან რა სურვილი მექნება გავაკეთო, ან შევიძინო რაიმე, თუ დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ მომავალში კანონი არ წამართმევს ჩემი შრომისა და მოქმედების ნაყოფს.

საზოგადო დებულებიდან დასაშვებათ ითვლება შემდეგი გამონაკლისი: ა) სიღსლის სამართლის ახალ კანონს უკუქცევითი ძალა ეძლევა, თუ ის ძველ კანონზე უფრო რბილია და ნაკლებ სასჯელს უწყვეტს დამნაშავეს. ბ) ახალი პროცესუალური კანონით ხელმძღვანელობენ მაშინაც, როდესაც ძველი კანონის დროს ჩადენილ საქციელს არჩევენ.

ხშირად კანონში აღნიშნულია, რომ ის წარმოადგენს ძველი კანონის ახსნა-განმარტებას, რასაკვირველია ასეთი კანონი მის გამოცემამდის მომხდარ მოქმედებაზეც და იურიდიულ დამოკიდებულებაზეც ვრცელდება: ამ შემთხვევაში ჩვენ ახალ კანონთან როდი გვაქვს საქმე.

1918 წელში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ და მისცა მას უკუქცევითი ძალა. იურიდიულის თვალსაზრისით ასეთი წესი მიუღებელია.

სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში კანონი ერთნაირად სავალდებულოა როგორც ქვეშევრდომთათვის, ისე ამ სახელმწიფოში მცხოვრებ უცხოელთათვისაც. ამ შემთხვევაში მიღებულია შემდეგი გამონაკლისი: უცხო სახელმწიფოების უმაღლესი წარმომადგენლნი, წევრნი მათი ოჯახისა და ამაღლისა, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლები სარგებლობენ ეგრეთ წოდებული ექსტერიტორიალობის პრინციპით, ე. ი. ერომორჩილებიან მხოლოდ თავიანთ სამშობლოს კანონებს.

ადგილის მიხედვით განიარჩევიან კანონები: საერთო—მომ-

ქმედნი სახელმწიფოს მთელ სივრცეზე და ადგილობრივი — მომქმედნი სახელმწიფოს რომელსამე ნაწილში. ასეთი განსხვავება, რასაკვირველია, აიხსნება სახელმწიფოს ზოგიერთ ნაწილების თავისებურობით.

ზოგიერთ განსაკუთრებულ მომენტებში ჩვეულებრივი კანონები აღარ არიან საკმარისი წესრიგის დასაცველათ, ასეთ შემთხვევისთვის არსებობს განსაკუთრებული კანონები. ისინი დროებით აუქმებენ ჩვეულებრივ კანონების მოქმედებას.

განიჩვევიან აგრეთვე კანონები — უბრალო და საკონსტიტუციო. უკანასკნელნი შეეხებიან სახელმწიფოს წესწყობილებისა და მართვა — გამგეობის უმთავრესს, ანუ ძირითად პრინციპებს.

სადავოა, რა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების ძირითად საფუძვლებათ. ამით აიხსნება ის, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციების შინაარსში დიდი განსხვავებაა.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია შემდეგი კითხვები: საერთო დებულებანი (იმაში აღნიშნულია, რომ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, რომ მისი მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, დედა ქალაქი — თბილისი; სახელმწიფოებრივი ენა — ქართული და სხ.), სახელმწიფო ტერიტორია, პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმწიფო ფინანსები, სასამართლო, ადგილობრივი მართველობანი, სახელმწიფო და ეკლესია, სახელმწიფო მოხელენი.

გარეგანი, ანუ ფარმაცური განსხვავება ძირითადი კანონებისა იმაში გამოიხატება, რომ მათ გამოსაცემათ, შესასწორებლათ, ან დასამატებლათ საჭიროა განსაკუთრებული ფორმალური მხარეები, რომელნიც მეტ სიმაგრესა და გარანტიას აძლევენ მათ. კონსტიტუციას ადგენს და სცვლის არაჩვეულებრივი კანონმდებელი ორგანო — (დამფუძნებელი კრება).

წინათ საკონსტიტუციო კანონების უბრალო კანონებიდან გამოყოფა, მეფეთა თვითნებობის წინააღმდეგ იყო მიმართული,

მაგრამ შემდეგ გამოიკვა, რომ ის ყოფილა ორივე მხრით მჭრელი იარაღი: თვით მეფეებმა ისარგებლეს იმით, როგორც ფარით, თავის პრეროგატივების დასაცავათ.

### კანონის ახსნა-განმარტება.

კანონის ხმარების დროს ხშირად ვამჩნევთ, რომ ის ჩვენთვის ბუნდოვანია, არ ვიცით, რის თქმა უნდა კანონმდებელს, გვებადება იქვე, საჭირო ხდება კანონის ნამდვილი აზრის გამორკვევა.

კანონის ქეშმარიტი აზრის ძიებასა და გამოკვლევას ეწოდება კანონის ახსნა-განმარტება.

ახსნა-განმარტება სხვა და სხვა გვარიან, იმის მიხედვით, თუ რა ღონის ძიებასა და წყაროს მივმართავთ კანონის ქეშმარიტი აზრის ძიების საქმეში:

გნაპტიკული ახსნა-განმარტება ეყრდნობა სიტყვების მნიშვნელობის და სასვენი ნიშნების გაგებას.

ლოგიკური ახსნა-განმარტება იმაზეა აგებული, თუ რამდენათ ეთანხმება განსაზღვრული კანონი კანონმდებლობის საერთო პრინციპებს, მიდრეკილებას და ადამიანის აზროვნების კანონებს.

მიღებულია დებულება, რომლის ძალითაც მოსამართლეს ეკრძალება საქმის წარმოების შეჩერება კანონის უქონლობის გამო. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კანონი არ არის სრული, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს იმით, თუ როგორ სწყვეტს კანონი მსგავს შემთხვევას და იმის მიხედვით გადასჭრას საკითხი. ასეთი გზით კანონის აზრის ძიებას, თუ მის შევსებას, ეწოდება ანალოგიით ახსნა-განმარტება.

ახსნა-განმარტება აუტენტიურია, როდესაც ის გამომდინარეობს კანონმდებლისაგან და შეცნაურული, როდესაც მას იძლევიან მეცნიერების წარმომადგენელნი.

### კოდიფიკაცია კანონებისა.

სახელმწიფოს კანონმდებლობითი მოღვაწეობა არასოდეს სწყდება: ახალი დრო, ახალი პირობები მოითხოვენ ახალი კა-

ნონების გამოცემას, ძველის გაუქმებას, ან შესწორებას. ერთ-  
ჯერ გამოცემულ კანონების კრებულები რამდენიმე წლის, ან  
კიდევ თვის განმავლობაში იცვლებიან და იმით სარგებლობა  
მეტად საფრთხილო საქმედ ხდება. არა-სპეციალისტებისათვის  
მაინც ძნელი, თითქმის შეუძლებელი ხდება მომქმედ და გაუქ-  
მებულ კანონების თავის გართმევა, გარკვევა აუარებელ მასა-  
ლაში. ის კი, კანონი ყველამ უნდა იცოდეს და მისი უცო-  
დინარობით თავს ვერავინ იმართლებს. საჭირო ხდება კანო-  
ნების ისე დალაგება, რომ იმით სარგებლობა ყველასათვის  
ადვილი და ხელმისაწვდომი საქმე იყოს. ამ მიზნით სცემენ  
მომქმედ კანონთა კრებულებს, რომელშიაც ნაწილები, გან-  
ყოფილებები, თუ მუხლები შემუშავებული და დალაგებულია  
საგნის მიხედვით, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ ნაჩვენებ  
რიგზე; იქიდან ამოღებულია გაუქმებული კანონები, ჩამატე-  
ბულია ახალი, ნაჩვენებია წყაროები და სხვა. ასეთ მოღვაწეო-  
ბას ეწოდება კოდიფიკატორული მოღვაწეობა; მის ნაყოფს  
კოდიფიკაცია. კანონების შეკრება, დამუშავება, დალაგება და  
გამოცემა ძნელი საქმეა და დიდ ცოდნას მოითხოვს. ამ საქმეზე  
მოღვაწეთ ხალხი დიდათ აფასებდა და ბრძნებათ ნათლავდა მათ.  
კოდიფიკატორული მოღვაწეობის ნაყოფია ჩვენში ცნობი-  
ლი ექასა და აღბუღას კანონები, ვახტანგის კანონები და სხვა.

### სამართლის მეცნიერება (იურისპრუდენცია).

სამართალი მეტად რთული მოვლენაა. მეცნიერებას, რომ-  
ლის საგანია შესწავლა სამართლის, მის განვითარების წესების,  
ამ წესების ურთი-ერთ დამოკიდებულებისა და კავშირის, — ეწო-  
დება სამართლის მეცნიერება, იურისპრუდენცია: ის ეკუთვნის  
ჰუმანიტარულ (ე. ი. ადამიანზე) მეცნიერებათა დარგს. ჩვენ  
დავინახეთ, რომ ადამიანი სხვა და სხვა გვარ დამოკიდებულე-  
ბაშია საზოგადოების წევრებთან და თვით საზოგადოებასთან. ამ  
დამოკიდებულებათა მომწესრიგებელია სამართალი. ამ დამოკი-  
დებულებათა ხასიათის მიხედვით მეცნიერება ყოფს სამართალს  
ორ დიდ ნაწილათ:

სამართალი, აღმოცენებული ადამიანთა კერძო ხასიათის დამოკიდებულებათა ნიადაგზე, ე. ი. ისეთ საფუძველზე, რომელიც უაღრესათ კერძო ინტერესთა სფეროს შეადგენს, არის კერძო სამართალი; პირიქით, სამართალი, გამომდინარე ისეთი ხასიათის დამოკიდებულებიდან, რომელიც შეადგენს თუ ეხება საერთო ინტერესებს, არის საჯარო სამართალი.

კერძო სამართლის სფეროს აკუთვნებენ შემდეგ შტოებს: სამოქალაქო სამართალსა (იმაში შედის საოჯახო სამართალი) და სავაჭრო სამართალს.

საჯარო სამართლის სფეროში შედის: სახელმწიფო სამართალი, საფინანსო, საადმინისტრაციო, სამოსამართლო, საერთაშორისო და საეკლესიო.

---

### სახელმწიფო სამართალი.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა არის სამართალი, საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რა არის სახელმწიფო, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სახელმწიფო სამართალზე.

როცა სახელმწიფოს ვახსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება ხოლმე ისეთი ქვეყანა, რომლის სათავეში სდგას ხელმწიფე, ან მეფე და სახელმწიფო გვეხატება როგორც მონარქია ან სამეფო. ხელმწიფეც სინონიმია სიტყვისა „მეფე“. ნამდვილად კი სახელმწიფო უსათუოდ სამეფოს არ ნიშნავს.

სიტყვა „ხელმწიფე“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ხელი“ (ლათინური manus). „მანუს“ უდრიდა უფლებას, საქმეს. „ხელმწიფე“ ნიშნავს სრულ-უფლებიან მოხელეს, მმართველს. ასეთი იყო ფაქტიურად მეფე, ხელმწიფე. სიტყვისაგან „ხელი“ წარმოსდგა სიტყვა „ხელის“ უფალი“ ანუ რაიმე თანამდებობის მექონი მოხელე, თანამდებობის პირი.

სახელმწიფო, მაშასადამე, ისეთი ორგანიზაციაა, ისეთი კრებულია ადამიანთა, რომელიც ემორჩილება ერთგვარ იძულებითს, თავის მიერ შექმნილ წესს, სედას უფლებას. ამით გან-

სხვაედება ის, მაგალითად, მორწმუნეთა კრებულისაგან ან წმინდანების საზოგადოებისაგან, რომელიც არაერთად იძულებითს წესს არ ემორჩილება და არც საჭიროებს ის ასეთს წესს, რადგან, თუ წარმოვიდგენთ წმინდანების საზოგადოების არსებობას, ასეთ წმინდანებში არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა წინააღმდეგობა.

ჩვენი დედამიწა კი თუმცა ფართეა, მაგრამ ბუნება თავისთავად ვერ იძლევა ყველაფერს, რაც კულტურულ ადამიანისათვის საჭიროა და ამიტომ ადამიანი ებრძვის ადამიანს, ერთი ჯგუფი უპირდაპირდება მეორეს.

ცხადია, ვინც ქონებრივად ძლიერია, სახელმწიფოშიაც მას აქვს მეტი გავლენა. მაგრამ აუცილებელია ურთი-ერთისათვის დათმობა, კომპრომისი. იქმნება ერთგვარი სავალდებულო წესები, იურიდიული ნორმები. ამ იურიდიულ ნორმების კრებულს ეწოდება სამართალი. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება სამართალს, კანონს, თუ კი ყველას უფლება მიეცემა როგორც სურს ისე მოექცეს მას. ამიტომ სახელმწიფოს აქვს იძულებითი აპარატი, რომელიც ებრძვის კანონის დამრღვევთ.

მაგრამ ამ ნორმებით შეიძლება განისაზღვროს ადამიანთა ურთი-ერთი დამოკიდებულება კერძო ცხოვრებაში. მაგალითად, ნორმას, კანონს შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, მისი დამოკიდებულება ცოლ-შვილთან, დედ-მამასთან; ადამიანი შეიძლება ეწეოდეს ვაჭრობა-მრეწველობას და ამ სფეროში მას შეუძლია კავშირი დაიჭიროს სხვა ადამიანებთან ან თითონ სახელმწიფოსთან. თითონ სახელმწიფოსაც შეუძლია გამოვიდეს როგორც ვაჭარი, როგორც მწარმოებელი და მრეწველი და ყველა ის ნორმები, რომელიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთობას კერძო ან სამოქალაქო ცხოვრების სფეროში, წარმოადგენენ კერძო ან სამოქალაქო სამართლის ნორმებს და მათი კრებული შეადგენს სოციალურ სამართალს. ხოლო ის ნორმები, რომელიც ეხებიან მთელ საზოგადოებას, მის ინტერესებს, როგორც მთელისას, შეადგენენ სჯარა ხასიათის ან საზოგადოებრივ ნორმებს. ერთი

დარგი ამ ნორმებისა ეხება სახელმწიფოს. ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფოს მოწყობის სახეს, ფორმას და უჩვენებენ ერთის მხრით მის უფლება მოვალეობას, ხოლო მეორე მხრით მცხოვრებთა დამოკიდებულებას მასთან. მაშასადამე სახელმწიფო სამართალი წარმოადგენს კრებულს იურიდიულ ნორმებისას, რომელნიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს წყობილებას, მისი ორგანოების მოქმედებას და მცხოვრებთა დამოკიდებულებას მასთან.

### სახელმწიფოს წარმოშობა.

სახელმწიფო ისტორიული მოვლენაა. იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა. სახელმწიფოს წარმოშობა რთული ისტორიული პროცესის ნაყოფია. მას წინ უძღოდა ოჯახი—კავშირი, აგებული ნათესაურ ურთიერთობაზე. ოჯახსაც, რასაკვირველია, ნათესაობის გარდა აერთებდა ქონებრივი ინტერესი. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ძლიერ როლს თამაშობს სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

ზოგიერთი სახელმწიფონი ჩვენს თვალწინ გაჩნდნენ: ეს მოხდა არსებულ სახელმწიფოს დანაწილებით. მაგალითები: ამერიკის შეერთებული შტატები მე-18 საუკ., საქართველო 1918 წ. 26 მაისს.

### სახელმწიფო და მასი შემადგენელი ელემენტები.

პირველყოფილ ადამიანებს სახელმწიფო არ ქონიათ. დღემდისაც მოიპოვებინ ისეთი ველურები, რომელთაც სახელმწიფო არ აქვთ.

როგორც ისტორია, ისე დღევანდელ სახელმწიფოების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცნება სახელმწიფო გულისხმობს სამს აუცილებელ ელემენტს:

1. მიწა-წყალს ანუ ტერიტორიას.
2. მცხოვრებლებს ან ხალხს და
3. უზენაეს ხელისუფლებას, ე. ი. ისეთს ძალა-უფლებას, რომელიც არავითარ გარეშე ძალას არ ემორჩილება.

მიწა-წყალი რომ საჭიროა, ამის განმარტება მეტია. მეტია აგრეთვე იმის განმარტება, რომ უხალხოთ შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა. მაგრამ მიწა-წყალი და ხალხი კიდევ არ შეადგენს სახელმწიფოს. საქართველო მთელი ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში არ შეადგენდა სახელმწიფოს, თუმცა აქ არსებობდა მტკიცე წესრიგი. აქაური მოხელეები ემორჩილებოდნენ რუსეთის იმპერატორს. მაგრამ იმ დღიდან, რაც საქართველო დამოუკიდებლად შეუდგა საკუთარ საქმეების გაძღოლას, ის გახდა სახელმწიფო.

### I) მოსახლეობა.

სახელმწიფოს ერთ-ერთს აუცილებელ ელემენტს, მის სულსა და გულს შეადგენს მოსახლეობა, ხალხი, ანუ როგორც ძველს ქართულში იხსენიებოდა მკვიდრნი. მკვიდრი არის სახელმწიფოს მუდმივი მცხოვრები. მუდმივი მცხოვრები შეკავშირებულია სახელმწიფოსთან ძლიერის კავშირით. ამით განიარჩევა ის შემთხვევით მცხოვრებისაგან. მაშასადამე მცხოვრებთა ორი უმთავრესი ჯგუფია ყოველს სახელმწიფოში: მუდმივი ნაწილი მცხოვრებლებისა შესდგება ქვეშევრდომთა ან მოქალაქეთაგან, ხოლო ყველა დანარჩენები წარმოადგენენ არა მოქალაქეთ. ესენი, ასე ვსთქვათ, სახელმწიფოს სტუმრებია. და როგორც სტუმრები, ისინი სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით, მათი პიროვნება და ქონება უზრუნველყოფილია. მაგრამ მეტის მოთხოვნა მათ არ შეუძლიათ. მათ არავითარი ხმა არ აქვთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში, მათ არ შეუძლიათ იყვნენ ამრჩეველნი ან არჩეულნი რაიმე თანამდებობაზე. სამაგიეროთ არც ქვეყნის დაცვის საქმეში არავითარი მონაწილეობა არ აწევთ მათ, მხოლოდ ვალდებულნი კი არიან დაემორჩილონ ადგილობრივ კანონებს.

ასეთია არა ქვეშევრდომთა მდგომარეობა.

თავის თავად ცხადია, ყველა არა მოქალაქეს შეუძლია გახდეს იმ სახელმწიფოს სრულ უფლებიანი წევრი, რომელშიაც ის ცხოვრობს. ამისთვის საჭიროა კანონით დაწესებული ზო-

გიერთი პირობები, მაგალითად, განსაზღვრულ ვადის განმავლობაში ცხოვრება იმ სახელმწიფოში, რომლის ქვეშევრდომობაც სურს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს. არც ერთს სახელმწიფოს არ აქვს უფლება მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა სახელმწიფოს მოქალაქე მისი სურვილის წინააღმდეგ გახადოს თავის ქვეშევრდომათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაპყრობილი იქნება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი. დაპყრობილ ან სხვა გზით შეძენილ კუთხის მკვიდრი თავის თავად ხდება ახალ სახელმწიფოს ქვეშევრდომათ. თავის ნებით ახალ სახელმწიფოს მოქალაქედ გახდომას ეწოდება ნატურალიზაცია. ნატურალიზაცია აკარგვინებს მოქალაქეს ძველს ქვეშევრდომობას.

როგორც ვსთქვით, მხოლოდ მოქალაქეს აქვს სახელმწიფოში პოლიტიკური უფლებები; ესე იგი, მხოლოდ მოქალაქეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ეს შესაძლებელია ორის გზით: ერთის მხრით მოქალაქე მონაწილეობას იღებს როგორც ცენტრალ მართველობის ისე ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში. მას აქვს უფლება იყოს ამრჩეველი ან როგორც ამბობენ ის სარგებლობს აქტიურ საარჩევნო უფლებით. მას აქვს აგრეთვე პასიური საარჩევნო უფლება ე. ი. შესაძლებელია და კანონით დაშვებულია, რომ ის თითონ იყოს არჩეული. მეორეს მხრით მხოლოდ მოქალაქეს აქვს უფლება იყოს მთავრობის წევრი ან სხვა რომელიმე ხელისუფალი.

მაგრამ მოქალაქეს უფლების გარდა ერთგვარი მოვალეობანიც აქვს დაკისრებული: ის ვალდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს, ე. ი. მოიხადოს სამხედრო ბეგარა და მისცეს სახელმწიფოს საჭირო ნივთიერი სახსარი საერდო საქმეების გასაძღოლად, ე. ი. გაიღოს. განსაზღვრული გადასახადი და საერთოდ დაემორჩილოს არსებულ წეს-წყობილებას და მთავრობის კანონიერ მოთხოვნებებს.

საერთოდ ყველა მცხოვრებთ აქვთ ერთგვარი პირადი უფლებები, რომელთაც მოქალაქის უფლებებს ვუწოდებთ. ეს

უფლებები ჩამოთვლილია ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში. ცნობილია „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა“, რომელიც შეიმუშავა მე—18 საუკუნეში დიდი რევოლუციის დროს საფრანგეთმა და ინგლისის Habeas corpus act 1679 წლისა.

მოქალაქის პირად უფლებებს ეკუთვნის: თავისუფლება პიროვნების, ხოლო საზოგადოებრივს—თავისუფლება სინიდისის, სიტყვის, კრების, კავშირის და კოალიციის.

### ა) პიროვნების თავისუფლება

გულისხმობს ადამიანის უფლებას იმოქმედოს ისე როგორც მას სურს, იმ შეზღუდვით, რასაკვირველია, რომ მისმა მოქმედებამ ხელი არ შეუშალოს მეორე ადამიანს. კერძოდ პიროვნების თავისუფლება გულისხმობს ადამიანის პიროვნების, მისი ბინის, მისვლა-მოსვლის და მიწერ-მოწერის ხელუხლებლობას.

ბ) სინიდისის თავისუფლება გულისხმობს თავისუფლებას ადამიანის სარწმუნოების და რწმენის საქმეში. ამა თუ იმ რწმენისათვის არა თუ დასჯა არ შეიძლება მოქალაქის, არ შეიძლება აგრეთვე მისი არ დაშვება სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანამდებობაზე.

გ) სიტყვის თავისუფლება—ეს არის მოქალაქის უფლება გამოხატქვას თავისი აზრი როგორც ზეპირათ, ისე პრესის საშუალებით.

დ) კრების თავისუფლება ნიშნავს მოქალაქეების უფლებას შეიკრიბონ როგორც დახურულ შენობაში, ისე ცის ქვეშ.

ე) თავისუფლება კავშირის და კოალიციის ნიშნავს მოქალაქეთა უფლებას შეადგინონ კავშირები თავიანთ მიზნის მისაღწევათ.

საერთოდ აღნიშნულ პირად თავისუფლების და პოლიტიკურ უფლების შესახებ უნდა აღინიშნოს ის, რომ: ა) არც ერთს ქვეყანაში არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი თავისუფლება პიროვნების. იმდენათ, რამდენათ პიროვნება ვნებს

თავისი მოქმედებით კერძო პირის ან სახელმწიფოს ინტერესებს, კანონი მას ებრძვის და იძულებითის წესით აყენებს ერთგვარ კალაპოტში. ასეა საქმე იმ ქვეყნებში, რომლების ხალხი თითონ განაგებს თავის ბედს. ასეთ ქვეყნებში თავისუფლება მეტ-ნაკლებობით არის დაცული იმის მიხედვით, თუ რამდენათ ძლიერია ხალხი საერთოდ და რამდენათ შეზღუდულია საზოგადოების ამა თუ იმ გაბატონებულ ჯგუფის გავლენა.

ბ) არის ისეთი სახელმწიფოები, რომლის ხალხი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს (მაგ., ყოფილი რუსეთის იმპერია) და სამოქალაქო თავისუფლებასაც, მაგალითად პიროვნების თავისუფლება შელახულია იმით, რომ ყოველ წამს შეუძლია მოქალაქის გაჩხრეკა და წერილის გახსნა ადმინისტრაციას, თავისუფალი მისვლა—მოსვლა შეზღუდულია პასპორტით; პრესის თავისუფლება დარღვეულია წინასწარი ცენზურის დაწესებით, აკრძალულია შეკრება და კავშირის შედგენა.

ერთი სიტყვით, იმის მიხედვით, თუ რამდენათ შეზღუდულია მოქალაქის პიროვნება და მისი მოქმედების ასპარეზი, ყველა არსებული სახელმწიფოები უნდა გავყოთ ორ მთავარ ჯგუფად:

ა) დესპოტივებსა და მათ მინაგვარ სახელმწიფოებში ხალხს არ აქვს არც პოლიტიკური უფლებები და არც სამოქალაქო თავისუფლება;

ბ) კონსტიტუციურ ქვეყნებში ყველა მოქალაქეს აქვს პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლება—ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები. საერთოდ კი თავისუფლება და თანასწორობა არ შორდება განყენებულს, ფორმალურს პრინციპს: ყველა თავისუფალია და თანასწორი მხოლოდ კანონის წინაშე, რაც, რასაკვირველია, კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ ფაქტიურად ყველა მოქალაქეს ერთნაირად შეეძლოს მისი უფლებებით სარგებლობა: ხელის შემშლელია ეკონომიური უთანასწორობა.

## 2) ტ ე რ ი ტ ო რ ი ა .

ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი ტერიტორია ან მიწა-წყალი, რომელზედაც ის ანხორციელებს თავის უზენა-

ნაეს ხელისუფლებას. ტერიტორიას შეადგენს ხმელეთი და შიგნითა წყლები. რაც შეეხება გაშლილ ზღვას, ის არავის კუთვნილებათ არ ითვლება ხმელეთიდან დაწყებული ხუთ ვერსტს იქით, ე. ი. სახელმწიფოს ტერიტორიაში შედის მის ხმელეთის საზღვარზე მოდებული ზღვის სივრცე ხუთი ვერსტის მანძილზე.

სახელმწიფოს მიწა-წყლის სივრცე მუდამ ერთნაირი არ არის: შეიძლება ის გაიზარდოს, შეიძლება შემცირდეს ისტორიულ პირობების გამო. ძველად საქართველო იპყრობდა გაცილებით მეტს ადგილს, ვინემ მას დღეს უკავია; ივანე მრისხანეს ან პეტრე დიდის რუსეთი უფრო პატარა იყო, ვინემ რუსეთის იმპერია 1917 წლის პირველ მარტს.

სახელმწიფოს მიწა-წყალი იმით განირჩევა კერძო პირის მამულებისაგან, რომ კერძო პირს შეუძლია გაჰყიდოს, გასცვალოს ან გააჩუქოს თავისი მიწა, ხოლო სახელმწიფოს არ შეუძლია ასე მოქცევა. მხოლოდ გარეშე სახელმწიფოს შეუძლია მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის დაპყრობა—ამ შემთხვევაში დაპყრობილი სახელმწიფო, როგორც ასეთი, ისპობა—ან მისი ნაწილის ჩამოჭრა. მაგრამ ეს არის ძალის, ძალმომრეობის საკითხი და მას სამართალთან საერთო არაფერი აქვს. მაშასადამე სახელმწიფოს ტერიტორია განუყოფელია და მისი რომელიმე ნაწილის დაკავება სხვა სახელმწიფოს მიერ აუცილებლად იწვევს სამხედრო მოქმედებას, ომს ორ სახელმწიფოს შორის. სხვის ტერიტორიაზე არც რაიმე განკარგულებების მოხდენა შეიძლება: უზენაესი განმკარგულებელი თავის ტერიტორიაზე თვით სახელმწიფოა და სხვა არავინ. მხოლოდ საერთაშორისო სამართალით უცხო სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლების წარმომადგენლები და დიპლომატიური აგენტები ემორჩილებიან თავის ქვეყნის კანონებს, და არა იმ სახელმწიფოს, რომელშიაც იმყოფებიან. ეს არის ეგრედ წოდებული ექსტერიტორიალბის პრინციპი.

### ვ) უმაღლესი ხელისუფლება.

სახელმწიფოს მესამე ელემენტს წარმოადგენს უმაღლესი ხელისუფლება. ეს ძალაა, რომელსაც ყველა ემორჩილება, თი-

თონ კი არავის არ ემორჩილება, არავის წინაშე პასუხს არ აგებს. ის არის სახელმწიფოს ცხოვრების სრული და უპასუხისმგებლო გამგებელი და გამწესრიგებელი. ასეთს ძალას ეწოდება სუვერენიტეტი, უზენაესობა. ის გამოსცემს კანონს, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, ის აწყობს სასამართლოს, რომელიც მოწოდებულია აღადგინოს კანონი ყოველ კერძო შემთხვევაში, როცა მას ვინმე დაარღვევს; მას ეკუთვნის უმაღლესი განკარგულება მოქალაქის ქონების: თუ საჭიროთ დაინახავს, მას შეუძლია კერძო პირს ჩამოართვას საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოთ და დაწესოს გადასახადი; მისი ნებაა დასდოს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ხელშეკრულება, გამოუცხადოს მას ომი, შეეკრას ზავით. ერთი სიტყვით ის არის სახელმწიფოს უზენაესი პატრონი.

სახელმწიფოს უმაღლესს ხელისუფლებას სამი სხვა და სხვა სახე აქვს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო.

ა) საკანონმდებლო ორგანოების დანიშნულებაა კანონების ე. ი. მოქმედების ერთგვარ სავალდებულო წესების შექმნა, ძველი, ცხოვრების შეუფერებელი წესების გაუქმება ან შეცვლა — შესწორება.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომელიც ვალდებულია კანონებს დაემორჩილოს. მაგრამ კანონი აძლევს მთავრობას საერთო ხაზს, უჩვენებს მოქმედების საერთო გზას, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება რჩება რა კანონიერ ჩარჩოებში, იძულებულია ერთგვარი თაოსნობაც გამოიჩინოს, რათა დაიცოს სახელმწიფოს ინტერესები. აქ ის ბევრს რამეს თითონ ქმნის, კანონს, ასე ვთქვათ, აფართოებს და შეუგუებს ცხოვრების მოთხოვნილებებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის მაინც კანონიერების ფარგლებში უნდა დარჩეს.

გ) სულ სხვაა სასამართლო. ის ვალდებულია მხოლოდ კანონის ვიწრო ფარგლებში იმოქმედოს. მისი მოქმედება არ მოითხოვს არავითარ სიჩქარეს და ამიტომ არც თავისებურობის გამოჩენა უნდება მას. ავია თუ კარგი კანონი სასამართ-

ლოს შეხედულობით, ის ვალდებულია სისწორით შეასრულოს ის, როცა რომელიმე კერძო ან თანამდებობისპირი მას დაარღვევს.

ეს სამკვარი ხელისუფლება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო არსებითად სამი ფუნქციაა ერთ და იმავე უმაღლესი ხელისუფლების, რომელიც ჩაბარებული აქვს სხვა და სხვა ორგანოს მხოლოდ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, რათა მათი არევა არ მოხდეს და თითოეული ეს ფუნქცია სათანადოთ იყოს შესრულებული.

ყოველ სახელმწიფოს ჰყავს ოფიციალური მეთაური ან თავი, რომელიც ითვლება უზენაეს ხელისუფლების წარმომადგენლათ. დემოკრატიულ ქვეყნებში მათი ძალა-უფლება შედარებით უმნიშვნელოა, სამაგიეროთ ძლიერია მონარქიებში, განსაკუთრებით აბსოლუტურ, შეუზღუდავ მონარქიებში.

სახელმწიფოს თავი ყველგან განსაკუთრებულ პირად უფლებით სარგებლობს. ასეთია თავდაპირველად მისი პიროვნების ხელუხლებლობა, რის დამრღვევნი შედარებით უფრო სასტიკად ისჯებიან. გარდა ამისა სახელმწიფოს თავი სარგებლობს ერთგვარი უპასუხისმგებლობით, რაც დაწესებულია მართველობის პრესტიჟისათვის. ფაქტიურათ ეს უპასუხისმგებლობა ბევრგან არარაობამდეა მიყვანილი. ინგლისის მეფე, მაგალითად, პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაში, მაგრამ სამაგიეროთ ვერც ერთს ბრძანებას ვერ გამოსცემს ის, თუ მინისტრმა არ მოუწერა ხელი, მინისტრი კი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე: სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს აგრეთვე მიიღოს ყოველწლიურათ გასამრჯელო, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო აწესებს. ეს არ ეხება განუსაზღვრელ მონარქიის თავს, აბსოლუტურ მონარქს.

დაბოლოს სახელმწიფოს მეთაური არის ოფიციალური წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოების წინაშე.

### სახელმწიფო წყობილების ფორმები.

სახელმწიფო სამართლის ისტორია გვასწავლის, რომ სახელმწიფოებრივი წყობილება მუდმივ ცვალებადობის პროცესს

განიცდის. მრავალ გარემოებათა მიხედვით ის სხვა და სხვა გვარია დედა მიწის სხვა და სხვა გეოგრაფიულ ერთეულებში. და თვით განსაზღვრულ კუთხეში ის საუკუნოების განმავლობაში განიცდის სხვა და სხვა გვარ ცვლილებას. მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა, იურიდიულმა მეცნიერებამ მაინც შესძლო მათი დაყოფა განსაზღვრულ ჯგუფებად. ამას ეწოდება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია.

აღსანიშნავია ორი მთავარი ჯგუფი სახელმწიფოთა: მარტივი და შეერთებული სახელმწიფოები. მარტივი სახელმწიფო ეწოდება ისეთს სახელმწიფოს, რომელშიაც მოქმედობს ერთი ხელისუფლება. არსებულ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა მარტივი სახელმწიფოებია. შეერთებული სახელმწიფო შესდგება რამდენიმე ცოტათ თუ ბევრათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან, რომელთაც აერთებს ზოგიერთი საერთო მიზნები. მაგალითები: ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია და ყოფილი გერმანიის იმპერია, რომელიც დღეს რესპუბლიკას წარმოადგენს და ჯერ არ ვიცით რა დამოუკიდებულება დარჩება ყოფილ გერმანიის სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

იმის მიხედვით, თუ როგორი წყობილებაა თვით სახელმწიფოს შიგნით, აღსანიშნავია: ა) რესპუბლიკა და ბ) მონარქია.

ეს უკანასკნელი თავის მხრივ განიყოფება: ა) აბსოლუტურ ან შეუსდუდავ მონარქიად და ბ) შესდუდულ ან კონსტიტუციურ მონარქიად.

რესპუბლიკაც შეიძლება იყოს დემოკრატიული და არისტოკრატიული. თავის მხრივ რესპუბლიკა შეიძლება იყოს მონარქიული და წარმომადგენლობითი.

### ა) აბსოლუტური ანუ შეუსდუდავი მონარქია.

ეს ისეთი სახელმწიფოა, რომლის სათავეში სდგას შეუსდუდავი მონარქი, თვითმპყრობელი მეფე. ფორმალურათ ის არავის წინაშე არ აგებს პასუხს; ის არის წყარო და სათავე

ყოველგვარ კანონის, ის ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებებს. ყველაფერი კეთდება მისი სახელით, თითონ ის კი მოქმედებს „წყალობითა ღვთისათა“ და მისი გამკითხავიც მხოლოდ ღმერთია. მეფობას, ტახტს ის ჩამომავლობით ღებულობს მემკვიდრეობის კანონის თანახმად. აბსოლუტურ მონარქის, თვითმპყრობელი მეფის უფლებების კლასიკურ გამოხატულებას შეიცავს ის თქმა, რომელსაც ლუი მე—XIV-ეს აწერენ: „სახელმწიფო—ეს მე ვარო“.

მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას მეფე მარტო პირადათ ვერ გაუძღვება და ამ საქმეში მას ეშველებიან სხვა და სხვა თანამდებობის პირნი. მეტიც უნდა ითქვას: აბსოლუტურ მეფესაც მუდამ ყვანან პრჩველნი, რომელნიც მეფესთან ერთად ასრულებენ რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის ნება—სურვილებს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აშკარად უწოდა თავის თავს რუსეთის პირველი მემამულე და აღიარა გლეხების „ზევიდან განთავისუფლების“ აუცილებლობა, რათა მათ ძალით არ განეთავისუფლებიათ თავის თავი „ქვევიდან“.

### ბ) შეზღუდული მონარქია.

შეზღუდული მონარქიის სახელმწიფოებრივი წყობილება იმით განირჩევა აბსოლუტურ მონარქიის წყობილებისაგან, რომ იქ მეფე არ წარმოადგენს ხელისუფლების ერთად ერთ სათავეს, ერთად ერთს წყაროს. მისი უფლებები შეზღუდულია ხალხის მონაწილეობით მართვა-გამგეობის საქმეში. ხალხი მონაწილეობას იღებს წარმომადგენლების საშუალებით. ხოლო იმის მიხედვით, თუ რა წესით აირჩევიან ეს წარმომადგენლები შეზღუდული მონარქია არის ორგვარი: შეზღუდული წოდებრივი წარმომადგენლობით და სასახლო წარმომადგენლობით. პირველ შემთხვევაში წარმომადგენლები აირჩევიან ცალკე წოდებების მიერ და ითვლებიან არა მთელი ხალხის, არამედ ამა თუ იმ წოდების არჩეულებათ, მეორე შემთხვევაში წარმომადგენლებს ირჩევს მთელი ხალხი. დღეს წოდებრივი წარმო-

მადგენლობა არსად აღარ არსებობს. არსებობენ მხოლოდ ისეთი შეზღუდული მონარქიები, სადაც მეფის უფლებები შეზღუდულია სახალხო წარმომადგენლობით ანუ პარლამენტით.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, ვითომ აღნიშნულ ტიპის ყველა მონარქიებში ერთგვარი ძალა-უფლებით იყოს აღჭურვილი ხალხის წარმომადგენლობა და ერთგვარად იყოს შეზღუდული მეფე. მონარქიებში ყველაზე ძლიერი და გავლენიანია სახალხო წარმომადგენლობა ინგლისის, სადაც, როგორც ამბობენ ხოლმე, „მეფე მეფობს და არ განაგებს“. ინგლისის მეფეს არც ერთი გროშის დახარჯვა არ შეუძლია სახალხო წარმომადგენლობის სურვილის წინააღმდეგ, ვერც ერთს გროშ გადასახადს ვერ აიღებს ისე, თუ პარლამენტი დასტური არ მისცა.

იქ პარლამენტი მონაწილეობას იღებს არა მარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებაშიაც. პარლამენტის საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიხატება იმაში, რომ არც ერთი კანონი არ შეიძლება გამოიცეს უპარლამენტოთ. მის ხელშია აგრეთვე ბიუჯეტი, ე. ი. შემოსავალ-გასავალის საქმე.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარლამენტის გავლენა ერთობ დიდია: მინისტრები ემორჩილებიან პარლამენტს. მართალია მინისტრებს მეფე ნიშნავს, მაგრამ ის ვალდებულია ეს დანიშვნა შეუფარდოს პარლამენტის უმრავლესობის სურვილს და მას მინისტრის შეწყალების უფლებაც კი არ აქვს, თუ ვინიცოცხაა მინისტრმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა, რისთვისაც მას გაასამართლებს პარლამენტი ფორმალურათ. მეფეს აქვს უფლება კანონის დამტკიცებისა ან უარყოფისა (ეგრედ წოდებული veto), მაგრამ ის ამ უფლებით არასოდეს არ სარგებლობს. მას აქვს მეორე უფლებაც: ვადაზე ადრე დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს. ამით მას საშუალება ეძლევა შესცვალოს პარლამენტის შემადგენლობა, თუ რასაკვირველია, ხალხი მას დაეთანხმება და ახალ არჩევნებში ახალ პარტიებს მისცემს ხმას.

ასეთს წყობილებას ეწოდება ჰარლამენტარული. მისი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ სსმისისტრო, მთავრობა ჰარლამენტარული არის ჰასუსის მგებელი ჰარლამენტის წინაშე. პარლამენტარობაში არსებობს ინგლისს გარდა ბელგიაში; იტალიაში და სხვ.

არის ისეთი მონარქიები, რომელშიაც სამინისტრო პირდაპირ პასუხის მგებელი არ არის პარლამენტის წინაშე. არა პარლამენტარულ მართვა-გამგეობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა პრუსია 1918 წლის რევოლუციამდე. იქ მინისტრებს ნიშნავდა მეფე იმ პირებისაგან, რომელსაც თითონ აირჩევდა და ამ არჩევაში ფორმალურად არაფრით არ იყო შეზღუდული.

საერთოდ კი შეზღუდული მონარქიის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მეფე, თუმცა ის სახელმწიფოს მეთაურად ითვლება და ქვეყანას განაგებს „წყალობითა ღვთისათა“, თუმცა მისი პიროვნება ხელუხლებელია, მაგრამ იმავე დროს ის განაგებს ქვეყანას აგრეთვე „ნებითა ხალხისათა“ და ის ვალდებულია კონსტიტუციის ერთგული იყოს. ბელგიის 1831 წლის კონსტიტუცია აშკარათ ამბობს, რომ „მეფეს არ აქვს სხვა გვარი, ხელისუფლება, გარდა იმისა, რომელსაც ფორმალურად ანდობს მას კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციის ძალით გამოცემული საგანგებო კანონები“.

### გ) რესპუბლიკა.

გარეგნულათ რესპუბლიკა იმით განიჩევა მონარქიისაგან, რომ მის სათავეში სდგას არა მეფე, რომლის უფლება ჩამომავლობით გადადის შვილიდან შვილზე ან სხვა ნათესავებზე, არამედ განსაზღვრული ვადით არჩეული პირი. ასეთ პირს ეწოდება პრეზიდენტი. ზოგან არც კია სულ პრეზიდენტი (შვეიცარია, საქართველო), არამედ არსებობს მთავრობის თავმჯდომარე. ასეთია რესპუბლიკანურ წყობილების გარეგნული მხარე.

რაც შეეხება შინაარსს, რესპუბლიკანური წესწყობილება მდგომარეობს იმაში, რომ „მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“ ასე ამბობს კალიფორნიის კონსტიტუცია, რომელიც

განაგრძობს: „მთავრობა დაწესებულია ხალხის დაცვის, უშიშროების და კეთილდღეობისათვის და ხალხს უფლება აქვს შესცვალოს ის ყოველთვის, როცა კი ამას მოითხოვს საზოგადო ინტერესი“. ასეთივე აზრია გატარებული სხვა რესპუბლიკანურ კონსტიტუციებში.

ენევის კანტონის კონსტიტუცია, სხვათა შორის ამბობს: „სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს. ყოველგვარი პოლიტიკური ხელისუფლება და ყველა საზოგადოებრივი თანამდებობანი მხოლოდ ხალხის უზენაეს ავტორიტეტის რწმუნებას წარმოადგენენ, ხალხი კი შესდგება მოქალაქეთა კრებულისაგან“. დაახლოვებით ამავე სიტყვებს იმეორებს აპპენცელის კონსტიტუცია: „უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. ხალხი მას ანხორციელებს ან პირდაპირ სახალხო კრებაში ან არჩეულ მოხელეების საშუალებით კონსტიტუციის ფარგლებში“

მაშასადამე, რესპუბლიკაში ყოველგვარი დაწესებულება ხალხის სუვერენიტეტში იღებს თავის მოქმედების საფუძველს და ხალხსვე ემორჩილება. თვით პრეზიდენტი, რომელიც ვადით არის არჩეული, განაგებს იმდენად, რამდენად ამის უფლებას მას კონსტიტუცია აძლევს.

რესპუბლიკა არის ზარდაზარი, უმეშვეო და წარმომადგენლობითი. პირდაპირი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი პირდაპირ იკრიბება და იღებს ამა თუ იმ დადგენილებას. ტექნიკურათ ეს შესაძლებელია მხოლოდ პატარა ქვეყნებში. ასე იყო მაგალითად ძველს ათინაში. დღეს პირდაპირი რესპუბლიკანური მართველობა არსებობს შვეიცარიის კანტონის ზოგიერთ პატარა კანტონებში.

წარმომადგენლობით რესპუბლიკაში ხალხი ანხორციელებს თავის უმაღლეს ხელისუფლებას წარმომადგენლების საშუალებით. ხელისუფლების წყარო და სათავე აქაც ხალხია, მაგრამ მისი ორგანოა წარმომადგენლების კრებული, კოლეგია.

წარმომადგენლობითი რესპუბლიკის სანიმუშოთ ევროპაში უნდა ავიღოთ სუფრანკეა, რომლის რესპუბლიკანური წყობილება საბოლოოვით დამყარდა 1871 წლის საფრანგეთ-პრუსიის

ომის შემდეგ. უმაღლესი ხელისუფლების ორგანოთ ითვლება სსკრე კრება, რომელიც შესდგება ორი პალატისაგან: დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. ორივე პალატა იკრიბება ცალკე და მხოლოდ პრეზიდენტის ასარჩევათ და კონსტიტუციის შესაცვლელათ დგება მათი შეერთებული სხდომა (სსკრე კრება). დეპუტატთა პალატა შესდგება 576 დეპუტ., რომელთაც ირჩევენ ოთხი წლის ვადით.

რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლების სათავეში სდგას პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 7 წლით. ის ნიშნავს მინისტრებს პალატის უმრავლესობიდან და თუმცა პირადათ ის პასუხისმგებელი არ არის, მაგრამ პასუხს აგებენ მინისტრები. აბსოლუტურ veto-ს უფლება მას არ აქვს. შეუძლია მხოლოდ შენიშვნებით დაუბრუნოს კანონპროექტი პალატას ხელახლა განსახილველათ. ის აწარმოებს მოლაპარაკებას სხვა სახელმწიფოებთან. ომის გამოცხადება მას არ შეუძლია.

### სახალხო წარმომადგენლობა.

სახალხო წარმომადგენლობის ორგანოა კრება ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებისა. ასეთს კრებას საზოგადოთ ჰარლამენტს უწოდებენ. ისე კი ყველა სახელმწიფოში ერთგვარი საკუთარი სახელი აქვს პარლამენტს მინიჭებული. ასე მაგალითად ინგლისში მას ეწოდება „თემთა პალატა“, საფრანგეთში „დეპუტატთა პალატა“ გერმანიაში უწოდებენ „რეიხსტაგ“-ს, ავსტრიაში „რეიხსრატ“-ს. საქართველომ თავის ერაყნულ საბჭოს, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შემდეგში უწოდა „საქართველოს ჰარლამენტი“

კონსტიტუციაში აღნიშნულია ჩვეულებრივ როგორც დეპუტატების რიცხვი, ისე პარლამენტის მოქმედების ვადა. ინგლისის პარლამენტი, მაგალითად, შესდგება 670 წევრისაგან და აირჩევა 7 წლით, თუმცა ამდენ ხანს ფაქტიურად არასოდეს არ განაგრძობს მუშაობას.

ზოგან ეს ვადა გაცილებით უფრო მცირეა. პარლამენტის

წევრთა რიცხვიც ბევრ სახელმწიფოში ნაკლებია, რაც საერთოდ დამოკიდებულია მცხოვრებთა რიცხვზე.

პარლამენტის წევრი, დეპუტატი, ფორმალურად პასუხს არ აგებს თავის ამრჩევლების წინაშე. რა კი ის აირჩიეს, ვადის გათავებამდე არავის აღარ აქვს ნება მისი უკან გამოწვევის ან მისთვის რაიმე ინსტრუქციის მიცემის. ეგრეთ წოდებული იმპერატორული მანდატი უარყოფილია. მცხოვრებლების მონაწილეობა თავდება დეპუტატის არჩევის აქტით. ეს ქმნის ერთგვარ ბიუროკრატიზმს და ამიტომ არის, რომ იქ, სადაც ეს მოსახერხებელია, დემოკრატია მიმართავს პირდაპირს გზას: ხალხი საერთო კრებაზე იღებს ამა თუ იმ კანონს, ამა თუ იმ დადგენილებას. გარდა ამისა დემოკრატიულ ქვეყნებში ცდილობენ დეპუტატის რწმუნების ვადის შემცირებას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დეპუტატი თითქმის ყოველთვის რომელიმე პოლიტიკური პარტიის კანდიდატია და თუმცა ის ფორმალურად პასუხს არ აგებს ამრჩევლების წინაშე მაგრამ ფაქტიურად ის ძლიერი კავშირით არის ხალხთან გადამბმული.

დეპუტატის მუშაობა რომ ნაყოფიერი იქნას, ამისთვის ის იღებს ხაზინიდან გასამრჯელოს (დიეტას) და მისი პიროვნება კანონით უფრო მეტათ არის პატივცემული, ვინემ დანარჩენ მოქალაქეების პიროვნება.

კითხვების განსახილველათ პარლამენტი ირჩევს სხვა და სხვა კომისიებს, რომელნიც წინასწარ დაამუშავებენ პროექტებს და შემდეგ გადააქვთ საერთო კრებაში.

დეპუტატების ასარჩევათ სახელმწიფო ჩვეულებრივ იყოფა საარჩევნო ოლქებათ და თითოეულ ოლქს მიეკუთვნება დეპუტატების განსაზღვრული რიცხვი.

საარჩევნო უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეს. საერთოდ თითქმის ყველგან არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება, ე. ი. ყველა მოქალაქეს აქვს ხმა.

სინამდვილეში კი არსებობს სხვა და სხვა გვარი შეზღუდვა: საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან ქალები.

გარდა ამისა ინგლისში არსებობს ერთგვარი ქონებრივი ცენზი. ზოგ სახელმწიფოში სავალდებულოა ამრჩევლისათვის, რომ ის არჩევნების დღემდე ცხოვრობდეს არჩევნების ალაგას განსაზღვრულ ვადის განმავლობაში. ისე მას სიაში არ შეიტანენ. ეს ზომა მიმართულია უმთავრესად მუშების წინააღმდეგ.

უნაკლოლოდ ითვლება შემდეგი საარჩევნო სისტემა: საყოველთაო, ზიარდაზიარ, თანასწორი და ფარული ზრახმორციული წარმომადგენლობით.

საყოველთაო ნიშნავს იმას, რომ ხმა აქვს ყოველ სრულწლოვან მოქალაქეს; ზიარდაზიარ არჩევა ხდება პირდაპირ და არა საგანგებო ამრჩევლების საშუალებით (როგორც ეს იყო რუსეთის სათათბიროს არჩევის დროს); თანასწორი—თითო მოქალაქეს აქვს მხოლოდ თითო ხმა; არჩევნებზე უნდა იყოს ფარული, რომ ადგილი არ ქონდეს გავლენას და დაშინებას. ზრახმორციული სისტემა კი უპირდაპირდება ეგრედ წოდებულ მაჟორიტარულს, ე. ი. უმრავლესობის პრინციპზე აგებულს. მაჟორიტარული სისტემით რომ იყოს არჩეული, ვთქვათ, საქართველოს დამფუძნებელი კრება, მასში მარტოდ-მარტო სოციალდემოკრატები იქნებიან, რადგან მათ მიიღეს ხმების ნახევარზე მეტი. პროპორციული სისტემა კი ყველა ჯგუფს აძლევს არჩევის საშუალებას მისი გავლენის და ძლიერების მიხედვით.

ბევრს სახელმწიფოში სახალხო წარმომადგენლობა ორი საფეხურისაგან შესდგება ან, როგორც ამბობენ, არსებობს ორ ჰლატის სისტემა. ასეა ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში: არსებობს ქვემო პალატა და ზედა პალატა.

მეცნიერი იურისტები ამას იმით ასაბუთებენ და ამართლებენ, რომ თუ პირველი პალატა შესცდა, მეორე სიღინჯეს და წინდახედულობას გამოიჩინსო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ზედა პალატის თითონ შემადგენლობა გვაფიქრებებს, რომ ის მოგონილია სახალხო წარმომადგენლობის პრინციპის შესაზღუდავათ. ინგლისის ზედა პალატის ან, როგორც ეძახიან, ლორდთა ჰლატის კარგა მოზრდილი ნაწილი შესდგება მსხვილ არისტოკრატებისა და მეფის მიერ დანიშნულ პირებისაგან. მარ-

თალია, ფაქტიურად ქვედა პალატა ატრიალებს სახელმწიფო საქმეებს, მაგრამ ლორდთა პალატის არსებობის ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ ის ხალხის ასალაგმავათ არის შემოღებული.

### რატომაა პარლამენტის ხელისუფლება?

მე-18-ე საუკუნეში დამყარდა სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათ. ამ დაყოფვის ძალით პარლამენტი ითვლება წმინდა საკანონმდებლო ორგანოთ. ეს არ არის მართალი: თუმცა ის უმთავრესად მართლა საკანონმდებლო დაწესებულებაა, მაგრამ სხვა საქმეებსაც განაგებს. ჯერ ერთი აღმასრულებელი ძალა მას ემორჩილება. გარდა ამისა მის ხელშია ბიუჯეტი, ე. ი. ფულის გადახდევინების და დახარჯვის საქმე.

საკანონმდებლო მუშაობას პარლამენტი სრულიად დამოუკიდებლათ თითქმის არსიდ არ ეწევა: არც ერთი კანონი არ შეიძლება გამოიცეს უმისოთ, მაგრამ არც ერთი კანონის გამოცემა არ შეიძლება აგრეთვე სახელმწიფოს თავის უნებურათ. კანონს ესაჭიროება სანქცია, ასე ესთქვათ დამტკიცება და სანამ არ დამტკიცებულა, ის, თუნდაც ორივე პალატის მიერ იყოს მიღებული, ითვლება მხოლოდ პროექტად. ეს დამტკიცება ხდება „veto“-ს საშვალეებით. veto ორ გვარია: აბსოლუტური და სუსპენზიური. მეფეებს ყველგან აბსოლუტურ veto-ს უფლება აქვთ (გარდა ნორვეგიისა), ე. ი. შეუძლიათ გასაქანი არ მისცენ ახალ კანონს. რაც შეეხება რესპუბლიკებს, იქ პრეზიდენტს მხოლოდ სუსპენზიური „veto“-ს უფლება აქვს, ე. ი. შეუძლია უკან დააბრუნოს გადასასინჯათ.

გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საქართველო: აქ მთავრობის თავმჯდომარე მხოლოდ ხელს აწერს ახალ კანონს, მაგრამ ეს ხელის მოწერა მისი მოვალეობაა და არა უფლება და კიდევ რომ უარი თქვას ხელის მოწერაზე, კანონი მაინც შევა ძალაში.

## განსტატუცია.

იურიდიულმა მეცნიერებამ იცის ორი მთავარი ტიპი სახელმწიფოსი: ზოლიცაური და უფლებრივი.

პირველ ტიპის სახელმწიფოში გარკვეული და ჩამოყალიბებული არაა მოქალაქის და მთავრობის უფლებანი. ან უკეთ რომ ვსთქვათ, უფლება აყრილია მოქალაქე, ხოლო ყოველგვარ ძალა-უფლებით არის მოსილი მთავრობა და მართველი წრეები. ასეთი იყო აბსოლუტური მონარქია საფრანგეთში, მეფის თვითმპყრობელობა რუსეთში. ასეთივე იყო საქართველოს სახელმწიფო წყობილება მეფეების დროს. 1783 წელს დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულება იქნა დადებული რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს შორის, მაგრამ ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მასში.

უფლებრივ სახელმწიფოში ეს საქმე სავსებით მოწესრიგებულია. ყველამ იცის თავისი უფლება-მოვალეობანი. სახელმწიფოს ცხოვრება წესიერ კალაპოტშია მოქცეული.

უკანონო, რასაკვირველია, არც რუსეთის თვითმპყრობელობა არსებობდა და არც საფრანგეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის. აღნიშნულ ქვეყნებს ჰქონდათ ძირითადი განახები და მათ საფუძველზე ამოჰყავდათ კედლები — ქმნიდენ ჩვეულებრივ კანონებს. და ამ ძირითად კანონებს ურყევი სიმტკიცე ქონდათ, სამღრთო ავტორიტეტით იყვენ გამაგრებული.

მაგრამ ამ ძირითად კანონებში ერთი მთავარი აზრი იყო გატარებული: ყოველგვარ უფლებების წყაროთ და სათავედ აღიარებული იყო მეფე და მისი წმინდა ნებისყოფა.

ხოლო ხალხი ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული: სარწმუნოება, ბინა, მისვლა-მოსვლა, კავშირი, კრება, თავისუფალი აზრი — ყველაფერი ეს ემორჩილებოდა „მორონ-ცხებულ“ მეფის სურვილებს“.

იწყება ბრძოლა.

მეფის თვითნებობას უპირდაპირდება მოქალაქეთა თავის-

უფალი ნებისყოფა. პირველად ამ ნიადაგზე ინგლისის ხალხი იმარჯვებს; ეს გამარჯვება დაბოლოვდა 1679 წელს Habeas Corpus act-ის გამოცემით. ამ აქტის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ დატუსაღებულ პირს თითონ, ან მის მაგიერ ყოველ მოქალაქეს ნება აქვს მოითხოვოს დატუსაღებულის დაუყოვნებლივ მოსამართლესთან წარდგენა. ამით თვითნებობის უფლება ესპობა ადმინისტრაციას.

1789 წელს საფრანგეთში მოხდა დიდი რევოლუცია და გამოცხადდა ეგრედ წოდებული „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა“. აღნიშნულ დეკლარაციაში გამოთქმული პრინციპები ცოტა ადრე აღიარებულ იქნა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების, განსაკუთრებით შტატ ვირჯინიის მიერ.

დღეს ყოველ განათლებულ სახელმწიფოში აღიარებულია ადამიანის პირადი (ბინის, მიწერ-მოწერის, მისვლა-მოსვლის, პროფესიის) და სხვაგვარადი თავისუფლება (თავისუფლება სინდისის, კავშირის, კრების, პრესის და სხვა), ყოველ სრულწლოვან და უფლება აუყრელ ადამიანს მინიჭებული აქვს პოლიტიკური უფლებები — მონაწილეობის მიღების უფლება ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. და ყველაფერა ეს აღსუსხულია წერილობით აქტში, რამეჯსაც ეწოდება კანსტიტუცია.

ინგლისს არ აქვს დაწერილი, ერთად თავმოყრილი კონსტიტუციური აქტები. ეს აიხსნება ისტორიული პირობებით. იქ თანდათანობით მყარდებოდა უფლებრივი წყობილება, ზოგჯერ დაწერილი კანონებით, ზოგჯერ ადათით, პრეცედენტით.

და თუ რამდენად ძლიერია ინგლისში უფლებრივი წყობილება, ეს სჩანს შემდეგიდან.

ერთს ინგლისელს ჰკითხეს: როგორ მოიქცეოდა ის სოლსბერის რომ პარლამენტის დაუკითხავად გადასახადი დაეწესებია. — „მე არ გადავიხდიდიო“, უპასუხა მან. — „მაგრამ რომ ისარგებლოს ძალა-უფლებით და იძულებით დაიწყოს გადასახადის შეკრება? — „ძალაზე მე ძალით ვუპასუხებდი, და მას აღბათ იმავ დღეს ჩამოაღორჩობდენ მისივე სახლის კარებთან“.

ფერდინანდ ლასალმა თავის ცნობილ სიტყვაში კონსტი-

ტუციაზე, ასე სთქვა: „კონსტიტუციის საკითხი პირველ ყოფლისა ძალის საკითხია და არა უფლებებისა. ქვეყნის ნამდვილი კონსტიტუცია არსებობს მხოლოდ ძალთა ფაქტიურ განწყობილებაში, რომელიც იქ ბატონობს. დაწერილ კონსტიტუციას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა და შეუძლია დიდხანს არსებობა, როცა ის გამომხატველია სახელმწიფოში არსებულ ძალთა ნამდვილ განწყობილების“.

მართლაც, რამდენი კარგი კონსტიტუცია დაიწერა 1848 წლის რევოლუციის დროს ევროპის მრავალ სახელმწიფოში, მაგრამ თითო-ორი წელს ზევით არც ერთს არ უცოცხლია: დაწერილი კონსტიტუცია იქ აღმოჩნდა მხოლოდ ცარიელი ქაღალდის ნაგლეჯად.

ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, ვითომ დაწერილი კონსტიტუცია საჭირო არ იყოს. ასეთი კონსტიტუცია ყველას აქვს (ინგლისს გარდა): ამერიკას, საფრანგეთს, შვეიცარიას, ბელგიას, ისპანიას, იტალიას და სხვ.

კონსტიტუციურ მონარქიაში განსაზღვრულია ხალხის წარმომადგენლობის უფლება ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით მეფის უფლება. დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი ძალა-უფლება ხალხს უპყრია და ხალხი მხოლოდ ანდობს სხვებს მის განხორციელებას მისივე სასტიკი კანტროლის ქვეშ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, საქმე კონსტიტუციის დაწერა როდია, თავი და თავი ის არის, რომ მოეწყოს საზოგადოებრივ ძალების ორგანიზაცია ისე, რომ კონსტიტუციის დარღვევა ვერაფერს გაბედოს. ამერიკაში და ინგლისში ეს საქმე სასამართლოს აქვს მინდობილი.

გავიმეოროთ მოკლედ ნათქვამი: კონსტიტუციის ძალა თითონ საზოგადოების სიძლიერეშია. კონსტიტუცია შეიცავს აღნუსხვას იმისას, თუ რა ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს მოღვაწეობა ერთის მხრით სახელმწიფო ხელისუფლების, ხოლო მეორე მხრით ყოველი მოქალაქის. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია სავალდებულოა არა მარტო აღმასრულებელ ხელისუფლების-მთავრობისათვის, არამედ თვით კანონმდებელ ორგანო-პარლამენტისათვის.

შენტისათვის. პარლამენტი კანონმდებლობს იმ ჩარჩოებში, რომელიც თვით კონსტიტუციით არის შემოვლებული. ამიტომ კონსტიტუციის რომელიმე მუხლის შეცვლა შეუძლია არა პარლამენტს, არამედ არა ჩვეულებრივ კრებას—საფრანგეთში მაგალითად ორივე პალატის შეერთებულ კრებას—საერო კრებას.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტით დემოკრატიული რესპუბლიკა არის მუდმივი და უცვლელი ფორმა სახელმწიფოსი.

### შეერთებული სახელმწიფოება.

არსებობს ორი მთავარი ტიპი შეერთების: კავშირი სახელმწიფოება (კონფედერაცია) და საკავშირო სახელმწიფო (ფედერაცია).

პირველი ნიშნავს დამოუკიდებელ სახელმწიფოების შეერთებას. თითოეული წევრი. ამ კავშირისა დამოუკიდებელი სახელმწიფოა: აქვს საკუთარი წყობილება, ფული, ყავს ჯარი და სხვ. კავშირი ემყარება მიზანშეწონილობის პრინციპს. უმთავრესი და თითქმის ერთად ერთი მიზანი, რომელიც მას საფუძვლად უდევს, ეს არის გარეშე მტრის მოგერიება საერთო ძალით.

საკავშირო სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილთა შორის გაცილებით უფრო ძლიერი კავშირია. თითოეული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლათ განაგებს შინაურ საქმეებს, მაგრამ ის, რაც ყველასათვის საერთოა, ერთობ ფართეა. მათ ყავთ საერთო თავი, აქვთ საერთო საკანონმდებლო ორგანო, ჯარი და საფინანსო სისტემა, საბაჟო, გადასახადების სისტემა—საერთოა. პრაქტიკულად შეუძლებელია სისწორით განსაზღვრა ფედერაციის და კონფედერაციის. მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება გადაჭრით: ფედერაციაში უფრო ძლიერია კავშირი ცალკე სახელმწიფოთა შორის და თითოეული სახელმწიფო შიგნით ნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობს, ვინემ კონფედერაციაში.

სახელმწიფოთა კავშირის სანიმუშოთ უნდა მოვიყვანოთ გერმანიის კავშირი 1866 წლამდე.

საკავშირო სახელმწიფო ანუ ფედერაცია არსებობს შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1918 წლის ნოემბრამდე ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა აგრეთვე გერმანია, რომელიც დღეს რევოლიუციის პროცესშია და რა სახეს მიიღებს მისი პოლიტიკური წყობილება, ჩვენ არ ვიცით.

შვეიცარია შესდგება 22 პატარა სახელმწიფოსაგან (კანტონები). შვეიცარიის ფედერალურ კონსტიტუციაში აღნიშნულია კავშირის მიზანი: „რათა უზრუნველყოფილ იქნას სამშობლოს დამოუკიდებლობა გარედან, დაცულ იქნას წესიერება და მშვიდობიანობა შიგნით“. თითოეული კანტონი დამოუკიდებელია, რამდენათ ეს არ ეწინააღმდეგება საკავშირო კონსტიტუციას. თითონ კონსტიტუციაშია აღნიშნული, თუ რა საქმეები ექვემდებარება ცალკე კანტონს და რა საერთოდ ყველას.

კავშირის უმაღლესი ხელისუფლება უპყრია ფედერალურ კრებას, რომელიც შესდგება ორი საბჭოსაგან: სენატს და საკანტონთა საბჭოს. სენატს ირჩევს ცალკე კანტონი ყოველ 20 ათას მცხოვრებზე ერთს დეპუტატს 3 წლის ვადით. საკანტონთა საბჭოს კი შესდგება 44 დეპუტატისაგან (ორ-ორი თითო კანტონზე— $2 \times 22$ ). ფედერალურ კანონის გამოსაცემათ საჭიროა ორთავე საბჭოს თანხმობა.

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება კავშირში ეკუთვნის ფედერალურ საბჭოს, რომელიც შესდგება 7 პირისაგან და არჩეულია ფედერალურ კრებისაგან. ამ საბჭოს თავმჯდომარეობს მისი ერთ-ერთი წევრი.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, (ინგლისის ყოფილი ახალშენი) როგორც დამოუკიდებელი საკავშირო სახელმწიფო არსებობს 1787 წლის კონსტიტუციით. შტატების სათავეში სდგას პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 4 წლის ვადით, და კანცლერი, როგორც საკანონმდებლო ორგანო. კონგრესი შესდგება ორი პალატისაგან: სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. ამ უკანასკნელს შეადგენს 325 დეპუტატი, ყველა შტატებისაგან არჩეული 2 წლის ვადით. ცალკე შტატებისაგან დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა

რაოდენობით. სენატის წევრებს ირჩევენ ცალკე შტატების საკანონმდებლო კრებები ორ-ორს თითო შტატიდან 6 წლის ვადით.

კონგრესის საკანონმდებლო უფლება განისაზღვრება მთელი კავშირის საერთო საქმეებით, როგორცაა: სესხის აღება, სამხედრო ბეგარა, ომის გამოცხადება, საშინაო და საგარეო ვაჭრობის წესები, საფოსტო საქმე, ფულის სისტემა, გადასახადების აკრეფა მთელი კავშირისათვის. დანარჩენ საკითხებში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის თითოეულ შტატს თავის საზღვრებში.

აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენელია შტატების პრეზიდენტი. საკანონმდებლო სფეროში მას ეკუთვნის შედარებითაა veto-ს უფლება: მას შეუძლია უკან დაუბრუნოს თავის შენიშვნებით კანონპროექტი იმ პალატას, რომლის ინიციატივითაც ის მიღებულია, მაგრამ თუ კანონპროექტი ხელახლა მიიღეს ხმების  $\frac{2}{3}$  უმრავლესობით, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის თანხმობა საჭირო აღარ არის.

აღმასრულებელ მართველობის სფეროში პრეზიდენტს ეკუთვნის ადმინისტრაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა. მინისტრები პრეზიდენტის აგენტებია და მხოლოდ მის წინაშე აგებენ პასუხს და არა პარლამენტის წინაშე. სამაგიეროთ თვით პრეზიდენტია პასუხისმგებელი კონგრესის წინაშე, რომელსაც შეუძლია მისი სამართალში მიცემა.

ცალკე შტატებს აქვთ საკუთარი კანონმდებლობა, მართველობა და სასამართლო იმ საქმეებს გარდა, რომელიც კონსტიტუციით საერთოა მთელი კავშირისათვის.

ცალკე შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგანან გუბერნატორები.

### უნია და პრეტექტორატი.

არის კიდევ ერთგვარი შეერთება სახელმწიფოების, ეგრეთ წოდებული უნია. უნია ეწოდება ისეთს შეერთებას, როცა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ერთი მეფე ჰყავს. თავის მხრით

უნიაც ორგვარია: ა) ზეწისინაღუწია, როცა ორ სახელმწიფოს არაფერი აქვთ საერთო არც კანონმდებლობაში, არც დაწესებულებებში, და მხოლოდ ერთი საერთო მეფე ჰყავთ. ასეთი კავშირი არსებობდა ერთ დროს ინგლისსა და ჰანოვერს შორის. ბ) რკაღუწია უნია, როცა საერთო მეფეს გარდა ორ სახელმწიფოს ზოგიერთი საერთო დაწესებულებებიც აქვს, რაც აღმოცენებულია საერთო ინტერესების საფუძველზე. ასეთ კავშირს წარმოადგენდა 1918 წლის რევოლიუციამდე ავსტრო-ჰუნგრეთი, სადაც საერთო მონარქს გარდა საერთო იყო ზოგიერთი მინისტრი, საიმპერიო დელეგაცია, რომელიც განაგებდა საერთო საქმეებს კანონმდებლობის, ბიუჯეტის და სხვ.

**წრატექტორატა.** ზოგჯერ უფრო სუსტი სახელმწიფო იმყოფება უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, რაც იმაში გამოიხატება, რომ სუსტი სახელმწიფო შინაურ საქმეებში დამოუკიდებლათ მოქმედობს, მაგრამ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში ის შეზღუდულია ძლიერი სახელმწიფოს ნება-სურვილით. სამაგიეროთ ძლიერი სახელმწიფო მის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოს დახმარებას უწევს. პირობები ამ დახმარების აღინიშნება ხოლომე სათანადო ხელშეკრულობით აღნიშნულ სახის დამოკიდებულებას ეწოდება წრატექტორატა. პროტექტორატის მაგალითად გამოდგება რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება 1783 წელს. ამ ხელშეკრულობის (ტრაქტატის) ძალით რუსეთს დახმარება უნდა გაეწია საქართველოსათვის, რისთვისაც საქართველო უხდიდა მას განსაზღვრულ ხარჯს, სამაგიეროთ საქართველოს შინაურ საქმეებში რუსეთი არ უნდა ჩარეოდა. როგორც ვიცით, რუსეთმა ეს პირობა დაარღვია და საქართველო რუსეთის გუბერნიათ გადააქცია.

### სასამართლო.

სახელმწიფო ხელისუფლების ზემოდ აღნიშნულ ორ ფუნქციას გარდა (საკანონმდებლო და აღმასრულებელი) აღსანიშნავია კიდევ მესამე — სასამართლო. სასამართლო ის ორგანოა,

რომელიც თვალ-ყურს ადევნებს კანონების ასრულების საქმეს. კანონის დარღვევას ხშირათ აქვს ადგილი როგორც კერძო პირის, ისე აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრით. ასეთს შემთხვევაში ყოველ უფლებრივ სახელმწიფოში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის სასამართლოს, რომლის განაჩენი ყველასთვის სავალდებულოა — როგორც უბრალო მომაკდრვისათვის, ისე მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებისთვისაც კი. თვით პარლამენტსაც კი არ აქვს ნება, სასამართლოს განაჩენის შეცვლის ან გაუქმების.

განსაკუთრებული ალავი უჭირავს სასამართლოს ინგლისში. იქ სასამართლო სახელმწიფოს ძირითად კანონების (კონსტიტუციის) დამცველიცაა. მის მსჯავრს თვით პრემიერ-მინისტრიც კი ვერ წაუვა და თავს ფერ იმართლებს ვერავითარ სახელმწიფოებრივ მოსაზრებებით. გარდა ამისა არც ერთს მოხელეს არ შეუძლია კანონის დარღვევაში თავი იმართლოს უფროსის ბრძანების ასრულებით.

ასეთივე ადგილი უჭირავს სასამართლოს აგრეთვე ამერიკაში. ინგლისელებმა და ამერიკელებმა მოქალაქის უფლებების დაცვა სასამართლოს მიანდვეს. და რომ სასამართლომ შესძლოს თავის მოვალეობის პირნათლად ასრულება, ამისთვის საჭიროა, რომ ის დამოუკიდებელი იყოს და არავის არ ემორჩილებოდეს, გარდა კანონისა. ინგლისში და ამერიკაში, ეს მიღწეულია მოსამართლეთა შეუცვალებლობით (несменяемость): არავის არ აქვს ნება მოსამართლე დაითხოვოს ან ერთი ადგილიდან მეორეში გადაიყვანოს. ეს შეუცვალებლობა მეტნაკლებობით თითქმის ყველგან არსებობს: თვით რუსეთის თვითმპყრობელობაც კი სცნობდა მას ფორმალურად მაინც, თუმცა ფაქტიურად სასამართლო ხშირათ ადმინისტრაციის ნების ამსრულებელი იყო.

II.

საქართველოს სახელმწიფო სამართალი.

საქართველს სახელმწიფოებრივი წყობილება.

საქართველს სახელმწიფოს წარმოშობა. დამოუკიდებლობის აქტი.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ცალკე სახელმწიფო, ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ არსებობდა, თუმცა მის ცალკე კუთხეთა შორის არ იყო მტკიცე სახელმწიფოებრივი კავშირი.

მაგრამ დავით აღმაშენებლის დროს (11—12 საუკ. ქრისტ. შემდ.) საქართველო უკვე გაერთიანებული და საკმაოდ ძლიერი იყო. ეს ძლიერება კიდევ უფრო განმტკიცდა თამარ მეფის დროს, როცა საქართველოს ძალა-უფლება თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაზე ვრცელდებოდა ამა თუ იმ სახით.

მაგრამ მეცამეტე საუკუნიდან იწყება საქართველოს ძლიერების დაცემის ხანა, რაც მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოიხატა სახელმწიფოს დანაწილებით: ოსმალეთმა მას ჩამოგლიჯა საუკეთესო ნაწილი—მესხეთა ანუ ძველი ზემოქართლი და მისი მცხოვრებლები გაამაჰმადიანა. ამ დროდან საქართველო დანაწილებული იყო სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ, რომელთა შორის ხშირად ბრძოლა და ქიშპობა წარმოებდა.

მიუხედავად ამისა, საქართველო 1801 წლამდე მაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა და თავის საქმეებს საკუთარი სურვილისამებრ განაგებდა.

1801 წელს კი მან ეს დამოუკიდებლობა დაჰკარგა და მთელი 117 წლის განმავლობაში რუსეთის უბრალო განაპირა კუთხეს შეადგენდა.

1918 წლის 26 მაისს ღირს-შესანიშნავი ამბავი მოხდა: ყოფილ მეფის ნაცვლის სასახლის თეთრ დარბაზში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და აღიარა, რომ „ამიერიდან საქართველს საღისე სუვერენულ უფლებათა მატარებლად და საქართველო სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

ასეთს დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს, როგორც არის სახელმწიფოსაგან მისი ნაწილის ჩამოშორება, ეროვნული საბჭო ასაბუთებს იმით, რომ რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული პირობა, რომელიც მას ავალებდა საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა, და „რუსის ჯარმა დაუტევა ამიერკავკასია“.

თავისთავად ცხადია, რომ დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული პირობა გულისხმობს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II დასდეს ერთმანეთ შორის 1783 წ. ამ ხელშეკრულებით, რუსეთი აწესებდა საქართველოზე პროტექტორატს. ამ პროტექტორატის ძალით, საქართველო ერთგული უნდა ყოფილიყო რუსეთის, სამაგიეროდ რუსეთი იფარავდა მას გარეშე მტრისაგან და კისრულობდა იარაღით იქნებოდა ეს თუ სხვაგვარი გავლენით დაებრუნებია ქართლ-კახეთისათვის ის ადგილები, რომელიც ოსმალეთს ეჭირა (მესხეთი). იმავე დროს საქართველოს შინაურ საქმეებში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო 1783 წლის ხელშეკრულების ძალით.

1790 წელს ერეკლე მეფემ ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით იმერეთის მეფე სოლომონმა, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლმა და გურიის მთავარმა სიმონმა თავიანთ ქვეშევრდომების საყურადღებოთ განაცხადეს, რომ შეეცდებიან დაიციონ ურთიერთშორის თანხმობა და იცნონ ქართლ-კახეთის მეფის მზრუნველობა.

ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ რუსეთს არაფერი უთქვამს. 1791 წ., რუმინის ქალაქ იასსაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული იქნა საზავო პირობა, რომლის ძალით ოსმალეთს ევალებოდა საქართველოს არ შესეოდა თავისი ჯარებით.

1798 წ., ეკატერინეს გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, გარდაიცვალა თვით ერეკლე, რომლის შემდეგ ტახტზე ავიდა გიორგი XII. გიორგიმ ხელშეკრულების თანახმად მოსთხოვა იმპერატორ პავლე I სამეფო ნიშნები (ინვესტიტურა), მაგრამ პავლეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს რუ-

სეთის უბრალო გუბერნიათ გამოცხადება, რაც მან განახორციელა 18 იანვრის 1801 წლის მანიფესტით.

ამ გვარად, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც 1919 წლის 12 მარტს ერთხმად დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, თუმცა რუსეთის რევოლუციის შედეგია, მაგრამ იურიდიულათ არ არის რევოლუციური აქტი: ის წარმოადგენს მხოლოდ აღდგენას იმისას, რაც 1783 წ. ტრაქტატის წინააღმდეგ რუსეთმა გააუქმა. რუსეთს არც პროტექტორატის უფლება აქვს მას შემდეგ, რაც მისმა ჯარებმა ჩვენი ტერიტორია მიატოვეს იმ დროს, როცა საშინელი საფრთხე მოგველოდა ოსმალეთისაგან.

მართალია, რუსეთმა თითქოს შეასრულა თავისი ვალდებულება: 1829 წელს მან ჩამოაყალიბა ოსმალეთს ახალციხე—ახალქალაქის მხარე, ხოლო 1878 წელს პათომ-არტაანი, მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს კუთხეები მან თავისთვის დაიპყრო, ერთი ახალი უსამართლობაც ჩაიდინა: აღნიშნულ კუთხეებში და აგრეთვე ლორში ხელოვნურად გაამრავლა მცხოვრებთა ახალი ელემენტები.

### ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება

დიდ ხანს არავინ სცნობდა საქართველოს, ხელსაც უშლიდნენ. მაგრამ 1920 წლის 12 იანვარს უმაღლესმა საბჭომ პარიზში აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა de facto.

### საქართველოს ტერიტორია.

დღევანდელი საქართველოს ფაქტიური სიზღვრები უფრო ვიწროა, ვინემ მისი ისტორიულ-ეკონომიური მოხაზულობა. დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობის ლოდიკა მოითხოვს, რომ მის განკარგულებაში იყოს თავდაცვის ყველა ხელმისაწვდომი საშუალებები, რომელთა შორის საზღვრებს საპატიო ალაგი უკავია.

„საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად.

„საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; ის არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით.

„საქართველო იმავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკო-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყოველის მხრით კედლები არტყია: ჩრდილოეთით მას აკრავს კავკასიონის ქედი მისი მთავარი შტოებით; სამხრეთით მას ზღუდავს აგრეთვე თოვლიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა: სამხრეთ-კავკასიის მთავარი წყალთა გამყოფი ქედი (მტკვრისა და ჭოროხის აუზების სამხრეთ საზღვრებზე შემორტყმული); დასავლეთით არტყია შავი ზღვა და მხოლოდ ერთის ვიწრო პირით—აღმოსავლეთის მხრიდან—ეკვრის საქართველო ადერბეიჯანის ბარს, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთიანი ხაზი გაჰყოფს: კავკასიის მთავარი მდინარე მტკვარი, თავისი შემდინარეებით: ძეგამით და ალაზან-ქურმუხით“.

ასეთია ისტორიული საქართველო. ამ საზღვრებში მოთავსებულს ტერიტორიას საქართველოს სახელმწიფოსას შეადგენს დღევანდელის ადმინისტრაციულის დანაწილებით შემდეგი კუთხეები: ბათომ-არტაანი, თფილისის და ქუთაისის ყოფილი გუბერნიები, სოხუმისა, სოჭისა და ზაქათალის ოლქები და სანაპირო მხარეები: ქვემო-ყარაიას ველი და ყაზახ-შამშადილი, რომელიც რუსეთის მმართველობის მიერ მოხდენილ ადმინისტრაციულ გადაჯგუფების დროს ჩამოეჭრა საქართველოს.

კანონით დაწესებული მტკიცე სახელმწიფო საზღვრები არ ვვაქვს ჩვენ ჯერ. კონსტიტუციის პროექტში, რომელიც ჯერჯერობით მიღებულია მხოლოდ დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, აღნიშნულია მთავარი დებულებანი ტერიტორიის შესახებ. იქ ნათქვამია: სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაფართოება ან სადაო საზღვრების შესწორება ხდება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით. სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ვაცემა, გაყოფა და გაყიდვა შეუ-

ძლებელია, რადგან იმავე კონსტიტუციის პროექტით „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“.

### საქართველოს მოსახლეობა.

საქართველო განიყოფება ორ დიდ გეოგრაფიულ და სამეურნეო-ეკონომიურ ერთეულად: ა) აღმოსავლეთი საქართველო — ლიხის მთას აქეთ და დასავლეთი საქართველო ლიხის მთას ვადაღმა.

საქართველოს ამ ორ მთავარ ნაწილში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს ქართველობა. 1916 წელს, ჯარში გაწვეულებს გარდა, საქართველოში ითვლებოდა დაახლოებით  $2\frac{1}{2}$  მილიონი მცხოვრები და მათში ქალაქების მითვლით ქართველობა შეადგენდა 79%, ხოლო თუ ქალაქებს გამოვრიცხავთ, ქართველობა გამოვა ყველა მცხოვრებლების 86%. ცალკე სოხუმის ოლქი რომ ავიღოთ იქ ქართველობა შეადგენს მცხოვრებთა 55%, აფხაზები 33%, ხოლო დანარჩენი 11% სხვა წვრილ ეროვნებათა წარმომადგენლებია. მესხეთში — 64%, კერძოდ ბათუმის ოლქში 91%.

### მოქალაქეობა.

მიუხედავად ასეთი ეროვნული შემადგენლობისა, საქართველოს მოქალაქეობის კანონს საფუძვლათ უდევს ანა კრფა-ხუფა, არამედ ტერიტორიულ პრინციპს. აწ მომქმედ მოქალაქეობის კანონით „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.)“. მაშასადამე ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა, და ყველა ეროვნების პირი ჩაითვლება მოქალაქედ, თუ კი ის ადგილობრივი მკვიდრია, ესე იგი შემთხვევით კი არ არის მოსული, არამედ ორგანიულად შეკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან. 1914 წლის 19 ივლისის ძვ. სტ. იმისთვის არის აღებული

ლი მიწერის უკანასკნელ ვადათ, რომ ამ დღეს გამოცხადდა ომი რუსეთ-გერმანიის, და მას შემდეგ ცხოვრება არეულ-ღარეულია.

გარდა ამისა, ჩვეულებრივ მემკვიდრეობითი წესის თანახმად საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება შვილი მოქალაქისა.

არა მოქალაქეს შეუძლია გახდეს საქართველოს მოქალაქედ ნატურალიზაციის წესით. ამისთვის საჭიროა, რომ მოქალაქეობის მსურველი უკანასკნელ ორ წელიწადს სცხოვრობდეს საქართველოში. წამაგი ქვეშევრდომობა ჩვენი კანონით აკრძალულია.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას კარგავს: ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით; ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად; გ) ქალი, უკეთუ ის უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

### მოქალაქის უფლებანი.

როგორც ყველგან, საქართველოშიაც მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღქურვილი პოლიტიკური უფლებით. ბევრს ჰგონია, რომ ეს დემოკრატიზმის ღალატია. მათის ფიქრით, დემოკრატიულმა სახელმწიფომ ყველას უნდა მიანიჭოს პოლიტიკური უფლებები როგორც მოქალაქეს, ისე არა მოქალაქეს.

ამ აზრის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქეს უფლებებს გარდა მოვალეობებიც აწევს—ასეთია, მაგალითად, სამხედრო ბეგარა. სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რასაკვირველია, ვერ აიძულებთ მოვალეობები იკისრონ და ასეთ პირობებში დიდ უსამართლობას ექნებოდა ადგილი: ბევრი არც კი მოისურვებდა მოქალაქეობას, რადგან იშვიათია ისეთი პირი, რომელიც მოვალეობათა უღელში გაებმება, თუ კი ისედაც მიიღებს უფლებებს.

## სახელმწიფო ხელისუფლება.

მაღე ორი წელიწადი გახდება, რაც ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მაგრამ კონსტიტუცია საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გვაქვს მიღებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია სისწორით აღვნიშნოთ მთავარი ხაზი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რადგან მოსალოდნელია, რომ კონსტიტუციის პროექტი, რომელიც უკვე მიღებულია დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიაში საერთოდ დადასტურებული იქნება და გარდა ამისა ზოგიერთი საკონსტიტუციო კითხვები ცალკე კანონებით გვაქვს გადაჭრილი.

უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომლის 1 მუხლი სუვერენულ უფლებათა მატარებლათ აღიარებს საქართველოს ხალხს, ხოლო საქართველოს პოლიტიკურ ფორმად აცხადებს დემოკრატიულ რესპუბლიკას (2 მ.). აქტში აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა (5 მ.) და „განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს (6 მ.)“. მაშასადამე საქართველოში თანასწორი უფლებები აქვს მინიჭებული ყველა მოქალაქეს და ყველა ერს და ყოველგვარი წოდებრივი უპირატესობა გაუქმებულია.

მართალია, დამოუკიდებლობის აქტში წამოყენებული დებულებები შეიცავენ მხოლოდ დეკლარაციას, პოლიტიკურ პროგრამას, მაგრამ ეს პროგრამა სავალდებულოა, სანამ არსებული წყობილება არ შეიცვლება და სანამ ხალხი თითონ უდგას სათავეში სახელმწიფოს საქმებს, ის თავის ნებით ხელს არ აიღებს საკუთარ სრულუფლებიანობაზე.

საქართველოს ხალხის უზენაესობის სანიმუშო შეიძლება მოვიხსენიოთ ორი დეკრეტი, რომელიც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლების მატარებელს, ანუ მთავრობას. ერთი დე-

კრეტი ამბობს, რომ მთავრობის თავმჯდომარე არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი, რაც იმას ნიშნავს, რომ შვეიცარიის მსგავსად, ჩვენ არა გვყავს ცალკე პრეზიდენტი და თითონ მთავრობის თავმჯდომარე მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია. მისი მდგომარეობა უფრო საპატიო ხასიათისაა, ვინემ რაიმე განსაკუთრებულ უფლების მატარებელი. და რომ ეს ასეა, იქიდანაც სჩანს სხვათაშორის, რომ ადერბეიჯანთან და სომხეთთან დადებული ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ შევიდა ძალაში, როცა დამფუძნებელმა კრებამ მათი რატიფიკაცია მოახდინა, ე. ი. დაამტკიცა. მეორე დეკრეტი ეხება დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონის, დეკრეტის, და დადგენილების გამოქვეყნების წესს. აღნიშნულ დადგენილების ძალით, მთავრობის თავმჯდომარე არა თუ არ სარგებლობს veto-ს უფლებით, ის პირდაპირ ვალდებულია დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ კანონს ხელი მოაწეროს. ეს ვალდებულება საკმაო კატეგორიული სახით არის გამოთქმული: ყოველ კანონს, დეკრეტს თუ დადგენილებას, რომელსაც დამფუძნებელი კრება მიიღებს, ხელს მოაწერს აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარე. მაგრამ რომ არავისთვის არ იყოს გაუგებარი მთავრობის თავმჯდომარის როლი, კანონმდებელი დასძინს: ამ უკანასკნელის ხელის მოუწერლობა ვერ შეაჩერებს კანონის და დეკრეტის გამოქვეყნებას და ძალაში შესვლას. აქედან აშკარაა ერთი რამ: მთავრობის თავმჯდომარეს ნება არ აქვს რაიმე სახით ეწინააღმდეგოს უკვე მიღებულ კანონის გამოქვეყნებას; პირიქით, ის ვალდებულია მას ხელი მოაწეროს, ე. ი. საკვეყნოთ აღიაროს, რომ იმისთვის სავალდებულოა მიღებულ კანონის ასრულება.

მაშასადამე უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი საქართველოს რესპუბლიკაში თვით ხალხია.

### ს ა ხ ა ლ ხ ე წ ა რ მ ე მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ა .

საქართველოს ზარღამენტი.

1919 წლის 12 მარტს გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი

და ფარული კენჭის ყრით, პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. დამფუძნებელი კრების დანიშნულებაა კონსტიტუციის, ე. ი. საქართველოს ძირითად კანონების შემუშავება და მიღება, მანამდე კი ის იძულებულია აწარმოოს ჩვეულებრივი საკანონმდებლო მუშაობა, ე. ი. იტვირთოს პარლამენტის როლი. კონსტიტუციის მიღების შემდეგ დამფუძნებელი კრება დაიშლება.

კონსტიტუციის პროექტით, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო, პროპორციული, თანასწორი, პირდაპირი და ფარულის კენჭის ყრით არჩეული 120 დეპუტატისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლათ სქესისა, რომელსაც 20 წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა ორი წლის ვადით.

პარლამენტის წევრნი განსაკუთრებული საპატიო მდგომარეობით სარგებლობენ: პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება მათი დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს მიუსწრებენ. მაგრამ პარლამენტს ასეთ შემთხვევაშიაც შეუძლია თავის წევრის განთავისუფლება.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ ხაზინიდან გასამრჯელო. მათ არ შეუძლიათ დაიჭირონ რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა, გარდა მთავრობის წევრობისა ან კანტროლიორობისა.

პარლამენტი ერის სუვერენობის მატარებელია, მაგრამ კონსტიტუციით დადებულ ფარგლებში. ასეთი ფარგლები, მაგალითად, აღნიშნულია პროექტის მე—2-ე ნაწილის 1 მუხლში, სადაც ნათქვამია: მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ან მე—4-ე მუხლით საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა. პარლამენტს, მაგალითად, არ შეუძლია სახელმწიფო ენად გამოაცხადოს სხვა რომელიმე ენა, რადგან ეს იქნებოდა კონსტიტუციის დარღვევა, რაც რასაკვირველია არ შეეფერება პარლამენტის დანიშნულებას.

პარლამენტის ძალა-უფლება<sup>1</sup> უმთავრესად კანონმდებლობაშია. ის „გამოსცემს კანონებს, ფურცლებს და დადგენილებებს“ მაგრამ მას მიკუთვნებული აქვს აგრეთვე მრავალი აღმასრულებელი ფუნქციაც, რაც აღნიშნულია კონსტიტუციის მე—9-ე მუხლში: „პარლამენტს ეკუთვნის უმაღლესი გამგებლობა ჯარის, და საერთოდ რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების. პარლამენტის უფლებას შეადგენს ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, დამტკიცება საზღვაო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან, აგრეთვე ამინისტის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. პარლამენტი ამტკიცებს ბიუჯეტს და საერთოდ კანტროლს უწევს აღმასრულებელ ხელისუფალთა მოქმედებას“.

ერთი სიტყვით, ხალხი პარლამენტის საშვალეებით განაგებს არა მარტო კანონების გამოცემის საქმეს, არამედ მართველობის საქმეებსაც. მთავრობისათვის კანტროლის გასაწევად პარლამენტს აქვს კიდევ ერთი საშვალეობა: ეს არის უფლება მთავრობისათვის შეკითხვის და კითხვის წარდგენისა მისი მოქმედების გამო; შეკითხვის და კითხვის წარდგენა შეუძლია ყოველ წევრს, ხოლო კითხვის ან შეკითხვის საგანი კი შეიძლება იყოს როგორც უკანონო, ისე მიზანშეუწონელი მოქმედება მთავრობისა. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია პასუხი წარუდგინოს პარლამენტს და თუ პარლამენტმა მთავრობის პასუხი არ მოიწონა, მთავრობა უნდა გადადგეს ე. ი. როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, დგება სამინისტრო კრიზისი. მართველობის ასეთს წესს, როგორც ვიცით, ეწოდება ზარღამენტარიზმი. თუ რამდენათ ძლიერია ჩვენი კონსტიტუციით და უკვე დამყარებულ საპარლამენტო ჩვეულებით პარლამენტარული რეჟიმი, ამას დავინახავთ ქვევით, როცა აღმასრულებელ ხელისუფლებას შევეხებით. ახლა კი საჭიროდ ვთვლით ორიოდ სიტყვით შევხებით ზარტიულ ბრძოლას, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საპარლამენტო მუშაობაზე.

### ზარტიული ბრძოლა.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ნათქვამია, რომ „ზარ-

ლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე ზრუნვისას, რომელმაც ისინი აირჩია“. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან პარლამენტი მთელი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოა, მისი ნება-სურვილების გამომხატველია. მაგრამ ასე არის მხოლოდ ფორმალურად, სინამდვილეში კი სულ სხვას ვხედავთ. იმ ქვეყნებში, რომელთაც ზარღამენტარული რეჟიმი აქვთ, მთავრობის წევრებს ირჩევენ პარლამენტის უმრავლესობისაგან. ეს შეიძლება არ იყოს დაწერილი კონსტიტუციაში, მაგრამ ასეთია სწავლამენტო ჩვეულება, ადამი, რომელსაც იმავ კანონის ძალა აქვს. ჩვენი კონსტიტუციის პროექტითაც, პარლამენტი აირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს და თუმცა მინისტრებს მოიწვევს თავმჯდომარე, მაგრამ დამტკიცება კი პარლამენტის საქმეა. პარლამენტი კი პარტიებათ არის დარაზმული და ყოველი პარტია სასტიკი დისციპლინის გავლენას განიცდის. ასეა ეს ჩვენში, ასეა აგრეთვე ყველა სხვა ქვეყნებში, სადაც კი სახალხო წარმომადგენლობა მოქმედებს, ასე რომ ხალხის ნება-სურვილი, სუვერენობა ეს რომელიმე ძლიერი პარტიის სუვერენობაა, თუ ამ პარტიას უმრავლესობა ჰყავს, ხოლო როცა არც ერთი პარტია არ სარგებლობს აბსოლიუტური უმრავლესობით, მაშინ კავშირს კრავს რამდენიმე მონათესავე პარტია, დგება ეგრეთ წოდებული კოალიცია და კოალიციური სამინისტრო, კოალიციური მთავრობა. როგორ იქცევიან ის პარტიები, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ? ისინი ყოველ საკითხის გამო პარლამენტში ცდილობენ ამცნონ ქვეყანას თავისი აზრი, რითაც ისინი ორ მიზანს აღწევენ: ერთის მხრით ნიადავს უმზადებენ თავის პარტიას შემდეგი არჩევნებისათვის, მეორე მხრით კი აიძულებენ გაბატონებულ პარტიებს და მათ მთავრობას დათმობას.

ჩვენში, როგორც ვიცით, გაბატონებულია საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, რომელსაც დამფუძნებელ კრებაში ჰყავს 105 დეპუტატი. 130-დან. მთავრობის შედგენაც ამ პარტიის ხელშია სავსებით. სხვანაირად მას არც შეუძლია მოქცევა, რადგან ის არის პოლიტიკური პასუხის მგებელი

მთელი მუშაობისათვის, ამიტომ, თუმცა მას თავისუფლად შეუძლია მიანდოს ესა თუ ის ტექნიკური საქმე ყოველ მცოდნე პირს, მაგრამ პოლიტიკურ მონაწილეობის გაზიარება მას არ შეუძლია, თუ ამის თანხმობა არ ექნება სხვა პარტიისაგან, რომელთანაც მას სურს თანამშრომლობა. ასეთს თანამშრომლობას ის ეწეოდა პარლამენტის მოქმედების დროს სოც.-ფედერალისტებსა და სოც.-რევოლიუციონერებთან ერთად, თუმცა საქართველოს პარლამენტშიაც სოც.-დემოკრატიას დიდი უმრავლესობა ჰყავდა და მაშასადამე სხვა პარტიებთან შეუთანხმებლადაც შეეძლო ამა თუ იმ დადგენილების გაყვანა. მიუხედავად უმრავლესობისა მმართველი პარტია იძულებულია მცხოვრებთა ყველა ჯგუფებს გაუწიოს ანგარიში და აკეთოს ის, რაც ასე თუ ისე მთელი ერისათვის არის საჭირო და სასურველი. ასეთია განმტკიცება დამოუკიდებლობისა, რომელიც მხოლოდ 1920 წლის 12 იანვარს იქნა ოფიციალურად აღიარებული ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა მიერ.

### და მ ფ უ მ ნ ე ბ ე ლ ი კ რ ე ბ ა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა.

ჩვეულებრივ დამფუძნებელი კრება პოლიტიკურ გადატრიალებას მოყვება ხოლმე. მისი მუშაობის საგანია დამყარება ახალი პოლიტიკური წყობილებისა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება სულ სხვა პირობებში იქნა მოწვეული, ვინემ, მაგალითად, რუსეთის დამფუძნებელი კრება. ამ უკანასკნელისათვის საარჩევნო დებულება შეიმუშავა დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ.

ჩვენში უდიდესი დამფუძნებლობითი აქტი—დამოუკიდებლობის აქტი—საქართველას ერთგულმა საბჭომ მიიღო. აღნიშნული ეროვნული საბჭო მოწვეულ იქნა 1917 წლის 29 ნოემბერს წმინდა ეროვნულ-კულტურულ საქმეების გასაძღოლათ. ამ დროს ამიერკავკასია ფაქტიურად უკვე ჩამოშორებული იყო რუსეთს, რადგან ჯერ კიდევ ოქტომბერში გარეკილ იქნა რუ-

სეთის დროებითი მთავრობა, რომლის ალავი დაიჭირა სსბჭითა მთავრობამ ულიანოვ-ლენინის მეთაურობით. საქართველო სომხეთსა და ადერბეიჯანთან ერთად წარმოადგენდა ერთს რესპუბლიკას ამიერკავკასიისას.

1918 წლის თებერვლის პირველ რიცხვებიდან ამიერკავკასიის კომისარიატი შესცვალა სეიმმა, რომელმაც აპრილში ოფიციალურათ გამოაცხადა ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან.

მაგრამ დიდ ხანს ვერ იარსება ამიერკავკასიის რესპუბლიკამ: სომხეთის ნაწილი ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს, ხოლო ადერბეიჯანის ზოგიერთ წრეებს თვით დაეტყო ლტოლვა ოსმალეთისაკენ.

ასეთი მდგომარეობა 1918 წლის 26 მაისს დასრულდა სეიმის ნებაყოფლობით დაშლით და ერთი ამიერკავკასიის რესპუბლიკის გაუქმებით. ამავე 26 მაისს სალამოს 5 ს. და 10 წ. ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი.

ამ გვარათ, ეროვნული სსბჭო, რომელმაც შემდეგში საქართველოს პარლამენტის სახელი დაირქვა, რამდენიმეთ თვით წარმოადგენდა დამფუძნებელ კრების მსგავს დაწესებულებას.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება შეიმუშავა საქართველოს პარლამენტმა. ამ დებულებით დამფუძნებელი კრება შესდგება 130 დეპუტატისაგან, რომელნიც არჩეულნი არიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით პროპორციულ წარმომადგენლობის ნიადაგზე.

### კანონის გამოცემის წესი. ინიციატივა.

ფორმალურათ საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის როგორც მთავრობას ისე დამფუძნებელ კრებას, რომელიც მოქმედებს კომისიების შემწეობით. თითონ მთავრობის მიერ შემოტანილმა კანონ-პროექტმა უეჭველად სათანადო კომისია უნდა გაიაროს, ისე ის ვერ დაისმება დამფუძნებელ კრების საზოგადო სხდომაზე განსახილველათ. კომისიიდან პროექტი

გადადის პლენუმში, რომელიც ახდენს ზოგად განხილვას. ეს არის ე. წ. პირველი წაკითხვა. შემდეგ, თუ პროექტი უარყოფილი არ იქნება, მისი მუხლობრივი განხილვა გადაიდება ერთი კვირით, რომლის განმავლობაში შესაძლებელია წერილობითი გზით შესწორებების შეტანა.

მეორე წაკითხვა შესდგება ცალკე მუხლების განხილვაში. ამ გვარათ მიღებული პროექტი გადაეცემა სარედაქციო კომისიას, რომელსაც ის ხელახლა შეაქვს პლენუმში. მესამე კითხვით თავდება კანონ-პროექტის განხილვა, და პროექტი უკვე კანონათ ხდება. ამის შემდეგ საჭიროა მისი გამოქვეყნება.

### კანონის გამოქვეყნება.

საზოგადოთ მიღებული დებულებათ, რომ კანონის არ ცოდნით თავის მართლება არავის შეუძლია. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს რომ ყოველ მოქალაქეს შეუძლია იცოდეს კანონები. სინამდვილეში სულ სხვა ხდება. მაგრამ აუცილებლათ საჭიროა, რომ ფორმალურათ მაინც ყველას ჰქონდეს საშვალეება გაიცნოს გამოსული და მისთვის სავალდებულო კანონი. ამ მიზანს აღწევს კანონის გამოქვეყნება და აღნიშვნა იმისი, თუ რა დღიდან შედის ის ძალაში.

კანონმდებელს შეუძლია თითონ კანონში აღნიშნოს, თუ როდის შევა ის ძალაში.

საქართველოში ყოველი კანონი ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა „კანონთა კრებულში“, თუ სხვა ვადა არ არის დადებული თითონ კანონში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონს ხელს მოაწერს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე და მთავრობის თავმჯდომარე, რომლის ხელის მოუწერლობა ვერ შეაჩერებს კანონის ვერც გამოქვეყნებას და ვერც სისრულეში მოყვანას.

არავითარი სხვა ფორმალური მხარის შესრულება კანონის გამოსაცემად ჩვენში დაწესებული არ არის.

## ეკლესია და სახელმწიფო.

მორწმუნეთა უბრალო კრებულისაგან ეკლესია სახელმწიფოებრივ დაწესებულებათ გადაიქცა.

რუსეთმა საქართველოს შეერთებასთან ერთად ეკლესიასაც წაართვა უფლებები და ის სინოდს დაუმორჩილა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველ თვეებშივე გამოაცხადა ჩვენმა სამღვდელოებამ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა (ავტოკეფალია) და მცხეთაში დიდი ზეიმით აირჩია კათალიკოსი. აღდგენილი იქნა აგრეთვე ბევრი ძველი საეპისკოპოსო.

მაგრამ ამით სულაც არ გადაქრილა ეკლესიის საკითხი, რადგან რევოლიუციამ მტკიცეთ წამოაყენა პრინციპი ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევებისა. ჩვენი კონსტიტუციის პროექტშიაც დადებითად არის ეს საკითხი გადაქრილი. მაგრამ პრაქტიკულ განხორციელებამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია დარჩენილი. ჯერ-ჯერობით სამღვდელოების ხელშია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების შედგენა: ქორწინება, მონათვლა, გარდაცვალების აღნიშვნა მღვდლის ხელით კეთდება, თითონ განქორწინების საქმეც სასულიერო უწყების ხელშია დარჩენილი. ამას და მრავალ სხვა საკითხებს მოწესრიგება უნდა.

ჩვენმა კანონმდებლობამ მხოლოდ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ამ მხრით: 1919 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სასწავლებლებში საშლთო სჯულის სწავლება.

### აღმასრულებელ ხელისუფლება.

მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარე. კონსტიტუციის პროექტით უმაღლესი მართველობა საქართველოში ხალხის ხელშია. მაგრამ ხალხი განაგებს თავის საქმეებს არჩეულ პირების შემწეობით. მისი საკანონმდებლო უფლება სავსებით გადაცემული აქვს პარლამენტს და მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში (როცა 20 ათასი კაცი ან სამი მაზრის ერობა მოითხოვს) სავალდებულოა კანონ-პროექტის კენჭის საყრელად დასმა (რე-

ფერენდუმი). ასეა თუ ისე ბოლოს და ბოლოს კანონმდებელია თვით ხალხი. რაც შეეხება მართველობას, აქაც უმთავრესი საქმეები პარლამენტის ხელშია. მაგრამ ყოველდღიური საქმიანობის გაწევა მთავრობას აქვს მინდობილი. მთავრობა არის ორგანო მართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა. მაგრამ საქმეში მთავრობა არ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ამსრულებელი, როგორც დაბალი მოხელე. პირიქით, მთავრობა არის ერთგვარი პოლიტიკური ხელმძღვანელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ამ შემთხვევაში მას ფართე ასპარეზი აქვს შემოქმედების გამოსაჩინათ. მაგრამ საფუძველი, რომელსაც მთავრობა უნდა ემყარებოდეს, არის კანონიერება. და რადგანაც პოლიტიკური ხაზი ყველა მინისტრებს ერთგვარი უნდა ჰქონდეთ, ამიტომ პასუხს აგებს ამ პოლიტიკისათვის მთელი მთავრობა კოლექტიურად, როგორც ერთი მთელი.

რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარეს ის, ასე ვსთქვათ პირველია თანასწორთა შორის და არავითარ განსაკუთრებულ უფლებებით არ სარგებლობს, ის არის მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და როგორც ასეთი ის გამოსცემს ბრძანებებს და განკარგულებებს კანონების აღსრულებისათვის, მაგრამ მას უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი აღსრულება დააბრკალოს. მართალია თავმჯდომარის უფლებას შეადგენს მინისტრების მოწვევა, მაგრამ დამტკიცება მოწვეულ მინისტრებისა ისევ პარლამენტის საქმეა და ამიტომ ფაქტიურად თავმჯდომარე იძულებული იქნება წინდაწინ შეუთანხმდეს პარლამენტის გაბატონებულ ფრაქციებს და პარლამენტს გარედ მდგომ პარტიულ ორგანიზაციებსაც. მას ინიციატივის უფლებააც კი არ აქვს; ის თავის ნებით შეიარაღებულ ძალებსაც ვერ გამოიყვანს—ამისთვის საჭიროა მთავრობის კოლექტიური დადგენილება. და გარდა ამისა მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევენ მხოლოდ ერთი წლით და მისი არჩევა ზედი-ზედ არ შეიძლება.

## სამინისტროება და მინისტრება.

ჩვენში დღეს არსებობს შემდეგი სამინისტროები: 1. შინაგან საქმეთა, 2. სამხედრო, 3. საგარეო, 4. მიწათ-მოქმედების, 5. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, 6. მომარაგების და 7. იუსტიციის. ამ რვა სამინისტროს ჰყავს შვიდი მეთაური (მინისტრი), გარდა ამისა სამი სამინისტრო: გზათა, შრომის და განათლების მიკერებულია სხვა სამინისტროებზე. აღნიშნული რიცხვი სამინისტროებისა და მინისტრებისა არ წარმოადგენს რაიმე უწყევს, შეიძლება ამ რიცხვის როგორც გადიდება, ისე შემოკლება, რაც დამოკიდებულია სახელმწიფოს სივრცეზე და ზოგიერთ სხვა პირობებზედაც.

რაც შეეხება ცალკე მინისტრებს, კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია მხოლოდ ზოგადად მათი მოვალეობა-უფლებანი, კერძოდ ნაჩვენებია შემდეგი: მთავრობა კოლექტიურათ პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის და თითოეული წევრი მთავრობისა პირადად თავისი მოქმედებისათვის. ნაჩვენებია აგრეთვე ის საერთო-ხასიათის საქმეები, რომლის გამგებლობა ეკუთვნის მთელს მთავრობას; დანარჩენი საქმეები განაწილებულია მთავრობის ცალკე წევრთა შორის კუთვნილებისამებრ.

ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული დებულება ცალკე სამინისტროებისათვის, არ არის სისწორით გადაწყვეტილი რამდენი განყოფილება უნდა იქნეს თითო სამინისტროში, რამდენი მინისტრის ამხანაგი, დირექტორი და სხვ. არ არის განსაზღვრული არც ის, თუ რა იერარქიული დამოკიდებულება უნდა იყოს მინისტრსა და სხვა მოხელეებს შორის. გვაქვს მხოლოდ საერთო ფარგლები: ვიცით ერთის მხრით ის, რომ სრული პასუხის მგებელი თავის უწყების მოქმედებისათვის არის მინისტრი და სამინისტროს ქვემდებარე საქმეები ისეთივეა, რაც რუსეთში იყო, მაგალითად: შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება სახელმწიფოს შინაური დაცვის საქმეები, ან უშიშროების პოლიცია, მასვე ექვემდებარება ფოსტა-

ტელეგრაფი, სანიტარია, თვითმართველობისათვის ყურისგდება და სხვ. სამხედრო მინისტრს მინდობილი აქვს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების ხელმძღვანელობა; იუსტიციის სამინისტროს - მართლ-მსაჯულების საქმის გამგებლობა და სხვ.

### ადგილობრივი მართველობა.

რესპუბლიკის მთავრობა საერთოდ და ცალკე სამინისტროები წარმოადგენენ აღმასრულებელ ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. მათი უფლება სათანადო დარგების ფარგალში ვრცელდება მთელს ტერიტორიაზე.

მაგრამ არის ადგილობრივი მართველობის ორგანოებიც.

რუსეთში ადგილობრივი საქმეების მართვა-გამგებლობა ასე იყო მოწყობილი: ყოველ სამინისტროს ჰყავდა ადგილობრივ ქვემდებარე დაწესებულება. სამეურნეო საქმეებს კი განაგებდნენ ქალაქის თვითმართველობები და ერობები (земство), თუმცა ყველგან არც ერობა იყო შემოღებული. უმთავრესად შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ადგილობრივი მართვის ორგანოები მოწყობილი. ამისთვის მთელი იმპერია დაყოფილი იყო გუბერნიებათ, გუბერნიები მაზრებათ, ხოლო ეს უკანასკნელი სოფლის საზოგადოებათ და „ვოლოსტებათ“. გუბერნიის სათავეში იდგა გუბერნატორი, მაზრისა—მაზრის უფროსი, სოფლის საზოგადოებას და ვოლოსტს განაგებდნენ მამასახლისები, თუმცა ეს უკანასკნელი ერთეულები წმინდა წოდებრივი საგლეხო დაწესებულებები იყო.

ამ მხრით ჩვენში ასეთი ცვლილება მოხდა: ადგილობრივ თვითმართველობებს დაეკისრათ როგორც მეურნეობის, ისე ადგილობრივ მართვა-გამგებობის საქმეები. ამნაირად ჩვენი თვითმართველობები—ერობები და ქალაქები—სულ სხვა ორგანიზაციას წარმოადგენენ ძველი რუსეთის საეროობა და საქალაქო თვითმართველობებთან შედარებით. შეიცვალა ადმინისტრაციული ერთეულებიც. ჯერ ერთი საქალაქო დებულება გავრცელდა მრავალ პატარა დაბაზე და გამრავლდა ახალი ქალაქების რიცხვი (ხაშური, სურამი, სამტრედია, ხონი, ონი, ზესტაფონი

და სვ.) მეორეც ის, რომ ჩვენ გავაუქმეთ გუბერნია და დავტოვეთ მხოლოდ მაზრები. რაც შეეხება წვრილ ერთეულებს, ამ საქმეში ჯერ-ჯერობით სხვა-და-სხვაობას აქვს ალავი: წვრილი ერთეულების გამოჭრა მიენდო სამაზრო ერობებს და თითოეულმა ერობამ თავისებურად მოაწყო ეს საქმე: გურიაში, მაგალითად, წვრილ ერთეულის საზღვარი (თემი) უდრის ძველი სოფლის საზოგადოების საზღვარს, გორის მაზრაში კი რამდენიმე სოფლის საზოგადოება შეაერთეს, რაც იწვევს თემის მართველობის ხალხისაგან გარიყვას.

### ე რ ა ბ ა.

ჩვენში ერობა მოქმედებს ყოფილი ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. საქრამთა დებულების და ამავე კომისარიატის განაწესის თანახმად. დებულება აწესებს ერობის სამს საფეხურს მაგრამ, როგორც უკვე მოვიხსენეთ, გუბერნია საქართველოში გაუქმებულია და მაშასადამე დარჩა ორი საფეხური: სამაზრო ერობა და თემი. დებულებით თითო მაზრისათვის დაწესებულია განსაკუთრებული რიცხვი წევრთა ანუ საქრამთა ხმოსანთა მაზრის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით 25-ან 45-მდე. ქალაქები, გარდა იმისა, რომ მათ აქვთ ცალკე თვითმართველობა, სამაზრო ერობაშიაც ირჩევენ ხმოსანებს. სულ არის შემდეგი მაზრები დასავლეთ საქართველოში (ყოფილი ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი): 1. ქუთაისის, 2. ზუგდიდის, 3. სენაკის, 4. ოზურგეთის, 5. ლეჩხუმის, 6. რაჭის და 7. შორაპნის (სულ 7), სოხუმის ოლქში: 1. გუდაუთ-გაგრის, 2. გუმისტინის, 3. კოდორის, 4. სამურზაყანოს.

აღმოსავლეთ საქართველოში: 1. ტფილისის, 2. გორის, 3. დუშეთის, 4. სიღნაღის, 5. თელავისა, 6. თიანეთის, 7. ახალციხის, 8. ახალქალაქის, 9. ბორჩალოს—სულ ოცი მაზრა.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ერობას მინდობილი აქვს როგორც სამეურნეო, ისე ადგილობრივ მართველობის საქმეები, რაც აღნიშნულია კომისარიატის დებულების 1 მუხლში.

## ხმოსნების ანჩევნების წესი.

ეროპის წევრებს—საერობო ხმოსნებს,—ირჩევენ იმავე წესით, რა წესითაც არჩეულია დამფუძნებელი კრება და კონსტიტუციის პროექტით უნდა აირჩეს პარლამენტი. ეს საარჩევნო წესია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემა პროპორციული წარმომადგენლობის ნიადაგზე. ხმა აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შესრულებია, თუ ის რაიმე დანაშაულისათვის ღირსება აყრილი არ არის. რწმუნების ვადა არის სამი წელიწადი. მხოლოდ პირველად არჩეულებს კომისარიატის დებულებით ვადა უთავდებოდათ 1920 წლის პირველი იანვარს, ხოლო დამფუძნებელმა კრებამ ეს ვადა გააგრძელა კიდევ ათი თვით 1920 წლის პირველ ნოემბრამდე, ასე რომ ეროპის მეორე არჩევნები ამ დროსთვის უნდა მოხდეს.

### საერობო ერთობა და საერობო გამკეობა. ხმოსნება.

დებულების მეათე მუხლის ძალით საერობო დაწესებულებანი განიყოფებიან საერობო ერთობაზე და საერობო გამკეობაზე.

საერობო ყრილობა შესდგება საერობო ხმოსნებისაგან, რომელნიც აირჩევიან სამი წლის ვადით. ხმოსნები მოვალეობას ასრულებენ უსასყიდლოთ, მხოლოდ ისინი ვინც კრების ადგილას არ ცხოვრობენ, მიიღებენ გზისა და გაცდენის საფასურს. ყრილობას, როგორც ვთქვით, ექვემდებარება როგორც ადგილობრივ მეურნეობის, ისე მართველობის საქმეები. ამიტომ დაცულია ერთგვარი პრინციპი ფუნქციების განაწილებისა: ყრილობა ირჩევს თავმჯდომარეს, რომელსაც ნება არ აქვს საერობო მართველობაში რაიმე თანამდებობის დაჭერისა, გარდა საპატიო თანამდებობისა. ყრილობა არის ჩუქულებრივი, რომელიც უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ და ანჩევულებრივი—გარემოების მიხედვით.

საერობო გამკეობა—საერობო დაწესებულების აღმასრულებელი ორგანოა და შესდგება თავმჯდომარისა და არა ნაკლებ

ორი წევრისაგან. როგორც გამგეობის თავმჯდომარეს, ისე წევრებს აირჩევს საერობო ყრილობა. არჩევა შეიძლება როგორც ხმოსნებისაგან, ისე გარეშე პირთაგან.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს მოქმედი საერობო დებულება საკმაოდ შეფარდებული არ არის ჩვენი ცხოვრების პირობებთან, იგი ნაჩქარევად არის შემუშავებული ყოფილ ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ წვრილი ერთეულის კონსტრუქციაზე. საკმაოდ ნათლად არ არის გარკვეული მისი კომპეტენცია, მისი რთული კოლექტიური გამგეობა ერთობ ძვირად უჯდება მცხოვრებლებს, რაც სასურველი არაა. გარდა ამისა ჯერ გარკვეული არაა ერობის საბიუჯეტო უფლების საზღვრები.

### ქალაქის თვითმართველობა.

ქალაქის თვითმართველობანი ჩვენში, როგორც შიდა რუსეთშიაც, წინეთაც მოქმედებდნენ. ცვლილება მოხდა მხოლოდ იმ მხრით, რომ ძველი ქალაქების რიცხვს მოემატა ახალი ქალაქები—მოხდა ბევრი დაბის გაქალაქება—და გაფართოვდა ქალაქების კომპეტენცია: სამეურნეო საქმეებს დაემატა მართველობის ფუნქციებიც.

ამის მიხედვით, მოხდა გაყოფა სასწავსი და გამგეობისა. გამგეობა და საბჭო ძველი დებულებითაც არსებობდა, მაგრამ ძველად საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი. დღეს საბჭო პარლამენტს ჰგავს, გამგეობა კი სამინისტროს.

ქალაქის სასწავსი, რომელიც შესდგება ქალაქის ხმოსნებისაგან, თავის შორის აირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც არ შეიძლება იმავე დროს იყოს რაიმე აღმასრულებელ თანამდებობის პირი.

ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა ქალაქის გამგეობა, რომლის სათავეში სდგას ქალაქის მოურავი. გამგეობას ირჩევს საბჭო, რომლის წინაშე გამგეობა პასუხისმგებელია.

### მთავრობის კანტროლი.

რუსეთის ერობები და ქალაქის თვითმართველობები აღმინისტრაციის სასტიკ კანტროლის ქვეშ იყვენ დაყენებული და მათსა და მთავრობას შორის კონფლიქტები ჩვეულებრივ მოვლენათ იყო გადაქცეული. ეს აიხსნება იმით, რომ თვითმართველობა, მიუხედავთ რუსეთის მახინჯ საარჩენო ცენზიან სისტემისა, მაინც ხალხის წარმომადგენლობა იყო, მთავრობა კი ერთი მუქა თავად-აზნაურობის და ბიუროკრატიისა.

ჩვენი ერობები და ქალაქებიც ექვემდებარებიან კანტროლს (შინაგან საქმეთა სამინისტროს), მაგრამ ეს კანტროლი გამოიხატება კანონიერებისათვის ყურის გდებაში. გარდა ამისა არსებობს საადმინისტრაციო სასამართლო, ასე რომ თვითმართველობის თავისუფალი მოქმედება კანონიერ ფარგლებში უზრუნველყოფილია.

### სასამართლო.

სამოქალაქო დი სისხლის სამართლის საქმეების საწარმოებლათ, საქართველოში არსებობენ მუდმივი სასამართლოები. წოდებების გაუქმების შემდეგ გაუქმდა შესაფერი საგანგებო სასამართლოებიც—სასოფლო, საობლო და სხვ.

უმალესი სასამართლო არის საქართველას სენატა, რომელსაც საკანონმდებლო დაწესებულება ირჩევს.

ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლო დაწესებულებები განიყოფება ორს მთავარ ჯგუფად: 1. სამომრიგებლო სასამართლო, რომელსაც ექვემდებარება: სამოქალაქო საქმეები უკეთეს საჩივარი ორმოცდაათი ათას მანეთს არ აღემატება, ხოლო სისხლის სამართლის ისეთი დანაშაული, რომლისათვისაც კანონით დაწესებულია სასჯელი ღირსების აუყრელად. 2. საზოგადო სამოსამართლო დაწესებულებანი, რომელთაც ექვემდებარება ის დიდი საქმეები, რომელსაც თავისი უფლებით ვერ შეეხება მომრიგებელი მოსამართლე.

ასეთი სასამართლოებია—ოლქის სასამართლოები—სულ

სამი მთელს რესპუბლიკაში: თფილისის, ქუთაისის და სოხუმის. სისხლის სამართლის საქმეებისათვის ოლქის სასამართლო მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ჩვენში დღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თითქმის ყველგან არის უკვე შემოღებული.

საადმინისტრაციო სსსმართლად. 1917 წ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ შემოიღო საადმინისტრაციო სასამართლო იმ საქმეების გასარჩევად, რომელნიც ეხებიან ადმინისტრაციის და საქალაქო და საერობო გამგეობების უკანონო მოქმედებას. ყველა მოქალაქეს აქვს ნება მიმართოს ამ სასამართლოს, როცა მის უფლებებზე დაარღვევს ადმინისტრაცია. რუსეთის დროებით მთავრობის მიერ დაკანონებული საადმინისტრაციო სასამართლო მოქმედებს ჩვენშიაც, როგორც ალქის სსსმართლად (საადმინისტრაციო განყოფილება) (თფილისის ქუთაისის და სოხუმის) და როგორც მეორე ინსტანცია—საქართველოს სენატის საადმინისტრაციო განყოფილება. გარდა ამისა სენატს კანონით უფლება აქვს გააუქმოს ამა თუ იმ მინისტრის დადგენილება, მაგრამ მთელი მთავრობის დადგენილებას ვერ შეეხება.

### III.

#### სისხლის სამართალი.

##### სისხლის სამართლის საგანი.

ადამიანისათვის საჭირო და აუცილებელია საზოგადოება. მაგრამ საზოგადოება რომ არ გაიხრწნას და დაიქცეს,—იმაში უნდა სუფევდეს წესრიგი. ამ მიზანს ემსახურება, საერთოდ, სამართალი, კერძოდ კი სისხლის სამართალი.

სახელმწიფო ქმნის წესებს, რომელთა აღსრულებაც მას მიაჩნია აუცილებელ პირობათ. ვინც ამ წესებს არღვევს, ის ბოროტებას სჩადის, არყევს წესრიგს, ძირს უთხრის სახელმწიფოს. ის მტერია საზოგადოების. მისი მოქმედება და საქციელი არის დანაშაული.

დამნაშავეა როგორც ის, ვინც პირდაპირ არღვევს კანონის ბრძანებას, აგრეთვე ისიც, ვინც არ ასრულებს მას.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მისი საქციელი ანტისაზოგადოებრივია. ამისთვის დამნაშავეს მოვლის შედეგათ მისი საქციელისა ზღვევინება—სასჯელი.

დამნაშავე, დანაშაული, სასჯელი—აი საგანი სისხლის სამართლის მეცნიერებისა.

სახელმწიფო ებრძვის დანაშაულს, უნდა აღმოფხვრას ის. ამ ბრძოლის იარაღათ ის ხმარობს სასჯელს.

სისხლის სამართალი გვეუბნება, თუ რა არის დანაშაული და რა შედეგს იწვევს ის დამნაშავისათვის.

### და ნ ა შ ა უ ლ ა .

დანაშაული არღვევს საზოგადოების ინტერესებს. მაგრამ არ არის არც ერთი ისეთი მოქმედება, რომელიც ყოველთვის და ყველგან დანაშაულათ ყოფილიყოს ცნობილი. სხვა და სხვა ღროს, სხვა და სხვა ხალხს სხვა და სხვა წარმოდგენა აქვს დანაშაულზე. დანაშაულის შინაარსი იცვლება და შეუძლებელია მისი არსებითი თვისებით დახასიათება და განსაზღვრა.

ფორმალურათ დანაშაული წარმოდგენს კანონის მიერ აკრძალულ მოქმედებას. გარეგნულათ დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, ან სიტყვაში. თავის თავად ცხადია, რომ არ შეადგენს დანაშაულსა და სისხლის სამართლის საგანს სურვილები და განზრახვები, რომელიც კვდება და იმარხება ავტორის გულში.

კანონის საწინააღმდეგო მოქმედება შეიძლება იყოს აქტიური და პასიური: კანონის ბრძანების არა სრულებაც დანაშაულია. თუ მოხელე, მაგალითად, განზრახ არ ასრულებს თავის მოვალეობას, ის დანაშაულს სჩადის.

უნდა გვახსოვდეს, რომ „უკანონო“ და „ურიგო“ საქციელი ერთი და იგივე არ არის: მშიერს რომ არ აქამო, ამისთვის სისხლის სამართალი არ დაგსჯის. სისხლის სამართლის ასეთი თვისება გასაგებიცაა: სამართალი, საზოგადოათ, ვერ დაი-

სახვს თავის მიზნათ ადამიანის ბუნების გარდაქმნას. „სამართლის მიზანი ის კი არაა, რომ ქვეყანა სამოთხედ გადააქციოს, არამედ ის, რომ ბოროტებაში ჩაფლული ქვეყანა ჯოჯოხეთად არ გადაიქცესო“, ამბობს ერთი რუსი ფილოსოფოსი.

მოქმედება რომ დანაშაულათ ჩაითვალოს, ამისთვის საჭიროა, რომ ის მიმართული იყოს ისეთ ღირებულების ობიექტის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს სისხლის სამართალი. ასეთია ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, რწმენა, ქონება და სხვა.

შესაძლებელია, რასაც კანონი ღირებულებათ სთვლის, ობიექტიურათ სრულებითაც არ წარმოადგენდეს ღირებულებას, მაგრამ სანამ ის სისხლის სამართლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, მანამდე იმაზე ხელის აღება დანაშაულათ ჩაითვლება.

ამაში იხატება სამართლის ფორმალიზმი.

მხოლოდ კანონის საწინააღმდეგო მოქმედება შეადგენს დანაშაულს. კაცის მოკვლა დანაშაულია, მაგრამ თუ თავდაცემაში უკუგდების დროს მოჰკალი, ეს არ იქნება დანაშაული, იმიტომ რომ კანონის მიერ ნებადართულია თავდაცვა და ამისთვის მიმართვა აუცილებელ ზომისთვის.

მხოლოდ შესარაცხი, კანონის საწინააღმდეგო მოქმედება ითვლება დანაშაულათ. ზოგიერთს პირობებში ჩადენილი საქციელი ვერ ჩაეთვლება ადამიანს დანაშაულათ. მაგალითად სიგიჟეში კაცის მოკვლა.

დანაშაულათ ჩაითვლება მხოლოდ კანონის მიერ სასჯელის მუქარით აკრძალული მოქმედება. ჯერ კიდევ რომაელებს ქონდათ პრინციპათ: *Nullum crimen, nulla poena sine lege*, ე. ი. კანონის დაუწესებლათ არ არსებობს არც დანაშაული და არც სასჯელი.

### ს ა ს ჯ ე ლ ი.

კანონის დარღვევისათვის დამნაშავეს სახელმწიფო სასჯელით უპასუხებს. სასჯელი არის სასამართლოს მიერ განსაზღვრული შედეგი უმართლო მოქმედებისა.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ სასჯელი გამომდინარეობს სამართლის ბრძანებიდან, რომ ის არის იურიდიული შედეგი.

კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას ორი მხარე აქვს: შინაგანი—დამნაშავის სულიერი გაწყობილება, ბორტი ნება, რომლისაგანაც ის წარმოსდგება, და გარეგანი—ამ მოქმედების შედეგი. სისხლის სამართალი ორსავე ამ მხარეს ანგარიშს უწყევს.

ამით სისხლის სამართალი გაირჩევა სამოქალაქო სამართლისაგან, რომელიც ყურადღებას აქცევს მოქმედების მხოლოდ გარეგან მხარეს, იმით მიყენებულ ნივთიერ ზარალს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასჯელი თავს ატყდება მხოლოდ ავტორს უკანონო მოქმედებისა, პირდაპირ დამნაშავეს.

სასჯელს კონკრეტულ შემთხვევაში ადებს სასამართლო, ორგანო სახელმწიფო ხელისუფლებისა.

### სასჯელის მიზანი.

დამნაშავეს კანონი სჯის. იბადება კითხვა—რა აზრი აქვს ამას? ამ კითხვაზე სხვა-და-სხვანაირად უპასუხებენ. ერთნი სასჯელს ასაბუთებენ და ამართლებენ სამართლიანობის უმაღლესი და სამარადისო კანონებით; მეორენი ფიქრობენ, რომ მმართველობა სჯის რა კანონის საწინააღმდეგო საქციელისათვის—ასრულებს ღვთის ნებას, ვინაიდან ამით იფარავს სახელმწიფოს გახრწნისაგან და სხ. მაგრამ დღეს ასეთი განყენებული თეორიები მეცნიერებაში დიდ გასაგალს ვერ პოულობენ: სისხლის სამართალს თავისთვის შემოუსაზღვრავს მხოლოდ ადამიანთა ნება და დამოკიდებულება. ფიქრობენ,—სასჯელის მიზანი ისაა, რომ არ დაუშვას შესაძლებელი ბოროტმოქმედება, დანაშაული. ამ მიზანს ის აღწევს მძლავრი ზედგავლენით ადამიანის სულისკვეთებაზე. სისხლის სამართალი კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის მუდამ სასჯელით იმუქრება. ამ სასჯელის წარმოდგენამ უნდა გაანელოს ადამიანში მიდრეკილება აღკრძალული მოქმედებისადმი, მოჰკლას მისი ბოროტი ნდომა.

ან თუ ასეთმა მუქარამ საკმარისად ვერ იმოქმედა ადამიანზე, ვერ გააფრთხილა ის, ხელი ვერ ააღებია განზრახვაზე, მაშინ მუქარა სინამდვილეთ იქცევა, რათა მთელი არსებით იგრძნოს დამნაშავემ, რომ დანაშაულს აუცილებლათ თანა სდევს სასჯელი. ამით მას უნდა გარეგნულათ მაინც გაასწოროს დამნაშავე, ე. ი. გაასწოროს იმდენათ მაინც, რომ თუ მისი სულიდან სავსებით ვერ აღმოფხვრავს ბოროტ განზრახვებს, ყოველ შემთხვევაში ისინი არ იქცენ საქმედ.

მაგრამ. ყოველთვის შესაძლებელია ასეთი გასწორება თუ არა?

თანამედროვე თეორეტიკოსების აზრით, სისხლის სამართალი არ სცდილობს აუცილებლათ სამაგიეროს გადახდას ბოროტებისათვის, არ მისდევს შურისძიებას, მის მიზანს არ შეადგენს არც დანაშაულობის მსხვერპლის უბრალო დაკმაყოფილება.

მას უნდა დაიფაროს საზოგადოება იმ არე-დარევისაგან, რომელსაც ქმნის დანაშაულობა: არ მისცეს დამნაშავეს ფიზიკური საშუალება ჩაიდინოს დანაშაული.

### დამნაშავე.

დანაშაულის ჩამდენი, დამნაშავე, შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი. როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის სფეროს მხოლოდ ადამიანთა დამოკიდებულება შეადგენს. ისტორიამ იცის პროცესები ცხოველების წინააღმდეგ, როდესაც განსაკუთრებულ ტრიბუნალებს გამოქონდათ მათთვის სასტიკი განაჩენები, მაგრამ ასეთი მოვლენა დღეს ჩვენ მხოლოდ კურიოზათ გვეჩვენება. თვით ე. წ. იურიდიული პირებიც არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ავტორათ.

დანაშაულს ჩვენს დროში სასტიკი ინდივიდუალური ხასიათი ეძლევა. სასჯელი მუდამ თანშეწონილია მოქმედების შინაგან და გარეგან მხარესთან. ამ მხრივ დამნაშავე შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული პირი. ამ მოსაზრებიდან გამო-

დიან, როცა ამტკიცებენ, რომ დანაშაულის ავტორი, დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირიო.

**ზოგიერთა ზარბები, როდესაც განსაზღვრულ მოქმედებას არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულათ.**

რადგან დანაშაულს მხოლოდ კანონის საწინააღმდეგო მოქმედება შეადგენს, ამიტომ შესაძლებელია, მოქმედება გარეგნულათ დანაშაულს გავდეს, მაგრამ სისხლის სამართალში ის არ დასაჯოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში ხდება მოქმედება.

მოქმედება არ ჩაითვლება დანაშაულათ ზოგიერთს, კანონით განსაზღვრულს პირობებში, როგორცაა—ა) კანონის ან სავალდებულო ბრძანების აღსრულება, ბ) უფლების, ანუ პროფესიონალური მოვალეობის განხორციელება, გ) აუცილებელი თავდაცვა, გ) მსხვერპლის თანხმობა.

კანონის აღსრულება. თავის თავად ცხადია, რაც კანონით ნაბრძანებია, ის (ფორმალურათ) დანაშაულს არ შეადგენს და, მაშასადამე, იმისთვის მოქმედების ავტორი არ დაისჯება. ასეთ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ იმას, რომ მოქმედება დადგენილ საზღვარს არ გადასცდეს, რომ ის გატარდეს იმ სახითა და იმ ფარგლებში, რომელიც კანონით არის ნაჩვენები.

ბრძანების აღსრულება. სამსახურში ხელქვეითი ვალდებულია აღასრულოს უფროსის ბრძანება და თავის მოქმედებაში პასუხს არ აგებს: ა) თუ უფროსს უფლება აქვს გასცეს ის ბრძანება და თვით ხელ ქვეითი კი ვალდებულია აასრულოს უკანასკნელი; ბ) თუ ის ბრძანება გაცემულია დაწესებული, სათანადო ფორმით, გ) თუ ის არსებითად კანონიერია, ე. ი. თუ ის არ შეიცავს კანონის საწინააღმდეგო ელემენტს.

თავისა უფლების განხორციელება, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულათ (*Qui suo iure utitur, nemini facit injuriam*), მაგრამ უფლებით აღჭურვილი არ უნდა გადავიდეს თავის უფლების საზღვარს, თავის უფლების განხორ-

ციელების დროს მან არ უნდა შელახოს სხვისი უფლების სფერო.

ზრთველისადაც მთავარად ასრულებს სავალდებულოა და დანაშაულათ ვერ ჩაითვლება, პირიქით, დანაშაული იქნებოდა მისი არ ასრულება. მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ვხვდებით შემთხვევებს, რომელსაც შეუძლია დაბადოს ეჭვი. მაგალითად, ექიმი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ავთმყოფს, მაგრამ აქვს მას უფლება აპერაცია გაუკეთოს ავთმყოფს თუ არა? ხომ შესაძლებელია, რომ მან (ესთქვათ დოსტაქარმა) დასახიჩროს ადამიანი?

კითხვა ასე უნდა გადაიქრას: ექიმი ვალდებულია და უფლება აქვს უაქიმოს ავთმყოფს მისი თანხმობით. ეს თანხმობა იგულისხმება, თუ მისი მოცემა ავთმყოფს არ შეეძლო, ესთქვათ იმიტომ, რომ გონზე არ იყო. ბავშვების, სულით ავთმყოფებისა და შეშლილების მაგიერ ეს თანხმობა უნდა გამომდინარეობდეს იმათგან, ვისი მზრუნველობის ქვეშაც ისინი იმყოფებიან.

ექიმის წინააღმდეგ, თავის თავად ცხადია, ამის შემდეგაც შეიძლება საქმის აღძრა, თუ მტკიცდება, რომ ის სარგებლობდა ავთმყოფის თანხმობით, ბოროტათ იყენებდა უკანასკნელის ნდობას და განძრახს სხადიოდა ბოროტმოქმედებას, მაგალითად, ნელ-ნელა სწამლავდა მის ორგანიზმს, ან დაუშვებელ გაუფრთხილებლობას იჩენდა.

მსხვერპლის თანხმობა ანთავისუფლებს სუბიექტს პასუხის მგებლობისაგან, მაგრამ ყოველთვის კი არა. მაგალითად, A ეუბნება B-ს: „მეგობარო! მინდა დავათავო დაწყებული მოთხრობა, მაგრამ არ მყოფნის ნების ძალა ჩაუჯდე საქმეს; ამიტომ გთხოვ ჩამკეტო კაბინეტში და სალამომდე არ გამილოკარი“. რასაკვირველია, თუ B ასრულებს A-ს თხოვნას, ამისთვის ის არ დაისჯება.

მაგრამ, ესთქვათ, A ეუბნება B-ს: „ამხანაგო! კრილობა მტკივა, საშინლათ ვიტანჯები. გთხოვ მომკლა და გამანთავისუფლო ტანჯვისაგან!...“ ასეთი შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს

ბრალისა და სასჯელის შემამცირებელ ან კიდევ პასუხისმგებლობის გამაუქმებელ პირობათ კონკრეტულ გარემოების მიხედვით.

### იძულებითი თავდაცვა.

უკუგდება უკანონოთ თავდამცემისა ამ უკანასკნელის ასეთუ ისე დაზარალებით ან დაშავებით იწოდება აუცილებელ, იძულებით თავდაცვათ.

აუცილებელი თავდაცვა კანონით ნებადართულია და არც შეიძლებოდა სხვანაირად. თუ სახელმწიფო კი იცავს მოქალაქეს ბოროტებისაგან, ამ უკანასკნელსაც უნდა მიეცეს თავდაცვის უფლება. ასეთი უფლების წართმევა იქნებოდა მსხვერპლისთვის აუტანელი. აუცილებელი თავდაცვის უფლება არის ნება და თავისუფლება ბოროტებასთან ბრძოლისა.

აუცილებელ თავდაცვისთვის საჭირო პირობები ასეთია: თავდაცემა უნდა იყოს უკანონო. ამიტომ არ არის აუცილებელი თავდაცვა იქ, როდესაც მოქალაქე წინააღმდეგობას უწევს მოხელეს, რომელიც მიდის მის დასაპატიმრებლათ სათანადო ორგანოს ბრძანებით ხელში. მაგრამ აუცილებელი თავდაცვა იქნება, თუ ის წინააღმდეგობას გაუწევს მოხელის უკანონო მოქმედებას.

დასაშვებია თუ არა აუცილებელი თავდაცვა მცირე ღირებულების დასაცავათ, როდესაც ის ძვირად უჯდება დამცემს? ამაზე მხოლოდ დადებითი პასუხის მიცემა შეიძლება.

როდესაც აუცილებელ თავდაცვაზეა ლაპარაკი, თავდაცემა ფართოთ უნდა გვესმოდეს. თავდაცემა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი—მაგალითად ძაღლების მისევით. აუცილებელი თავდაცვა გულისხმობს, რომ თავდამცველს მოვლის რეალური საშიშროება თავდამცემისაგან, რომ ეს წამი დადგა.

აუცილებელ თავდაცვის უფლებას მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც უკანონო მოქმედებისაგან იცავ არა მარტო საკუთარ თავსა და ქონებას, არამედ სხვისასაც.

თავის თავად ცხადია, თავდამცველმა არ უნდა გადააქარბოს აუცილებლობას. თუ საკმარისია, მაგალითად, თავდამცემს გულზე ხელი ჰკრა იმისთვის, რომ თავიდან მოიშორო, მაგრამ შენ იმას ჰკლავ, ეს არის გადაქარბება აუცილებლობისათვის, რისთვისაც სისხლის სამართალი პასუხს გაგებიებს, დაგსჯის.

მომქმედი სისხლის სამართლის ძალით, თანახმათ აღნიშნულ პრინციპისა, დასაშვებია დაცვა: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, ქონების, ბინის ხელშეუხებლობის, დედაკაცის პატივის.

კანონი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმავე საბუთით შეიძლება მამაკაცის პატივის დაცვა.

### შერაცხვა (ВМѢНЕНІЕ).

ყველა პირობებში არ შეიძლება ადამიანს პასუხი აგებო მის მოქმედებაში. სისხლის სამართალი ყურადღებას აქცევს მოქმედების არა მარტო გარეგან ეფექტს, არამედ მის შინაგან მხარესაც, ფსიხიურ მოტივებს. არის თუ არა ბოროტი საქმე შედეგი ბოროტი ნებისა—აი კითხვა, რომელზედაც უნდა უპასუხოს მოსამართლემ, როდესაც ის საქმეს არჩევს.

და ცნობა, ანუ აღიარება იმისა, რომ დამნაშავეს შეუძლია პასუხი აგოს სისხლის სამართლის წინაშე, იწოდება შერაცხვით.

შერაცხვა უნდა გამომდინარეობდეს დამნაშავეს ფსიხიურ მდგომარეობის გამოკვლევისაგან. შერაცხვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავეს შესწევს უნარი შეიგნოს მოვლენათა კავშირი და მათი მიზეზები, კრიტიკულათ მოეპყროს თავის წადილებს, განსაჯოს მოქმედების შედეგები და მოიქცეს თანახმად იმ დასკვნისა, რომელსაც უკარნახებს მას საგნის განხილვა. ცხადია, თუ სუბიექტის აზროვნება არ არის ჯანსაღი, თუ მას არ აქვს უნარი შეიგნოს მოვლენათა მიზეზები და შედეგი, თუ ის ვერ არჩევს მოჩვენებას რეალურ მოვლენებისაგან, მაშინ შეუძლებელია მოეთხოვოს მას ანგარიში მის ნამოქმედარში სისხლის სამართლის წინაშე.

დასჯა ასეთი სუბიექტისა იქნებოდა უაზრობა, ის არ იქნებოდა სისხლის სამართლის მიზანთან შეწონილი.

მომქმედ კანონს შეუძლებლათ მიაჩნია შერაცხვა, თუ მოქმედების ავტორი არის მცირეწლოვანი, შეშლილი, გიყი, და სხვ. შერაცხვის იდეა აღმოცენებულია მოქმედების შინაგან მხარის განხილვაზე. უწინდელ დროში ამ მხარეს ყურადღებას არ აქცევდენ: საკმაო იყო გარეგანი კავშირი ნამოქმედარსა და მის შედეგს შორის, რომ დამნაშავე დაესაჯათ, მისი ოჯახის წევრებიც კი.

### კანონმდებანი, რადესაც შერაცხვა შეუძლებელია.

თანახვად სისხლის სამართლის პრინციპისა, შერაცხვას ვერ ექნება ადგილი, თუ სუბიექტი მეტად განვითარებული ფსიხიკის მატარებელია, ან თუ ის ფსიხიური ავთამყოფია. პირველ ჯგუფს ეკუთვიან ბავშვები. ისინი როგორც ფიზიკურათ ისე სულიერადაც მოუმწიფებელნი არიან. მათ არ შეუძლიათ კრიტიკულათ განსაჯონ მოვლენათა კავშირი და მიზეზები, გაერკვენ ადამიანთა რთულ დამოკიდებულებაში. სისხლის სამართალი თავისი საშუალებებით და სისასტიკით რომ თავს დასტყდომოდა ბავშვებს, ის მათ ზნეობრივათ მოსპობდა, გარყვნიდა. ეს კარგა ხანია შეიგნეს დასავლეთ ევროპაში. იქ უკვე მოეწყო ან ეწყობა განსაკუთრებული სასამართლოები ყმათათვის. უკანასკნელნი უფრო დანაშაულის მიზეზებს ეძებენ, ვიდრე ასამართლებენ. ისინი ცდილობენ იმოქმედონ ბავშვებზე არა სასჯელით, არამედ აღზრდით, შკოლებით, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. უკანასკნელ დროს ფრიად განვითარდა სახელოსნო თავშესაფარები და სამიწათმოქმედო ახალშენები მცირეწლოვან დამნაშავეთათვის.

მომქმედი კანონმდებლობა საზღვრავს სამ ასაკს: 10 წლამდე, 17 წლამდე და 21 წლამდე.

10 წლამდე შერაცხვას სრულებით არ აქვს ადგილი.

10-დან 17-წლამდე არის პერიოდი პირობითი შერაცხვისა. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დააყენოს კითხვა: შეგნებულათ

ჩაიდინა საქციელი ყრმამ, თუ შეუგნებლათ, ე; ი. გაეგებოდა მას თუ არა, რა შედეგი მოყვება მის საქციელს, და მნიშვნელობა ამ შედეგისა.

თუ პასუხი უარყოფითი იქნა, მაშინ სასამართლო ა) აბარებს მცირეწლოვან დამნაშავეს მშობელს, ან იმ პირთ, ვისი მზრუნველობის ქვეშაა ისინი იმყოფებიან, იმ პირობით, რომ მათ ზედამხედველობა გაუწიონ ბავშვს და პასუხი აგონ მის მოქმედებაში, ან ბ) თუ მოქმედება ისეთი იყო, რომ კანონი მას საპრობილეს გადაუწყვეტდა—ათავსებენ მას აღმზღელ-გამასწორებელ დაწესებულებაში.

თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვებს 14 წლამდე ათავსებენ აღმზღელ-გამასწორებელ დაწესებულებაში, ან საპრობილეებთან არსებულ განსაკუთრებულ სავანეში.

ყოველ შემთხვევაში დამნაშავე ბავში 14 წლამდე არ შეიძლება მოთავსებულ იქნას საპრობილეში.

დანარჩენ შემთხვევაში არასრულწლოვანებს კანონი უმსუბუქებს სასჯელს.

იდიოტიზმი და სენსიტივობა იდიოტიზმი—სპობს შერაცხვას.

სასამართლოს ხშირად აქვს საქმე სამთავრალეში ჩადენილ მოქმედებასთან. სრული სიმთვრალე სპობს შერაცხვას, არასრული—არა. ვინც განზრახ დაითვრება იმ მიზნით, რომ დანაშაული ჩაიდინოს, ის დაისჯება უმაღლესი სასჯელით, რომელიც დაწესებულია კანონით იმ დანაშაულისთვის.

საბერისგან გამაწვეული განება-ნაკლებობაც იმ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს, რომელიც სპობს შერაცხვას.

### ბ რ ა ჯ ა.

შეიძლება ადამიანი საღი ფსიხიური ორგანიზაციის იყოს და მისი ნამოქმედარი არღვევდეს სისხლის სამართლის წესებს, მაგრამ მან მაინც არ აგოს პასუხი სისხლის სამართლის წინაშე. პასუხის მგებლობისათვის კიდევ ერთი პირობაა, საჭირო: ნა-

მოქმედარი უნდა იყოს ბრალდი. ამ რიგით სისხლის სამართალმა რომ დასაჯოს ადამიანი, ამისთვის სამი აუცილებელი პირობაა საჭირო:

ა) მოქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართალს, ბ) მოქმედება უნდა შეერაცხოს (ჩათვალოს) მის ავტორს, გ) მოქმედება უნდა შეადგენდეს მისი ავტორის ბრალს.

ბრალს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ავტორი შეგნებულადაა (ან როდესაც შეეძლო შეეგნო) სჩადის დანაშაულს და არ უნდა თავი შეიკავოს, ვინაიდან მას არ აქვს საკმაოდ განვითარებული პატივისცემა წესრიგისა და კანონისადმი. ერთი სიტყვით კანონი სჯის მაშინ, როდესაც საღი სულიერი ორგანიზაციის პატრონი შეგნებულადაა სჩადის უკანონო მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო ჩაეხრჩო გულში ბოროტი ნდომა, და თუ არ ქნა ეს იმიტომ, რომ იმაში არ არის განვითარებული პატივისცემა წესრიგისა და კანონებისადმი. ასეთი ფსიხიკა წარმოადგენს საფრთხეს წესრიგისათვის. სისხლის სამართალი სცდილობს თავისი ზეგავლენით (სასჯელით, გამასწორებელ ზომებით) შესცვალოს ის.

### ორა სახე ბრალისა.

ბრალი შეიძლება სხვა-და-სხვა სახით გამოჩვენდეს. შეიძლება ადამიანს ნათლად წარმოდგენილი ქონდეს, რომ მოქმედება დანაშაულს შეადგენს, მისი შედეგი საშინელი იქნება და მან მაინც არ დაიშალოს საქციელი, არ ჩაჰკლას გულში ალორძინებული ბოროტი ნდომა. ეს იქნება განზრახ მოქმედება (dolus).

შეიძლება კიდევ, ადამიანს არ ქონდეს შეგნებული, რომ მისი მოქმედება შეადგენს დანაშაულს. თუმცა კი უნდა სცოდნოდეს, რომ არ ყოფილიყო დაუდევარი, ქარაფშუტა, გაუფრთხილებელი. ეს იქნება მოქმედება გაუფრთხილებლობით (culpa).

ზიზღობანი, რომელნიც სწობენ, ან ამცირებენ ბრალს.

არის გარემოებები, რომელნიც განსაკუთრებულ ელფერს სდებენ დამნაშავის ბრალს, ან ელფებენ, ან კიდევ საესებით აქარწყლებენ მას. ასეთია კონკრეტულათ: შეცდომები, ალტრუისტული მოტივები, მაიძულებელი მდგომარეობა.

შეცდომა აუცილებლათ უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში, ვინაიდან ის მაჩვენებელია დამნაშავის ფსიხიკის. ავილოთ მაგალითი: ავთომყოფი იზხოვს წყალს; მოწყალების და შეცდომით აწვდის მას სულეიმას, რომელიც იქვე ახლო სდგას სადენინფექციოთ. მეორე მაგალითი: მოსყიდული მოწყალების და განზრახ აძლევს ავთომყოფს საწამლავს. ამ ორ შემთხვევაში მოწყალების დის საქციელი სუბიექტიურათ ერთი და იგივე არაა. თუ შეცდომა არ მოწმობს მისი ავტორის ისეთ განწყობილებას, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს წესრიგისათვის, იქ სასჯელს ადგილი არ უნდა ქონდეს. მაგრამ შესაძლებელია მიუტევებელი შეცდომა, მაჩვენებელი მისი ავტორის დაუდევრობის, გაუფრთხილებლობის, რისთვისაც მას მოეთხოვება პასუხი.

უნდა გავარჩიოთ ორგვარი შეცდომა:

ა) მე არ ვიცი, რომ განსაზღვრული მოქმედება აკრძალულია სისხლის სამართლით; მე დარწმუნებული ვარ, რომ უფლება მაქვს აგრე მოვიქცე—(error iuris). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კანონის უცოდინარობით თავს ვერავინ იმართლებს. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დასაჯოს ასეთ შემთხვევაში, როგორც მიუტევებელ გაუფრთხილებლობისათვის და არა როგორც განზრახ მოქმედებისათვის.

ბ) მე ტელეფონით გამათრთხილეს, რომ ამ წამში ყაჩაღები უნდა შემომიცივიდენ სახლში; ძლივს მოვასწარი გამობრუნება—ვხედავ კარებს აწვებიან; მე გავისროლე თოფი და მოვკალი ადამიანი; მოკლული აღმოჩნდა დედაბერი, მოსული მოწყალების სათხოვრათ (error facti).

აქ მოქმედების მნიშვნელობა დამოკიდებულია საქმის კონ-

კრეტულ ვითარებაზე. ადამიანს ამოძრავებს მოტივეტი — ეგოისტური, ალტრუისტული. ამ მოტივების გამოკვლევა აუცილებელია, როდესაც გვინდა დავაფასოთ მოქმედების შინაგანი მხარე და გამოვჩინოთ ის ზომები, რომლითაც ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ დამნაშავეზე.

მაიძულეებელი მდგომარეობა: წარმოსადგენია შემთხვევა, როდესაც ადამიანი სჩადის დანაშაულს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს საშიშროება, ზარალი და სხ., რომელიც მას ემუქრება; მაგალითად, ყაჩაღები მოითხოვენ A-საგან, რომ მან კაცი მოჰკლას, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით მას ემუქრებიან სიკვდილით. A ემორჩილება ძალადობას და კაცსაჰკლავს.

მაიძულეებელი მდგომარეობა წააგავს აუცილებელ თავდაცვას, მაგრამ არის განსხვავება: პირველ შემთხვევაში სუბიექტი პირდაპირ არღვევს კანონის ბრძანებას; მეორეში კი სარგებლობს იმ უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს მას.

მაიძულეებელ მდგომარეობაში მოქმედება მაინც უკანონო მოქმედებაა, თუმცა საპატიო მიზეზი აქვს მას: არაუის აქვს უფლება თავისი უბედურება სხვას მოახვიოს თავზე.

სასამართლოს შეუძლია აუცილებელ მდგომარეობაში მოქმედება მისატყვეבלათ იცნოს: არ შეიძლება ყველასაგან გმირული მოქმედება მოითხოვოთ.

### უმოქმედობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხშირად უმოქმედობაც დანაშაულათ ჩაითვლება. დამნაშავეა ის, ვინც კანონის წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ დამნაშავეა ისიც, ვინც კანონის ბრძანება არ ასრულა.

კაცთმოყვარეობის პრინციპი ავალებს ყველას შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებაში მყოფს, მაგრამ ეს არის მხოლოდ ზნეობრივი ვალდებულება. სისხლის სამართალი კი ასე ფართო მიზნებს ვერ დაისახავს. ის დასჯის მხოლოდ

იმათ, ვინც კანონით ვალდებულია ასეთი დახმარება გაუწიოს და ამ ვალდებულებას არ ასრულებს. მაგალითად, იწვის სახლი, იღუპება ხალხი, ცეცხლის მქრობელი რაზმი კი არ მიდის საშველათ.

### მზადება (delictum praeparatum).

დანაშაული, ჩვეულებრივით, რთულ მოქმედებას წარმოადგენს. თავის დასაწყისიდან დაბოლოვებამდე ის გადის რამოდენიმე საფეხურს. დანაშაულის დასაწყისი, პირველი სტადია უნდა ვეძიოთ იქ, სადაც ადამიანის ბოროტმა ნდომამ პირველათ იჩინა თავი გარეგნულ მოქმედებაში (სისხლის სამართლის საგნათაგ მხოლოდ აქედან ხდება ის), ბოლო—როდესაც მიღწეულია ბოროტი ნდომის მიზანი.

დანაშაულის პირველი საფეხური გამოიხატება მზადებაში: ამ დროს ბოროტგამზრახველი დაეძებს იარაღს, რომლითაც უნდა განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, უთვალთვალებს მსხვერპლს, სპობს დაბრკოლებას, რომელსაც შეუძლია მას ხელი შეუშალოს.

საერთოდ მიღებულია, რომ მზადება, როგორც ასეთი, არ დაისჯება: მზადება კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ადამიანი უსათუოდ სისრულეში მოიყვანს განზრახვას. მე შემძლია ვიყილო თოფი კაცის მოსაკლავად, მაგრამ არ შეყოს გამბედაობა, ნებისყოფა, გადავდგა გადამწყვეტი ნაბიჯი. კიდევ მეტი, მე შემძლია ჩავუსაფრდე მსხვერპლს, მაგრამ დავინახო მისი სახე, გავიგონო მისი ხმა, მოვიგონო წარსული კეთილი განწყობილება და ხელები ჩამომეშვას, გულში სიბრალულმა და სინანულმა გაიღვიძოს, ხელი ავილო განზრახვაზე.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი მზადებისთვისაც აწესებს სასჯელს.

მომკმედი დებულება მზადებათ რაცხს დანაშაულის ჩასადენათ საშუალებათა გამონახვასა და შეძენას.

### ხელ-ყოფა, ცდა (покушение).

ხელ-ყოფა დანაშაულის განვითარების პროცესში მეორე საფეხურათ უნდა ჩაითვალოს. ხელყოფასთან გვაქვს საქმე, როდესაც დამნაშავემ დაიწყო აღსრულება პირდაპირ იმ მოქმედებისა, რომელსაც კანონი რაცხს დანაშაულის შემადგენელ მოქმედებათ (მაგალითად, დაესხა მსხვერპლს). უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ძნელია თქმა, სად თავდება მზადება და სად იწყება ხელყოფა.

ხელ-ყოფა შეიძლება იყოს დაბოლოვებული და დაუბოლოვებელი.

ის დაბოლოვებულათ უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც საჭირო იყო განზრახულ შედეგისათვის, მაგალითად, ცოლს უნდა მოჰკლას ქმარი; მან საწამლავი ჩაყარა ღვინოში და მიაწოდა უკანასკნელს.

დაუბოლოვებელი ხელყოფა, თავის მხრივ, ორი სახისაა: ხელ-ყოფა არ დაბოლოვდა იმიტომ, რომ დამნაშავეს ხელი შეუშალეს, ბ) დამნაშავემ ხელი აიღო მოქმედებაზე.

ხელ-ყოფისათვის კანონი სჯის, მაგრამ არა ისე სასტიკათ, როგორც სისრულეში მოყვანილ ავსაქმისათვის.

### ხელ-ყოფა უკანდგისა სსშუალებით და უკანდგის ობიექტზე.

ვსთქვათ, მე მინდა მოვწამლო მეზობელი და შეცდომით საწამლავის მაგიერ მარილს ვუყრი ჩაიში; იბადება კითხვა დამსჯის ამისთვის კანონი, თუ არა? კანონი არ სჯის უვარგისი საშუალებით ხელ-ყოფისათვის, როცა ის არჩეულია უკიდურესი უმეცრების გამო.

არ სჯის ჩვენი მომქმედი კანონმდებლობა არც უვარგის ობიექტზე ხელ-ყოფისათვის. მაგალითად, მე მინდა მოვკლა ჩემი მეზობელი, მომელანდა ის და ვესროლე მოლანდებს. ამისთვის მე არ დავისჯები.

საზოგადოათ თუ სისხლის სამართლის ლოლიკას გავყვებით, უვარგის ობიექტზე ხელ-ყოფისათვის კანონი თითქო უნდა

სჯიდეს, ვინაიდან ასეთი მოქმედება მაჩვენებელია ადამიანის ბოროტი ნების, და თუ ის მაინც არ სჯის, ნამდვილათ იმ მოსაზრებით, რომ ვარგებულ ობიექტს, შესაძლებელია, სხვა შთაბეჭდილება მოეხდინა დამნაშავეზე და უკანასკნელს ხელი აეღო ბოროტ განზრახვაზე.

ზოგიერთი კანონმდებლობა სრულებით არ იხსენიებს ხელყოფას უვარგისი საშუალებით და უვარგის ობიექტზე.

### თანამონაწილეობა დანაშაულში.

ვინც სისხლის სამართლის პროცესებს თვალ-ყურს ადევნებს, ის შეამჩევდა, რომ ძლიერ ხშირად ერთხა და იმავე საქმეზე რამოდენიმე პირია პასუხის გებაში მიცემული. ეს მაშინ ხდება, როდესაც დანაშაული ჩადენილია რამოდენიმე პირის მონაწილეობით.

დანაშაულში მონაწილეობა გულისხმობს დამნაშავეთა შორის აშკარა ან ფარულ თანხმობას და განზრახულობით მოქმედებას. თუ ასეთი თანხმობა არ შედგენდება, მაშინ ყოველი პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმაში, რაც პირადათ მან მოიმოქმედა.

შეთანხმება შესაძლებელია როგორც წერილობითი და სიტყვიერი, ისე ნიშნებითაც.

თანამონაწილეობა ორნაირია—წინასწარ შეთანხმებით და არაწინასწარ შეთანხმებით.

უკანასკნელ შემთხვევაში მომქმედი კანონი არჩევს მთავარ ბრალეულსა და მონაწილეებს.

მთავარ ბრალეულსა ის ითვლება, ა) ვინც თაოსნობდა, გამგებლობდა სხვის მოქმედებას, ბ) ვინც მოქმედებას ხელი მიყო ყველაზე წინ, ან უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული.

მონაწილე ეწოდება იმას, ა) ვინც პირდაპირ დახმარებას უწევდა მთავარ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში, ბ) ვინც იძლეოდა საშუალებას დანაშაულის ჩასადენათ, ან ცდილობდა მოესპო დაპრკოლება, რომელიც ამ უკანასკნელს წინ ეღობებოდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია რამოდენიმე პირისაგან წინასწარ შეთანხმებით:

ამტყისა ეწოდება იმას, ვინც განიზრახა რა ჩადენილი დანაშაული, სხვებიც დაითანხმა იმაზე:

ვინც დანაშაულის ჩადენის ან ხელ-ყოფის დროს განაგებდა სხვისი მოქმედებით, ან პირველათ ხელი მიყო მას.

თანამოზიარე (СОУЗНИК) არის ის, ვინც შეუთანხმდა ამტყეს, ან სხვა ბრალეულთ წინასწარ განზრახულ შეერთებული ძალითა და მოქმედებით დანაშაულის ჩადენაში.

წამქეზებელი ეწოდება იმას, ვისაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ თხოვნა-მუდარით, დარწმუნებითა და მოსყიდვით, სარფის დაპირებითა თუ შეცთუნებითა და მოტყუებით, დაძალებითა თუ მუქარით ცდილობდა აეყოლებია სხვები იმის ჩადენაში.

შემწეებათ ისინი ითვლებიან, რომელნიც არ იღებდენ უშუალო მონაწილეობას თვით დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ანგარებისა, თუ სხვა პირადი მიზნების გამო ეხმარებოდენ, ან პირობა მისცეს ბოროტგამზრახველთ დახმარებოდათ რჩევით, ცნობების მიწვდით, საჭირო საშუალებათა მიწოდებით, შეხვედრილ დაბრკოლებათა მოსპობით, ან დანაშაულის ჩადენამდის განზრახ თავი შეაფარებინეს მათ, ან დაჰპირდენ დახმარება აღმოეჩინათ დამნაშავისა თუ დანაშაულის დაფარვით ამ უკანასკნელის ჩადენის შემდეგ.

ამას გარდა, მომქმედმა კანონმდებლობამ იცის დანაშაულში რეულნი: ასე ეწოდებათ იმათ, რომელთაც შეეძლოთ არ დაეშვათ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ განგებ არა ქნეს ეს, დამალეს დანაშაულის კვალი, იცოდენ, რომ მზადდება, ან მოხდა დანაშაული, მაგრამ არ შეატყობინეს მთავრობას და სხ.

დანაშაულს ყოველთვის ვნება მოაქვს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ეს ვნება, ანუ ზიანი, შეიძლება მიმართული იყოს პიროვნების ფიზიკური და მორალური „მე“-ს წინააღმდეგ, ან საზოგადოების (ადამიანების კავშირის) წინააღმდეგ.

ცალკე აღსანიშნავია დანაშაული ქონებრივი ხასიათისა.

ამის მიხედვით ჩვენ გვაქვს სამი დიდი კლასი დანაშაულისა:

- I. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ,
- II. დანაშაული საზოგადოების წინააღმდეგ,
- III. დანაშაული ქონებრივი ხასიათისა.

### დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ.

სიცოცხლე უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ადამიანისათვის. თავისთავად ცხადია, სისხლის სამართალიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას!

თვითმკვლელობა არ უნდა ითვლებოდეს დანაშაულათ; ჩვენი მომქმედი კანონმდებლობა კი სჯის თვითმკვლელებს (უკეთ რომ ვსთქვათ მის მახლობელთ) იმით, რომ კრძალავს მათ ქრისტიანული წესით დამარხვას და გაუქმებულათ აცხადებს მათ ანდერძებსა და უკანასკნელი ნების კანკარგულებებს. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევა, როდესაც თვითმკვლელობა ჩადენილია სულით ავათმყოფისაგან, ქალწულობის დასაცავათ, პატრიოტული გრძნობით და სხ.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტი ადამიანის სიცოცხლეა, სულ ერთია, ახალგაზდა იქნება ის, თუ ბებერი, ავათმყოფი თუ ჯანმრთელი, გიჟი თუ მახინჯი. დანაშაულის შემაღმდეგელობისათვის არ აქვს მნიშვნელობა არც იმას, შეეძლო მას ეცოცხლა, თუ მისი წუთები ისედაც დათვლილი იყო: A-ს უნდა მოჰკლას თავისი ამხანაგი B. ის შეიპარება უკანასკნელის ოთახში და გულში ჩასცემს ხანჯალს მწოლარე B-ს დარწმუნებული იმაში, რომ B-ს სძინავს, სინამდვილეში კი B დიდი ხანია მკვდარია. იბადება კითხვა—დაისჯება A როგორც მკვლელი თუ არა? ამაზე უარყოფით უნდა ვუპასუხოთ.

B-ს ცხედარი მკვლელობისათვის უვარგისი ობიექტია.

განზრახ მკვლელობისათვის მომქმედი კანონმდებლობა სჯის კატორღით.

გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის--საპყრობილეით.

სისხლის სამართალი სჯის დუელში მონაწილეთაც, მხოლოდ ასეთი ბრძოლის დროს ჩადენილ მკვლევლობისათვის ისე სასტიკათ არ სჯის, როგორც ჩვეულებრივათ.

### სხეულის დაშავება.

სხეულის დაშავება ფიზიკური ტკივილების მიყენებაში გამოიხატება. ის შეიძლება ხანგრძლივი ხასიათის იყოს, დამრღვევი და მომსპობი ადამიანის ჯანმრთელობისა, მან შეიძლება ღრმა დალი დააჩინოს ადამიანის ორგანიზმს, მაგრამ შეიძლება ის მხოლოდ ოდნავ საგრძნობი გაფხაჭნითა და მსწრაფლ-გამვლელ ტკივილითაც გათავდეს. სისხლის სამართალი სჯის სხვისი სხეულის დაშავებისათვის და მხოლოდ იშვიათად საკუთარისათვის (თვით-დასაჭურისება, რომელიმე ორგანოს დაშავება იმ მიზნით, რომ სამხედრო სამსახურში არ გაიწვიონ და სხ.).

მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნულია რამდენიმე სახე სხეულის დაშავებისა: 1) დასახიჩრება, 2) კრილობა, 3) ცემა, 4) გვემა-წვალება, 5) ჯანმრთელობის მოშლა.

დასახიჩრებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი, დაშავებული, ჰკარგავს რომელსამე ორგანოს, ან როდესაც უკანასკნელი ველარ ასრულებს თავის ფუნქციებს ძველებური ენერგიით.

დასახიჩრება შეიძლება იყოს ა) მძიმე, ბ) ნაკლებათ მძიმე. მძიმე დასახიჩრების ობიექტად, კანონის აზრით, შეიძლება იყოს 1) მხედველობა, 2) სმენა, 3) ენა, 4) ხელი, 5) ფეხი, 6) სქესობრივი ასოები, 7) პირისახის წაუშლელი დამახინჯება.

წინასწარ განზრახვით ადამიანის მძიმედ დასახიჩრებისათვის კანონი, ჩვეულებრივათ, კატორღით სჯის, ნაკლებათ მძიმე დასახიჩრებისთვის—პატიმართა გამასწორებელი განყოფილებით.

შედარებით უფრო მსუბუქ სასჯელს აძლევს კანონი იმ შემთხვევაში, როდესაც დასახიჩრება შედეგი იყო არა განზრახ მოქმედების, არამედ გაუფრთხილებლობის.

ჭრილობა. თვით კანონში არ არის განსაზღვრული, თუ რას ეწოდება ქრილობა, მაგრამ კანონმა იცის სამგვარი ქრილობა: ფრიად მძიმე, მძიმე და მსუბუქი. განზრახ დაქრისათვის კანონი აწესებს საპრობილეს და პატიმართა გამასწორებელ განყოფილებას. ვსთქვათ, ობიექტს რამოდენიმე მსუბუქი ქრილობა მიაყენეს, მაგრამ ყველა ერთად მძიმე დაშვებას შეადგენს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს როგორც მძიმე ქრილობის მიყენებისათვის, თუ არა? კანონის აზრით არა.

ცემა ეწოდება ჩლუნგი იარაღით დაშვებას. პასუხის მგებლობისთვის არ აქვს მნიშვნელობა, თვით ამ იარაღით ურტყამს მსხვერპლს დამნაშავე, თუ პირიქით, იარაღზე ახეთქებს ამ უკანასკნელის სხეულს.

ერთჯერ დარტყმაც ცემით ჩაითვლება.

გვეშა-წვალებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მსხვერპლის სისტემატიურათ და ხანგრძლივით აყენებენ ტკივილებს.

### დანაშაულა პატივის წინააღმდეგ.

ადამიანს მუდამ აქვს შეგნება თავისი ღირსებისა, აქვს აგრეთვე უფლება მოითხოვოს, რომ ეს მისი ღირსება არავინ დაამციროს. ეს შეგნება, ეს გრძნობა იცვლება დროს, გარემოებისა და სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ განსაზღვრულ დროსა და პირობებში ის წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომლის მოთხოვნაც დაახლოვებით ნათელია კანონმდებლისთვის. სისხლის სამართალი იფარავს მოქალაქის პატივს, და არავის აძლევს ნებას შელახოს ის. მოქალაქეს შეუძლია არ გამოიჩინოს აქტიური პატივისცემა სხვისადმი, მაგრამ არავის აქვს უფლება გამოიჩინოს თავისი არაპატივისცემა იმისადმი, ან სხვა წააქეზოს ასეთი მოქმედებისათვის.

დანაშაული პატივის წინააღმდეგ მომქმედი კანონის აზრით შეიძლება გამოიხატოს ა) შეურაცხყოფაში, ბ) ცილის წამებაში, გ) დიფამაციაში.

შეურაცხყოფა არის განზრახ და უკანონოთ გამოხატვა არა-პატივისცემისა სხვა პიროვნებისადმი აშკარა საწყენი სახით ამ უკანასკნელისათვის.

არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავეს სურვილი ჰქონდეს მაინცა და მაინც უბატოება მიაყენოს მსხვერპლს; საკმარისია, თუ მან იცის, რომ მის მოქმედებას შეუძლია შეურაცხოს ის.

შეურაცხოთა გულისხმობს, რომ დამნაშავე პირდაპირ მიმართავს თავის მსხვერპლს. შეურაცხოფის მიყენება შესაძლებელია ტელეფონითაც და სხ. მხოლოდ ისეთი პირის შეურაცხოთა შეიძლება, რომელსაც შეუძლია იგრძნოს მისი შეურაცხოთა. არ შეიძლება შეურაცხოთა ძუძუმწოვარ ბავშვის, მაგრამ შესაძლებელია უკანასკნელისადმი მიმართვით ანაზღაურადი შეურაცხოთა მიაყენო მის მახლობელს (ვსთქვათ, მის დედას).

ცილის წამება არის აშკარა უსაფუძვლოთ დაბრალება ვისმესთვის არსაკადრისი მოქმედებისა. დაბრალება შეიძლება წერილით, ზეპირათ, ბეჭდვითი სიტყვით, სიმბოლიურათ. ის ჩირქს უნდა სცხებდეს მსხვერპლს და ამცირებდეს მას სხვების თვალში, წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისწამებას ადგილი არ ექნება.

დიფამაცია ეწოდება ბეჭდვითი სიტყვით ისეთი გარამოების გამომჟღავნებას კერძო ან თანამდებობის პირზე, საზოგადოებაზე თუ დაწესებულებაზე, რომელსაც შეუძლია ავნოს მათ პატივს, ღირსებასა და კეთილ სახელს.

დიფამაცია იმით განსხვავდება ცილისწამებისაგან, რომ ის შესაძლებელია მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ამას გარდა შესაძლებელია, რომ გამომჟღავნებული ფაქტები რამოდენიმედ სიმართლესაც შეეფერებოდეს.

სასჯელი დიფამაციისათვის — საპყრობილე და ჯარიმა.

## დანაშაული ქონებრივი ხასიათისა.

თანამედროვე საზოგადოების ურთი-ერთობას საფუძვლათ უდევს კერძო საკუთრება, და სისხლის სამართალიც იცავს ამ ურთი-ერთობის საფუძველს.

სხვისი ქონების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას შეიძლება საფუძვლათ ედოს ანგარება. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დამნაშავეს უნდოდეს მხოლოდ დაზარალება სხვისი ამ უკანასკნელის ქონების დაზიანებითა და მოსპობით. ჩვენ კი უკვე ვიცით, თუ რა მნიშვნელობას აკუთვნებს სისხლის სამართალი იმ მოტივების გამოკვლევას, რომელიც ამოძრავებდა დამნაშავეს.

დანაშაული ქონებრივი ხასიათისა მრავალი სახით შეიძლება გამოიხატოს: შეიძლება სხვისი ქონების უკანონო, ნებადაურთველათ მოხმარა, მისი მითვისება, მოტაცება აშკარათ თუ ფარულათ, ძალადობით თუ მოტყუებით, მისი დაზიანება, მოსპობა და სხ.

მითვისება არის უკანონო შენარჩუნება სხვისი მოძრავი ქონებისა, ამ უკანასკნელის ოავის საკუთრებათ გადასაქცევათ. მითვისებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სხვისი ქონება ჩამივარდა ხელში კანონიერ გზით, და მე არ მსურს დავუბრუნო ის კანონიერ მესაკუთრეს. მოტაცება იმით განსხვავდება მითვისებისაგან, რომ მომტაცებელი განზრახ, მფლობელის სურვილის წინააღმდეგ, ართმევს ამ უკანასკნელს ქონებას.

როგორც მითვისების, აგრეთვე მოტაცების ობიექტიც მოძრავი ქონებაა, მაგრამ ეს მოძრავი ქონება მიმთვისებელს ხელში უკანონოთ კი არ უვარდება, როგორც მომტაცებელს.

ქურდობა. მომქმედი კანონმდებლობა სხვისი ქონების ფარულათ მოტაცებას უწოდებს ქურდობას. ეს კანონის საწინააღმდეგო მოქმედება ფარულათ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა არ იცის, რომ მას სტაცებენ. ფარულათ უნდა ჩაითვალოს ის მაშინაც, როდესაც სხვებმა შეამ-

წინეს და გაიგეს მტაცებლის მოქმედება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს არ იცის.

ცალკეა აღნიშნული ქუჩდობა შემტვრევით.

შემტვრევა ეწოდება იმ ზღუდეთა დანგრევას და მოსპობას, რომელიც ხელს უშლის საცავში შესვლას და იქიდან საგნის გატანას.

შემტვრევა ისეთი შენობისა, რომელშიდაც ხალხი სცხოვრობს, უფრო სასტიკათ დაისჯება. ასევე სასტიკათ დაისჯება შემტვრევი იმ სახაზინო ან საზოგადოებრივი შენობისა, რომელსაც მცველი ჰყავს მიყენებული.

შეიარაღებულ ქუჩდობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის ავტორს თან აქვს რაიმე იარაღი, რომლითაც მას შეუძლია მოჰკლას, ან დაასახაროს კაცი.

ძარცვა და ყაჩაღობა (აჯაყაღობა). ქურდობა არის ფარული მოტაცება სხვისი ქონებისა. ძარცვა და ყაჩაღობა კი აშკარა მტაცებლობაა, რომელსაც ზედ ერთვის ძალადობა. ყაჩაღობა არის გამოჩენილი თავდაცემა შეიარაღებული კაცისა, ან უიარაღოსი, მაგრამ ისეთი ხასიათის ძალადობით, რომელიც აშკარა საფრთხეს წარმოადგენს მსხვერპლისთვის.

ძალადობა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ფსიხიური (მუქარა) და ფიზიკური. რაც შეეხება ძარცვას, ის იმით განსხვავდება ყაჩაღობისაგან, რომ ძალადობა არ ემუქრება მსხვერპლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თავისუფლებას, როგორც ყაჩაღობის დროს.

დატყუება არის უკანონო შეძენა სხვისი ქონებისა მოტყუების საშუალებით. მოტყუება ეწოდება ფაქტების განზრახ გამოცვლასა და დამახინჯებას.

### ქონების დაზიანება და მოსპობა.

დაზიანება ეწოდება ნივთის ისეთ მდგომარებაში მოყვანას, როდესაც ის ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას, ყოველ შემთხვევაში, უწინდელი სისრულით მაინც.

ზიანს შეიძლება დროებითი ხასიათი ქონდეს, ან მისი გამოსწორება შეუძლებელი იყოს.

დაზიანება შეიძლება მხოლოდ ფიზიკური საგნის, მოძრავი იქნება ის თუ უძრავი.

აღნიშნული დანაშაული გულისხმობს განზრახ მოქმედებას. ეს მოქმედება ამცირებს დაზარალებულის განსაზღვრულ ქონების ღირებულებას, უკიდურეს შემთხვევაში სავსებით სპობს მას.

დაზიანება ორნაირია: უბრალო და საერთო საფრთხის წარმომადგენელი. უკანასკნელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოქმედების შედეგი მართო იმ ობიექტებზე კი არ ვრცელდება, რომელზედაც ის პირდაპირ მიმართულია, არამედ ემუქრება ადამიანთა და ნივთების განუსაზღვრელ რაოდენობას.

ასეთია ცეცხლის გაჩენა, რომელიც შეიძლება საშინელ სტიქიურ უბედურებათ იქცეს. ცეცხლის გაჩენა განსხვავდება ცეცხლით დაზიანებისაგან და მოსპობისაგან. უკანასკნელ შემთხვევაში საფრთხე მოელის მხოლოდ განსაზღვრულ ნივთს. მაგალითად, მე ამხანაგის წიგნი ჩავაგდე ანთებულ ბუხარში და დავწვი. საკუთარ ქონებაზე ცეცხლის გაჩენისთვისაც სჯის კანონი, თუ იმის მიზანი იყო დამზღვევ დაწესებულებისაგან პრემიის მიღება.

ცეცხლის გაჩენა ისეთი შენობისათვის, რომელშიაც ხალხი სცხოვრობს, განსაკუთრებულ სისასტიკით დაისჯება. ამ შემთხვევაში სულ ერთია, საკუთარია შენობა, თუ სხვისი.

### დანაშაული საზოგადოებას წინააღმდეგ.

დანაშაული წინააღმდეგ საზოგადოებისა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მრავალგვარია: ასეთია უკანონო მოქმედება, მიმართული როგორც სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ, აგრეთვე წინააღმდეგ მისი ორგანოების და პიროვნებათა მრავალ გვარ კავშირებისა.

## დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აღნიშნულ დანაშაულის ობიექტი არის თვით სახელმწიფო. ყველა ის მოქმედება, რომელიც მიმართულია წინააღმდეგ სახელმწიფოსა, მისი მთლიანობის, დამოუკიდებლობის, წესრიგის და სხ., წარმოადგენს სახელმწიფოებრივ დანაშაულს.

აღსანიშნავია შემდეგი ფორმები ამ დანაშაულისა: ამბოხება, ლალატი, არეულობა.

ამბოხება არის ძალადობითი ცდა მართველობის წესის შეცვლისა მთელ სახელმწიფოში, ან იმის განსაზღვრულ ნაწილში, ამ უკანასკნელის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებით, ან უმისოთ.

ამბოხება გულისხმობს რამოდენიმე პირის თანამონაწილეობას და განზრახ მოქმედებას. მისი დამახასიათებელი თვისება ძალადობაა (ფსიხიური, ან ფიზიკური); ამით ის განსხვავდება შშვიდობიან გამოსვლებისაგან, როგორცაა მანიფესტაცია და სხ.

თუ მცდელობა დასაწყისშივე აღმოჩენილ იქნა და მის ჩასაქრობათ განსაკუთრებული ზომები საჭირო არ დარჩა, მაშინ დამნაშავეთ მოვლით შედარებით მსუბუქი სასჯელი (კატორღა), წინააღმდეგ შემთხვევაში—უსასტიკესი (სიკვდილით დასჯა).

ლალატი არის მოქმედება (სიტყვით თუ საქმით), მიმართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და სხ. წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალატი ომიანობის დროს, ხელის შეწყობა სამშობლოსა და მის მოკავშირეთა მტრებისთვის. ასეთი მოქმედებისათვის კანონი სჯის კატორღით. ასეთ დროს მტრის სასარგებლოთ ჯაშუშობისათვის, ჯარისა და ფლოტის გაცემისთვის, თავდაცვის საშუალებათა საწყობების განადგურებისათვის და სხ.—დამნაშავე დაისჯება სიკვდილით. ასეთი დანაშაულობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქე, ისე სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომიც. მტრის ჯარში შესვლა, ან იმის არ დატოვება დაისჯება უვადო კატორღით. ის, ვინც ეცდება, რომ უცხო სახელმწიფომ სამშობლოს ომი გამოუცხადოს, დაიწყოს მის წინააღმდეგ მტრული მოქმედება, ან შესწყვიტოს იმის სამხედრო კავშირი, — დაისჯება კატორღით.

დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც თავის სამშობლოსათვის განზრახ მავნებელ მოლაპარაკებას აწარმოებს, ან მაზარალებელ ხელშეკრულობას დასდებს, დაისჯება კატორღით.

არეულობა ეწოდება ჯგუფობრივ საჯაროთ გამოსვლას, რომელიც მიზნათ ისახავს გამოხატოს უპატივცემლობა უზენაეს ხელისუფლებისადმი, თანაგრძნობა გამოუცხადოს ლაღატს, ამბოხებას (სასჯელი—საპრობილე, ციხე, გადასახლება), წინააღმდეგობა გაუწიოს გამოწვეულ შეიარაღებულ ძალას, დაანგრიოს რკინის გზა, გაანთავისუფლოს ტუსალები და სხვა. (სასჯელი—კატორღა 8 წლამდე).

არსებული მომქმედი კანონმდებლობა მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი წყობილებისაგან. მრავალი მისი დადგენილება დღეს არსებობს მხოლოდ ფორმალურათ, ფაქტიურათ კი მას მნიშვნელობა აღარ აქვს: ის უკვე აღარ შეეფერება არსებულ მდგომარეობას. დემოკრატიული რესპუბლიკა გაცილებით მეტის ნდობით ეპყრობა და მეტ თავისუფლებას ანიჭებს მოქალაქეს, ვიდრე წყობილება წარსულისა. ეჭვი არ არის, სულ ახლო მომავალში კანონმდებლობა გადათვალისწინებული და გადამუშავებულ იქნება.

### სოციალურმა მიზნებმა დანაშაულისა.

საზოგადოება, სისხლის სამართალი, ებრძვის დანაშაულს, მაგრამ დანაშაულისა და დამნაშავეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. იბადება საკითხი: შესაძლებელია თუ არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსებით და სასჯელის სისასტიკით აღმოფხვრა ბოროტებისა?

ჯერ კიდე მეთექვსმეტე საუკუნეში განთქმული სოციალური რომანის „უტოპიის“ ავტორი, ტომას მორი, ქურდობის მიზეზად სთვლიდა იმას, რომ მდიდრებს ჩაუგდიათ ქვეყანა ხელში, რომ ხალხი სიღატაკეში იღრჩობა, მშიერი მუდამ იქურდებს, რომ შიმშილისაგან სული არ ამოხდესო. აქ ლაპა-

რაკია მხოლოდ ქურდობაზე, მაგრამ ამისვე თქმა შეიძლება, საზოგადოთ სხვა დანაშაულზედაც. ამ უკანასკნელს საზოგადოებრივი წყობილების საერთო პირობებში აქვს საფუძველი. მორი არ იყო პირველი, და მით უფრო უკანასკნელი იმათ შორის, ვინც ბოროტების ძირი თვით საზოგადოების სტრუქტურაში დაინახა. დღეს უკვე ეს აზრი მეცნიერულათ უნდა ჩაითვალოს. სტატისტიკის მამათმთავარი კეტლე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დღევანდელი საზოგადოება თავის წიაღში ატარებს მარცვალს, რომლიდანაც უსათუოდ დანაშაულობა უნდა წარმოიშვას, რომ თვით დამნაშავე საზოგადოების ხელში ბრმა იარაღია. ეს ერთი შეხედვით თითქო დიდათ დამაღონებელი მოვლენაა, — ამბობს კეტლე, — მაგრამ თუ კარგათ დაეუკვირდებით, მივხვდებით, რომ ის მანუგეშებელიცაა, ვინაიდან გვეუბნება, რომ შესაძლებელია ადამის ჩამომავლობის გაუკეთესება იმ დაწესებულებათა და პირთა გაუმჯობესებით, რომელთაც ადამიანის ცხოვრებაზე გავლენა აქვთო.

სისხლის სამართლის განვითარებას თავისი ისტორია აქვს. არის ერთი, შედარებით ახალი მიმართულება, რომელსაც სოციოლოგიური უკოლა ეწოდება. ეს მიმართულება აღიარებს, რომ დანაშაულობას საზოგადოებრივი პირობები ქმნიან, რომ მასთან ნაყოფიერი ბრძოლა მხოლოდ სოციოლოგიური პოლიტიკის შეცვლით შეიძლება. ის მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ შეისწავლოს დანაშაულობის დამოკიდებულება საზოგადოებრივ პირობებთან. ამ უკოლის ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი (ფ. ლისტი) ასე სწერს: „შრომის უნარის დაკარგვა მოხუცებულობისა თუ ავთმყოფობის გამო; უმუშევრობა, მცირე ხელფასი და გრძელი სამუშაო დღე, რაც ბორკავს პიროვნების განვითარებას, სპობს ჯანმრთელობას; ბინების მოუწყობლობა, დამღუპველი ოჯახის წევრთა არა მარტო ჯანმრთელობისა, არამედ მათი ზნეობრივი მხარისაც; შრომის პირობები, დამრღვევი ოჯახის დღევანდელი წესწყობილების ამ მთავარ საფუძველისა, — აი უმთავრესი ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას. აქედან ცხადია, სა-

მერთლის თვალთახედვით საუკეთესოთ ის პოლიტიკა უნდა ჩაითვალოს, რომელიც დინჯათ და მტკიცეთ მიდის მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

შემჩნეულია, რომ საწარმოვო კრიზისების დროს იზრდება მათხოვარ—მაწანწალათა რიცხვი—ისინი კი მუდამ დანაშაულის პირზე დგანან და საკმარისია პატარა ნაბიჯი, რომ იმათგან მიიღოთ ბოროტმომქმედი და დამნაშავე.

კრიზისების როლს თამაშობს პურის სიძვირეც. მატანტალ-მათხოვართა რიცხვი თურმე ზამთარში მატულობს; ამავე დროს მატულობს პირდაპირ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული დანაშაულობაც. ან კი რა გასაკვირალია: ამ დროს შიმშილის კიდევ ერთი უბედურება ემატება—სიცივე.

### სისხლის სამართლის წარმოების წესი (ჰროცესი).

დანაშაულს ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის. სისხლის სამართალი ებრძვის დანაშაულს. ის ამბობს, თუ რა პირობებში ჩაითვლება მოქმედება დანაშაულათ და აწესებს სასჯელს იმისთვის (მატერიალური კანონი).

სისხლის სამართლის პროცესი შეიცავს აღნუსხვას სახელმწიფოს სათანადო ორგანოთა მოქმედებისას, რომელიც გამოიხატება დანაშაულის კვლევა-ძიებაში და დამნაშავისათვის განსაზღვრულ სასჯელის მისჯაში.

პროცესუალური კანონი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს კერძო შემთხვევაში მოხმარებული კანონის ზოგადი დადგენილება.

პროცესუალურ სამართალს ორი მხარე აქვს: **ჰროცესის თეორია**, ე. ი. მართლმსაჯულების საუკეთესო წესების შესწავლა და არსებული მართლმსაჯულების წარმოების წესი.

თეორიის შესწავლა სპეციალისტების საქმეა. ჩვენთვის საკმაოა გავიცნოთ საქართველოში მომქმედი სისხლის სამართლის წარმოების წესი, რომელიც აღწერილია სათანადო **წესდებაში**. ეს წესდება ჩვენში მოქმედებდა, როგორც რუსეთის ნაწილში, ხოლო დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს

პარლამენტმა და დამფუძნებელმა კრებამ ის დააკანონეს მრავალ სხვა ძველ კანონებთან ერთად.

პროცესისათვის მნიშვნელოვანია, როგორც **სამართლის წადმოება**, ისე **სასამართლოს მოწყობა**, მისი შემადგენლობა.

სასამართლოს მოწყობაზე უკვე გვქონდა მოკლეთ მოხსენებული. საჭიროთ ვთვლით აქვე აღვნიშნოთ სასამართლოს დამხმარე ორგანოები, როგორცაა: ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი, ჰრავკუტურა, საგამომიებლო ნაწილი.

### დამხმარე ორგანოები.

ნაფიცი მსაჯულება. ძველს დროში სასამართლოს როლს სახალხო ყრილობა კისრულობდა და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ცხოვრება უფრო გართულდა, შეუძლებელი და უხერხული გახდა ყველა საქმეების ყრილობაზე გარჩევა, ბუნებრივად შეიქნა ერთგვარი ორგანო ასეთ საქმეთა მოსაწესრიგებლათ. ის მიენდო სახალხო ადათების მკოდნე, ყველასაგან პატივცემულ პირთ, მთავრობის კანტროლის ქვეშ.

საშუალო საუკუნოებში გავრცელებული იყო ე. წ. წოდებრივი სასამართლოები. თვითმპყრობელობის დროს, როდესაც მთელი სახელმწიფოს ძალა-უფლება მეფის ხელში იყო, სამართლის და მართლმსაჯულების წყაროც მეფე უნდა ყოფილიყო.

სამართალს დღეს აღგენენ მსაჯულები-პროფესიონალები, რომელთაც აქვთ სპეციალური იურიდიული ცოდნა და გამოცდილება. იმათ თანამდებობაზე აყენებს სახელმწიფოს სათანადო ორგანო. მაგრამ სასამართლოს რომ მეტი ნდობა და ავტორიტეტი ქონდეს, დღეს თეორიაში და პრაქტიკაში მიზანშეწონილათაა ცნობილი მართლ-მსაჯულების საქმეში, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეში, თანამშრობლობა ხალხური ელემენტისა: ისინი ახლო დგანან ხალხთან, იცნობენ უკანასკნელის უფლება-შეგნებას, აქვთ ყოფა-ცხოვრების დაკვირვება, შეუძლიათ ლოდიკურათ აზროვნება, ეხერხებათ განსჯა კითხვების ბრალისა და ფაქტიური მხარის შესახებ. ყველა

ეს კი ფრიად საჭირო და ძვირფასია სასამართლოსთვის. უკანასკნელიც იმით სარგებლობს.

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღეს ბატონ-ყმობის გადავარდნისთანავე. ჩვენ კი მას შემდეგ კიდევ ნახევარი საუკუნე დაგვჭირდა ცდა.

### ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჩვენში.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჩვენში დაკანონებულია 1919 წლის 17 იანვრის კანონით (იხ. კან. კრებ. 1919 წ. კან. 7 და 8). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნდა შემოღებული ყოფილიყო 1919 წ. ივნისის 1—სათვის, რაც დავალებული ქონდა იუსტიციის სამინისტროს.

მაგრამ მხოლოდ 1920 წლის 8 მარტს გაიხსნა თფილისში პირველი სხდომა სასამართლოსი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

აღნიშნული კანონით, ნაფიც მსაჯული უნდა ამორჩეულ იქნეს ორივე სქესის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც 25 წელიწადი შეუსრულდათ, თუ არჩევამდი ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობენ არჩევის ადგილზე. არავითარი ცენზი საჭირო არ არის ნაფიც მსაჯულისათვის, გარდა იმისა, რომ მან უნდა იცოდეს ქართული ენა და წერაკითხვა რომელსამე ენაზე.

### ნაფიც-მსაჯულთა სია (საერთო და მორიგი).

ნაფიც-მსაჯულთა ამოსარჩევათ დგება საერთო და მორიგი სია.

საერთო სია. საერთო სია უნდა შედგენილი იქნეს ქალაქებში—ქალაქის გამგეობისა და მაზრებში მაზრის საერო მთავარ გამგეობისაგან ყოველ წელს არა უგვიანეს ივნისის პირველისა. სათანადო გამგეობა აცხადებს — რა დროზე იქნება გამოფენილი სია საჯაროთ და გამოფენის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ყოველ მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს საჭირო შესწორების შეტანა. აღნიშნულ ვადის შემდეგ საერთო სია შეტანილ

შენიშვნებით წარედგინება ადგილობრივ ოლქის სასამართლოს შესასწორებლათ და მორიგი სიის შესადგენათ.

მორიგი სია. ოლქის სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე, რომელსაც გადამწყვეტი ხმით ესწრებიან ერობის და ქალაქის წარმომადგენლები, უნდა შესწორდეს საერთო სია და შედგეს მორიგი სია.

მორიგი ახუ წლიური სია უნდა შედგეს ყოველი მაზრისათვის ცალკე და უნდა დამთავრდეს ოქტომბრის პირველამდე. მორიგ სიაში საერთო სიიდან უნდა შეტანილი იქნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც მომავალი წლის განმავლობაში უნდა იქნენ მოწვეულნი სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებათ. მორიგ სიაში ყოველმა წლისათვის წილის ყრით უნდა შეტანილი იქნეს: თფილისისა და მისი მაზრისათვის 1200, ქუთაისისა და მისი მაზრისათვის 1000, სოხუმისა და მისი ოლქისათვის 800, დანარჩენი მაზრებისათვის თითო სესიისათვის 40-60 პირი. გარდა ამისა ყოველი სესიისათვის სათადარიგო მსაჯულთა სიაში უნდა შეტანილ იქნეს ექვსი კაცი. ამ გვარათ შედგენილ სიიდან ნაფიც მსაჯულებს სასამართლო გაანაწილებს სესიებათ. ამ გვარათ დგება სია სესიისათვის—დაახლოვებით თვიური სია.

**სასამართლოს შემადგენლობა ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით.**

ყველაზე მნიშვნელოვანია უკანასკნელი სია: ეს არის სია სასამართლოს სხდომის, რომელსაც ესწრება 12 ნაფიცი მსაჯული, ყოველ საქმეზე წილის ყრით არჩეული.

ამ 12 პირისაგან შემდგარ კრებულს თავმჯდომარეობს ერთი პირი (პროფესიონალი-მოსამართლე). ეს კრებული სწყვეტს ცალკე ბრალეულობის საკითხს, ხოლო თავმჯდომარესთან ერთად სასჯელის რაოდენობასაც.

**გამომეება. გამომეებლება.**

სისხლის სამართლის იმ საქმეებს, რომლისთვისაც დანიშნულია სასჯელი ღირსების შეუზღუდავად, არჩევს ერთი პირი

— მომრიგებელი მოსამართლე და სამი პირისაგან შემდგარი კოლეგია—მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, როგორც მეორე საფეხური. ამ საქმეების გარჩევას მომრიგებელი მოსამართლე პირდაპირ შეუდგება, როცა კი მილიციის ცნობას ან კერძო პირის საჩივარს მიიღებს.

უფრო მძიმე საქმეებს კი არჩევს ოლქის სასამართლო, ზოგჯერ სენატი, ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით. მაგრამ სანამ ასეთი საქმე გაირჩეოდეს, უნდა შეიკრიბოს ყველა ის ფაქტიური და იურიდიული მასალა, რომელიც საქმეს ეხება: საჭიროა გამოკითხვა და წინასწარი გამოძიება; უნდა გამოირკვეს ნიშნები დანაშაულისა, აღმოჩენილ იქნეს დამნაშავე.

გამოკითხვა ამზადებს ნიადაგს გამოძიებისათვის—ეს არის მილიციის საქმე. ყველა ისეთ შემთხვევაზე, სადაც დანაშაულის ნიშნები სჩანს, მილიციამ უნდა შეატყობიოს სასამართლოს გამომძიებელს, პროკურორს, ან იმის ამხანაგს, და თითონაც ხელი მოჰკიდოს გამოკითხვას, რათა დანაშაულის კვალი არ დაიკარგოს.

გამომძიებელი გამოძიებას მხოლოდ მაშინ იწყებს, როდესაც ამისთვის საკმაო და კანონიერი საბაზი აქვს.

გამომძიებლები ითვლებიან სასამართლოს (დამხმარე) ორგანოებათ და მათზე ვრცელდება დამოუკიდებლობის გარანტიები, როგორც მოსამართლეებზე.

პროკურატურა. გამოძიების საქმეს თვალ-ყურს ადევნებს პროკურატურა. პროკურატურას ევალება დამნაშავის დევნა სისხლის სამართლის წინაშე (ის გამოდის ბრალმდებლის როლში) და, საზოგადოთ, დაცვა კანონისა და სახელმწიფოებრივ ინტერესების.

პროკურორი, გამოდის რა ბრალმდებლის როლში, როდესაც საკმაო საბუთები აქვს ამისთვის, — თვალ-ყურს ადევნებს დახელს უწყობს სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანასაც.

მსარეები. აღნიშნულ ორგანოთა გარდა პროცესში მონა-

წილეობას იღებენ მხარეები: სამართალში მიცემული ანუ ბრალდებული, სამოქალაქო მომჩივარი და ბრალმდებელი.

სამართალში მიცემა. გამოძიების დამთავრებას უნდა მოჰყვეს განხილვა კითხვის—დასაბუთებულისა თუ არა ბრალდება, საკმარისია თუ არა შეკრებილი ცნობები, რომ ეჭვ-მიტანილი მიცემულ იქნეს სამართალში და საქმის განსახილველათ გაიხსნას სასამართლოს სხდომა.

სამართალში მიცემა ევალება პროკურორსა, ან სამოსამართლო პალატას იმის მიხედვით, თუ რამდენათ მნიშვნელოვანია საქმე.

ზოგიერთ შემთხვევაში საბრალმდებლო აქტი განსახილველათ და დასამტკიცებლათ ეგზავნება სამოსამართლო პალატას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ის საოლქო სასამართლოს განსახილველათ.

### საქმის წარმება საოლქო სასამართლოში.

გამოძიებით შეკრებილი მასალა ხდება სასამართლოს სჯისა და განხილვის საგნათ. გაიხსნება თუ არა სხდომა, უნდა გამორკვეულ იქნეს, გამოცხადდენ თუ არა პროცესში მონაწილენი (მხარეები, მოწმეები, ექსპერტები, ნაფიცი მსაჯულები და სხ.). შემდეგ წაიკითხება საბრალმდებლო აქტი (ოქმი), ჩვენება ჩამოერთმევა მოწმეებს და ექსპერტებს. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის სამართალში მიცემულს. კამათის დასრულებისას უნდა დაისვას კითხვა სამართალში მიცემულის ბრალიანობის შესახებ.

კითხვების დასმას მოყვება სასამართლოს თავმჯდომარის ბოლო სიტყვა (résumé). უკანასკნელ თავის სიტყვაში უხსნის ნაფიცი მსაჯულებს საქმის მთავარ გარემოებას და აფრთხილებს მათ, აძლევს საჭირო დარიგებას და მოაგონებს, რომ მათ კითხვა უნდა გადაჭრან თანახმათ რწმენისა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საქმის მთელ გარემოებათა განხილვას და აწონდაწონვას. ამის შემდეგ გამოაქვთ განაჩენი.

## განაჩენის განსაჩივრება. აპელაცია და კასაცია.

უმალღეს ინსტანციაში შეიძლება განსაჩივრებულ იქნას არსებითად სასამართლოს ისეთი განაჩენი, რომელიც არ არის საბოლოო. ასეთს განსაჩივრებას ეწოდება აპელაცია. სააპელაციო საფეხური სასამართლოსი ვალდებულია გასაჩივრებული საქმე ხელახლა გაარჩიოს არსებითად, და მეორე საფეხურის განაჩენი ითვლება საბოლოოთ. საბოლოოთ ითვლება აგრეთვე ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი: ასეთს სასამართლოს მეორე საფეხური არ სჭირია, რადგან ის ითვლება უნაკლოთ.

### კასაცია.

ყოველ საბოლოო განაჩენზე შეიძლება საკასაციო საჩივრის შეტანა საქართველოს სენატში. მაგრამ საკასაციო წესით საქმე არსებითად არ გაირჩევა, არამედ თუ სენატი დაინახავს, რომ საქმის გარჩევის დროს დარღვეულია წარმოების ფორმალური მხარე, საქმეს ხელახლა გასარჩევად დაუბრუნებს სასამართლოს უკან.

სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როცა ის დანიშნულ ვადის განმავლობაში განსაჩივრებული არ იქნება.

ძალაში შესული განაჩენი სასამართლოსი ემსგავსება კანონს, რომლის სისრულეში მოყვანა სავალდებულოა.

## IV.

### ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი.

სამოქალაქო სამართალი ეხება კერძო ხასიათის დამოკიდებულებებს.

სად იწყება კერძო და სად თავდება საზოგადო - ეს საკითხი დიდ დავას იწვევს მეცნიერთა შორის. სავსებით ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ რა არის კერძო სამართალი (jus priva-

tum) და რა საჯარო სამართალი (jus publicum) ან, სხვანაირად რომ ვსთქვათ, რაში გამოიხატება ამა თუ იმ იურიდიული დამოკიდებულების კერძო თუ საზოგადო ხასიათი.

ჩვენში მომქმედი ყოფილი რუსეთის სამოქალაქო სასამართლოს წარმოების წესდების 1 მუხლი ამბობს, რომ ყოველი დავა სამოქალაქო უფლებების შესახებ უნდა გაიჩინოს სამოქალაქო სასამართლოში. მაშასადამე, საჭიროა ვიცოდეთ თუ სად თავდება სამოქალაქო ურთიერთობის საზღვარი და რა ექვემდებარება სისხლის სასამართლოს და ადმინისტრაციას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უნდა ვიხელმძღვანელოთ წმინდა ფორმალური პრინციპით და ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ ვისი ინიციატივით უნდა იქნეს აღდგენილი ესა თუ ის დარღვეული უფლება. თუ კანონში დაწესებულია კერძო ინიციატივა, თუ დარღვეულ უფლებების აღსადგენათ საჭიროა დაინტერესებულ პირის საჩივარი, ურომლისოთ არც სასამართლო და არც ადმინისტრაცია ხმას არ ამოიღებენ, ასეთი უფლება ეკუთვნის კერძო ხასიათის უფლებათა ჯგუფს, ხოლო როცა თითონ სეხელმწიფოს ორგანოები გამოიღებენ თავს უფლების დამრღვევის წინააღმდეგ — ეს იქნება სფერო, საჯარო ხასიათისა. მაგალითად, ივანეს მიწა რომ მოხნას პეტრემ, ამას არავინ მიაქცევს ყურადღებას, სანამ თითონ არ უჩივლებს პეტრეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სამოქალაქო ურთიერთობის სფეროსთან.

მაგრამ შეიძლება იმავე ივანეს პეტრემ შვილი მოუკლას. ამ შემთხვევაში ივანეს საჩივარი საჭირო არ არის. პეტრეს თითონ სასამართლო აგვიბიძგს პასუხს და ხასტიკ სასჯელს მიუსჯის. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს საჯარო ხასიათის დამოკიდებულებასთან.

ამ რიგით, განსხვავება სამოქალაქო (ან კერძო) და საჯარო სამართალს შორის დამყარებულია ფორმალურ პრინციპზე.

მაგრამ ამ გვარი გაყოფა არ არის სავსებით სწორი, რადგან არის ბევრი ისეთი უფლება, რომლის დაცვა მინდობილია კერძო პირის ნება-სურვილზე, მაგალითად, ცილის წამება,

მაგრამ იმის თქმა კი არ შეიძლება, ვითომ ცილისწამება ეკუთვნოდეს სამოქალაქო სამართლის სფეროს.

ამიტომ განსხვავებას კერძოსა და საჯაროს შორის ეძებენ არა ფორმალურს, არამედ მატერიალურ ანსში. პროფესორ შერ-შენევიჩის სიტყვით ცხოვრებაში ჩვენ ნათლად ვხედავთ განსხვავებას და დაპირდაპირებას კერძოსა და საზოგადო შორის, ასე ვსთქვათ შეუფლებლათ ვგრძნობთ, თუ რა არის საპირადო და რა საერთო-საზოგადო. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს კრებულს ასეთი იურიდიული ნორმებისას, რომელნიც განსაზღვრავენ ცალკე ზიანთა კერძო დამოკიდებულებებს ურთიერთ შორის.

სამოქალაქო სამართლის შტოებია: 1. ნივთიერი სამართალი, რომელიც ეხება ადამიანის დამოკიდებულებას ნივთთან (მაგალ. კერძო საკუთრება); 2. საჯანო სამართალი—განსაზღვრავს იურიდიულ დამოკიდებულებას ოჯახის წევრთა შორის; 3. შემკვიდრებობითი სამართალი— ეხება ქონების ბედს მისი პატრონის გარდაცვალების შემდეგ და 4. ვადადებობითი სამართალი, რომელიც ეხება ხელშეკრულებებს, რომელსაც ადამიანები სდებენ ურთიერთ შორის.

### სუბიექტი და ობიექტი უფლებისა. ფიზიკური და იურიდიული ზიანცნება.

სუბიექტი. სამართალს ქმნიან ადამიანები. საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია სამართალიც. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს იმას, თუ რა არის შენი და რა არის ჩემი, უჩვენებს საზღვარს სად თავდება კერძო პირის უფლება და სად იწყება სახელმწიფოს ხელისუფლების სფერო. იურიდიულის თვალსაზრისით ადამიანი არის ისეთი პირი (persona), რომელიც შეიძლება იყოს უფლების მატარებელი ან სუბიექტი უფლებისა. ვისაც შეუძლია უფლების მატარებელი ან სუბიექტი იყოს, ის არის უფლება მოსილი პირი ან უფლებმოსიანი (правоспособный). თუ რა უფლებები უნდა ქონდეს ადამიანს, ამას განსაზღვრავს სამართალი.

უფლებოსნობისაგან უნდა გავარჩიოთ მოქმედობა (ДѢ-  
СПОСОБНОСТЬ). ყოველი ადამიანი ანუ ფიზიკური ზირი შეიძ-  
ლება იყოს უფლებოსანი. ძველს რომში უფლებოსობას მოკ-  
ლებული იყვნენ მონები, ჩვენში ბატონყმობის გადავარდნამდე  
— ყმები. მაგრამ შეიძლება ფიზიკური პირი იყოს უფლებოსანი,  
მაგრამ არ იყოს მოქმედობის მქონე. მოქმედობა იმას ეწო-  
დება, როცა აღნიშნული პირის მოქმედებას მიეკუთვნება იუ-  
რიდიული მნიშვნელობა. ბავშს აქვს უფლება, მაგრამ მას პი-  
რადათ არ შეუძლია რაიმე იურიდიული მოქმედება შეასრულოს.  
ის მოკლებულია ყოველსავე მოქმედობას (ДѢСПОСОБНОСТЬ).

ფიზიკური ზირი. ფიზიკური პირის უფლებოსნობა იწყება  
მისი დაბადების დღიდან, თავდება მისი სიკვდილით. სიკვდილი  
არის ფიზიკური და სსმქაქაქა. ეს უკანასკნელი გამოიხატება  
უფლების აყრაში სასამართლოს განაჩენით მძიმე დანაშაული-  
სათვის. სამოქალაქო სიკვდილი იწყება აგრეთვე ბერათ აღკვე-  
ცილისათვის იმ დღიდან, რა დღესაც ის ბერათ შედგება. სამ-  
ღვთო წერილის იდეა, რომ ბერათ აღკვეცილი შორდება ამ  
ქვეყანას, გადმოტანილია კანონმდებლობაშიაც: ბერათ შემდგარს  
არ აქვს ქორწინების უფლება, არაქვს უფლება ქონების შეძენის  
და ვაჭრობის, ის არ შეიძლება იყოს სხვისი რწმუნებულიც კი,  
ხოლო მის სიცოცხლეში შეძენილი ქონება გადადის მემკვიდ-  
რეებზე სწორედ ისე, როგორც ფიზიკური სიკვდილის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ბევრს სახელმწიფოში,  
სადაც გატარებულია ცხოვრებაში პრინციპი ეკლესიის და სა-  
ხელმწიფოს განცალკევებისა, ბერი კანონით არ არის უფლე-  
ბოსობას მოკლებული. ასე იქნება ეს ჩვენშიაც, როცა კა-  
ნონმდებლობის გზით გატარდება ეკლესიის ჩამოშორება სა-  
ხელმწიფოსაგან.

### მოქმედობის შემზღუდავი გარემოებანი.

ა) ასაკი ანუ სწავნობა. სრული მოქმედობა იწყება გან-  
საზღვრული ასაკიდან, რომელსაც ეწოდება სრულწლოვანობა,  
ამ ასაკამდე კი პირი ითვლება უწლოვანოთ ან მცირე წლოვანათ.

ჩვენში მომქმედი კანონით სამოქალაქო სრულ წლოვანობა იწყება 21 წლიდან. ამ ასაკამდე კი არის ორი საფეხური: მცირეწლოვანობა—17 წლამდე და უსრულწლოვანობა 17-ან 21 წლამდე. 17 წლამდე ობოლს ენიშნება მოურნე (опекунъ), ხოლო 17-ან 21-დე—მზრუნველი (попечитель). ქორწინებისათვის დანიშნულია სხვა ასაკი.

საერთო პრინციპი სრულწლოვანობის დასადგენად არის ადამიანის ფიზიკური განვითარება, რასაც ერთნაირი სისწორით არ განსაზღვრავენ ყველგან და ამით აიხსნება ის, რომ ყველა სახელმწიფოში ერთგვარი ასაკი არ არის დაწესებული.

ბ) სქესი. მომქმედობის მხრით შეზღუდული არიან მხოლოდ ქმრიანი ქალები, გაუთხოვარი ქალები და ქვრივი ქალები კი გათანასწორებული არიან მამაკაცებთან. ძველი რომის სამართალი ქალს ზღუდავდა მისი „ბუნებრივი ქარაფშუტობის“ გამო (propter animi levitatem). საფრანგეთში მომქმედ სამოქალაქო კანონით ქმრიანი ქალი ჩაყენებულია იმავე პირობებში, როგორშიცაა ბავშვები და შეშლილები.

ჩვენში მომქმედ რუსეთის სამოქალაქო კანონით ქმრიან ქალს უფლება არ ქონდა ქმრის ნებადაურთველათ თამასუქი გაეცა (დამფუძნებელ კრების დეკრეტით ეს შეზღუდვა გაუქმებულია) და პირად დაქირავების პირობა დაედო ვისმესთან. ეს უკანასკნელი შეზღუდვა დღესაც ძალაშია. ქმრიან მსახიობ ქალს, მაგალითად, ქმარის ნებადაურთველად არ შეუძლია თეატრის გამგეს სათანადო ხელშეკრულობით შეეკრას.

გ) ჯანმრთელობა. შეშლილი მოკლებულია მოქმედობას, მაგრამ თითონ შეშლილობის ფაქტი კანონიერ ის წესით უნდა იყოს დადასტურებული. სრულს მოქმედობას მოკლებული არიან აგრეთვე ყრუ-მუნჯნი და სხვ.

დ) სრულს მოქმედობას მოკლებულნი არიან აგრეთვე ქონების გამფლანგველნი და სხვ.

### უფლებოსნობის შეზღუდვა.

რუსეთის კანონებით უფლებოსნობის შემზღუდველ გარემოებათ ითვლებოდა: არა ქვეშევრდომობა, ეროვნება, სარწმუნოება.

ნობა, წოდება. საქართველოში ყოველივე ეს შევიწროებანი გაუქმებულია.

### იურიდიული ზირი, როგორც უფლების სუბიექტი.

მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ადამიანები ქმნიან კავშირებს. იურიდიულის მხრით კავშირი შეიძლება იყოს ორგვარი: საჯარო ხასიათის — ასეთია მაგალითად თითონ სახელმწიფო, ქალაქის და სოფლის თვითმართველობანი და სხვა, და კერძო ხასიათის, — კავშირნი, რომელნიც მიზნათ ისახვენ სხვა და სხვა კულტურულ თუ სავაჭრო საქმეებს. კანონი ასეთ კავშირებს ანიჭებს უფლებოსნობას, მაშასადამე ისინი ხდებიან უფლების სუბიექტათ, მაგრამ ასეთი კავშირი არ არის ფიზიკური პიროვნება, ის, ასე ვსთქვათ, ერთგვარი ხელოვნურათ შედგენილი პიროვნებაა. ინგლისის სამართალი სწორეთ ასეთს ტერმინს ხმარობს, ფრანგები ამბობენ „personne morale“, რუსეთის კანონმდებლობა ხმარობს სიტყვებს „составе лицъ“. მაგრამ პრაქტიკამ გააბატონა ტერმინი იურიდიული ზირი.

დანიშნულების და ხასიათის მიხედვით იურიდიული პირი არის: საჯარო და კერძო.

ა) საჯარო იურიდიული პირი დგება ან ისტორიულათ, ან პირდაპირ კანონმდებლობით იქმნება. ასეთია უპირველეს ყოვლისა საზინა, ე. ი. თითონ სახელმწიფო სამეურნეო მოღვაწეობით. მაგრამ როგორც იურიდიული პირი, საზინა გამოდის ცალკე უწყებების სახით. საჯარო ხასიათის იურიდიული პირებზეა აგრეთვე ქალაქები და ერობები, უნივერსიტეტი და სხვ.

ბ) კერძო იურიდიული პირი სდგება კერძო პირების სურვილით. აქ აღსანიშნავია საზოგადოება და ამხანაგობა.

საზოგადოება ეწოდება ისეთს შეერთებას, რომლის მიზანია არა მოსაგები, ქონების შექმნა, არამედ სხვა რამე კულტურულ-განმანათლებელი საქმე და სხვ. ხოლო ამხანაგობა წარმოადგენს ისეთს შეერთებას, რომლის მიზანია მხოლოდ ქო-

ნების შექმნა და გამრავლება. როგორც პირველი, ისე მეორე სახის კერძო შეერთებანი იურიდიულ პირის უფლებას იღებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ. რეგისტრაციის პირობები აღნიშნულია კანონში.

### იურიდიულ პირის უფლებოსნობა და მოქმედობა.

ჩვენში მოქმედ რუსეთის კანონმდებლობით იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლება—მოქმედოს იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო იურიდიულ პირისთვის კანონით, ხოლო კერძოსთვის წესდებით. და თუ მან აღნიშნულ საზღვრებს გადაუხვია, მისი მოქმედება ითვლება უკანონოთ. აღნიშნულ საზღვრებში იურიდიული პიროვნება სარგებლობს სრულის უფლებოსნობით, რამდენათ ეს შეუძლებელი არაა მისი ბუნების გამო: მას არ შეუძლია, მაგალითად, ცოლის შერთვა.

რაც შეეხება მოქმედობას, იურიდიული პირი სარგებლობს ამით, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უფლებოსნობაც უაზრო იქნებოდა. მაგრამ ის სარგებლობს მოქმედობით არა პირდაპირ, არამედ წარმომადგენლის საშუალებით.

### უფლების ობიექტი.

თუ არის უფლებამოსილი პირი, ე. ი. უფლების სუბიექტი, უნდა არსებობდეს აგრეთვე შესაფერი ობიექტი, რომელზედაც სუბიექტი გაავრცელებს თავის მოქმედებას. ობიექტად გამოდგება ყველაფერი ის, რაც ადამიანისათვის საჭიროა ცხოვრებაში, რამდენათ ადამიანი არ გამოვა კანონით დადებულ საზღვრიდან. ასეთია ერთის მხრით ნივთი, ხოლო მეორე მხრით გარეშე პირის მოქმედება, რომელიც განსაზღვრულ პირობებში ქონებრივ ღირებულებას წარმოადგენს. მაშასადამე უფლების ობიექტია რაგონიც ნივთი, ისე ადამიანის მოქმედება, სამსახური.

### ნივთიერი სამართალი.

ნივთი. ქონება. ნივთი ეწოდება მატერიალურ საგანს, რომელიც განსაზღვრულ სივრცეშია მომწყვდეული. ნივთი არის მარტივი და რთული. მარტივი ეწოდება ისეთს ნივთს, რომელიც წარმოადგენს ერთს ორგანიულს მთელს—ქვა, ხე, რთული ეწოდება ისეთს ნივთს, რომლის ნაწილები მექანიკურათ არის შეერთებული—გემი, სახლი. მარტივსა და რთულს ნივთებს გარდა აღსანიშნავია ნივთების გროვა, რომელთა შორის არ არის ფიზიკური კავშირი,— ასეთია მაგალითად ბიბლიოთეკა, მალაზია, ჯოჯი და სხვ. ნივთების გროვისაგან განსხვავდება გროვა ქონებრივ ღირებულებათა, რომელიც შეადგენს ქონებას. ქონებაში ნივთებს გარდა შედის აგრეთვე სხვა ღირებულებაც—მაგალითად, უფლება სხვის მოქმედებაზე, სამსახურზე.

გარდა ამისა ნივთი არის მოძრავი და უძრავი. თეორეტიკულათ ერთობ ადვილია განსაზღვრა უძრავის და მოძრავის: მოძრავი ეწოდება ისეთს ნივთს, რომლის გადატან-გადმოტანა შეიძლება მის შეუცვლელათ და დაუზიანებლათ. ასეთია ცხოველი, რომელიც თითონ მოძრაობს, და ნივთები, რომლის გადატანა შეიძლება—მაგიდა, სკამი და სხვ. უპირველეს ყოვლისა უძრავი ნივთია მიწა და მაზე აღმოცენებული მცენარეები, სანამ ისინი არ მოუშორებიათ მიწისათვის და აგრეთვე ისეთი შენობები, რომლის საძირკველი გამაგრებულია მიწაში.

ისეთი შენობები კი, რომელიც მიწის ზედაპირზეა დადგმული, მოძრავად ითვლება: ასეთია ფარდულები, იმერული ორდები და ქოხები. სხვის მიწაზე აგებული შენობა ყოველ შემთხვევაში მოძრავ ნივთად ითვლება.

უძრავი ნივთი არის კეთილშენსახი და საგვარეულო. კეთილშენსახია ყოველი ნივთი, რომელიც ამა თუ იმ პირმა შეიძინა. საგვარეულოა ისეთი უძრავი ნივთი, რომელიც მიღებულია მემკვიდრეობის წესით.

უძრავი ნივთის საგვარეულო ხასიათი მომდინარეობს ძველი დროიდან, როგორც ნაშთი საგვარეულო საკუთრებისა.

მთავარი ნივთი და მისი კუთვნილება. გემი არის მთავარი ნივთი, ნავი კი მისი კუთვნილება; საკვამლე მილი არის გემის შემადგენელი ნაწილი, რადგან უმილოთ გემი ვერ იმუშავებს.

მთავარს ნივთსა და მის კუთვნილებას შორის შეიძლება იყოს სხვა და სხვა გვარი კავშირი: ორგანიული, მექანიკური, ეკონომიური და იურიდიული.

ორგანიული კავშირი არსებობს მთავარ ნივთსა და მასთან ბუნებრივად შეკავშირებულ ნივთებს შორის. მიწის ორგანიულ კუთვნილებას შეადგენენ: მადნები, მცენარეები, სოკო, ბალახი, თევზი ტბაში.

მექანიკური კავშირი არსებობს სახლის სხვა და სხვა ნაწილებს შორის, რომელთა მექანიკური შეერთება ქმნის ერთს მთელს, ასეთია აგური, კირი, ჩარჩოები, კარები, კიბეები და სხვ.

ეკონომიური კავშირი არსებობს მამულსა და სამეურნეო ინვენტარს შორის, და ინვენტარის მოშორება უკარგავს მამულს ეკონომიურ ღირებულებას.

იურიდიულ კავშირს ნივთთა შორის აწესებს თითონ კანონი. მაგალითად გემის კუთვნილებათ ითვლება აგრეთვე მისი დოკუმენტები.

ყველაზე მნიშვნელოვანია დანაწილება ნივთებისა უძრავათ და მოძრავათ.

### ნივთიერი უფლება.

ნივთიერი უფლება ეწოდება ისეთს უფლებას, რომელიც ანიჭებს ადამიანს ჰიერარქიულ ბატონობას ნივთზე. ასეთია, მაგალითად, საკუთრების უფლება.

შევადროთ ერთმანეთს სახლის პატრონი და ბინის დამკირავებელი, მდგმური. ამათ შორის ფაქტიური განსხვავება არ არსებობს: ორივე შეიძლება სცხოვრობდეს ოთახებში, მაგრამ სახლის პატრონს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სახლთან,

მაშინ როდესაც დამქირავებელს მხოლოდ სახლის პატრონის საშვალებით და მისი ნებართვით შეუძლია სახლით სარგებლობა. პირველის დამოკიდებულება სახლთან არის დამოკიდებულება ნივთიერი, ხოლო მეორეს, მდგმურს, დამოკიდებულება აქვს ადამიანთან და ეს დამოკიდებულება აგებულია ხელშეკრულობაზე; მაშასადამე მისი დამოკიდებულება არის ვაჭდებულობითი. ნივთიერ უფლებათა შორის ყველაზე სრულია კერძო საკუთრების უფლება. ეს უკანასკნელი ეხება როგორც მოძრავს, ისე უძრავ ნივთებს.

კერძო საკუთრების უფლების განმარტებაში იურისტები სავსებით ვერ თანხმდებიან. უფრო მისაღებია ის განმარტება, რომელიც ცხოვრებაში არსებულ შეხედულობას უახლოვდება. როცა ვინმე ამბობს ეს ნივთი ჩემიაო, მას ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ის სრული ბატონ-პატრონია მისი: შეუძლია ასე თუ ისე ისარგებლოს, გაჰყიდოს, გააჩუქოს ან სრულებით მოსპოს — ამისათვის ის პასუხს არ აგებს. მაშასადამე საკუთრება ნიშნავს სრულს და შეუზღუდავს ბატონობას ნივთზე.

ჩვენში მომქმედი ყოფილ რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა (კანონთა კრებული, ტომი X, ნაწ. I) კერძო საკუთრების უფლებას განმარტავს, როგორც უფლებას სამოქალაქო კანონების მიერ დადგენილ წესით, მიუღობელობის, სარგებლობის და განკარგულების სხვა პირისაგან დამოუკიდებლად სპეციალურად და საუკუნოდ.

აღნიშნული განმარტების აზრით, საკუთრება შესდგება სამი ელემენტისაგან: მიუღობელობის, სარგებლობის და განკარგულებისაგან. მფლობელობა ნიშნავს ფაქტიურ ბატონობას. სარგებლობა გამოიხატება იმაში, რომ მესაკუთრე ისარგებლებს ნივთის ყოველივე ნაყოფით და შემოსავლით. განკარგულების უფლება კი ნებას აძლევს პატრონს თავის სურვილისამებრ გადასწყვიტოს ნივთის ბედი: გაჰყიდოს, გააჩუქოს, მისცეს ვისმეს დროებით სასარგებლოდ და სხვ.

## საკუთრების შექმნა და მოსპობა.

ნივთის შექმნა შეიძლება როგორც სასყიდლის გაღებით-ყიდვით, ისე უსასყიდლოთ: საჩუქრათ, მემკვიდრეობით და დიდი ხნის მფლობელობით. აქვე უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა შეფლობაზე, როგორც ცალკე იურიდიულ დამოკიდებულებაზე.

შეფლობა ნიშნავს ადამიანის ბატონობას ნივთზე საკუთრების სახით. ასეთი მფლობელობა არ აქვს დამკვირვებელს, რადგან ის აშკარათ აღიარებს, რომ პატრონის ნებართვით უქირავს ნივთი. შესაძლოა მფლობელს უკანონოთაც ექიროს ნივთი, მაგრამ ამის დანახვა გარეგნულათ შეუძლებელია, რადგან მფლობელი თავის განზრახვებს არავის გაუზიარებს, ისე კი მისი მოქმედება აფიქრებებს ყველას, რომ ის ალბათ მესაკუთრეა, რადგან არავის ბატონობას არ სცნობს. მხოლოდ ნამდვილ მესაკუთრეს აქვს უფლება გააძევოს უკანონო მფლობელი, თუ სათანადო წესით დამტკიცებს თავის საკუთრების უფლებას.

თითონ მფლობელობა, თუ ის შეუწყვეტელივ და უდავო გაგრძელდა განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, ხდება კერძო საკუთრებათ. ასეთ ვადას ეწოდება სპეციალური იურიდიული სახელი ხანდასმულობა (давность).

## უძრავი ნივთის შექმნა.

უძრავ ნივთს (მიწას და ზედ აგებულ შენობას) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაშინ, როცა მოძრავი ნივთის შექმნა შეიძლება უბრალო გადაცემით ან სიტყვიერი შეთანხმებით, უძრავისათვის დაწესებულია განსაკუთრებული წესი—ნოტარიული სამტკიცის წესი. ყოველ ოლქის სამართლოსთან არსებობს თანამდებობა უფროსი ნოტარიუსისა, რომელიც აღნიშნავს სათანადო წიგნში (რეესტრში) უძრავი ნივთის ერთი პირისაგან მეორეზე გადასვლას. იმ აქტს, რომლითაც უნდა შექმნილ იქნეს საკუთრებათ უძრავი ნივთი,

ეწოდება ნასყიდობის სიკეფი (купчая крепость). რადგან უძრავ ნივთს (მიწას) სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას აძლევს, ამიტომ მისი არა მარტო საკუთრებათ შექმენა, არამედ დაგირავებაც უნდა იქნეს აღნიშნული სათანადო რეესტრში.

### კერძო საკუთრების შეზღუდვა.

მართალია, კერძო საკუთრების უფლება ანიჭებს მესაკუთრეს სრულს ბატონობას, მაგრამ ეს ბატონობა არ არის აბსოლუტურათ შეუზღუდავი. ეს შეზღუდვა ხდება როგორც პატრონის თანხმობით, ისე კანონით. ეს ხდება მრავალგვარ საზოგადოებრივ და კერძო პირების ინტერესებისათვის, მაგალითად ქალაქში სახლის პატრონს ნება არ აქვს მეზობლის ეზოსკენ გააკეთოს ფანჯრები, ნება არ აქვს საზოგადო გზაზე სიარული შეაფერხოს და სხვ.

### კერძო საკუთრების დაკარგვა.

სახელმწიფოს შეუძლია სულ ჩამოართვას საკუთრება პატრონს და მისცეს საფასური. ასეთს ჩამორთმევას ეწოდება იძულებითი ჩამოერთმევა ანუ ექსპროპრიაცია. ჩამორთმევა შეიძლება უფასოდაც. ამას ეწოდება კონფისკაცია. კონფისკაცია მიღებულია როგორც სასჯელი ზოგიერთ მძიმე დანაშაულისათვის. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მოღალატე თავდაზნაურობას ჩამოართვეს უფასოთ მამული, რომელიც შემდეგ სახელმწიფომ გაჰყიდა.

მიწების კონფისკაცია ჩვენში უფრო ფართოდ გატარდა. ყველა მემამულეს ჩამოერთვა უფასოთ მამული ნორმაზე ზევით, ე. ი. იმდენი იქნა დატოვებული, რამდენიც საშუალო მეურნეობისათვის არის საკმაო. ასეთ ნორმათ აღიარებულია 7-დეს. კარგი მიწების და 15 დესეტინა უფრო ნაკლები ხარისხის. ასეთი კონფისკაცია მოხდა სემის 1918 წლის 7 მარტის კანონის თანახმად, რაც შემდეგ საქართველოსთვის დადასტურა ჯერ ეროვნულმა საბჭომ, ხოლო შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ.

### საზოგადო საკუთრება და სათემო მფლობელობა.

როცა ნივთი ეკუთვნის ერთს კაცს, ამას ქვია საკუთრივ კერძო საკუთრება. მაგრამ საკუთრება შეიძლება ქონდეს რამდენიმე პირს ერთად. ეს იქნება საზიარო ნივთი და თითონ იურიდიული დამოკიდებულება იქნება საზოგადო საკუთრება.

საზოგადო საკუთრებისაგან უნდა გავარჩიოთ საზოგადოებრივი ან სათემო საკუთრება (общинная собственность) როცა ნივთი (მიწა) ეკუთვნის მთელს სოფელს, თემს, მეცნიერების გამოკვლევით სათემო მფლობელობა ჩამორჩენილობის დამახასიათებელია, მას ყველგან ქონია ადგილი, საცა დღეს კერძო ინდივიდუალური საკუთრებაა გაბატონებული. სათემო მფლობელობა ძლიერია დღემდის რუსეთში (განსაკუთრებით ველიკოროსიაში). ჩვენში ის ასე თუ ისე შენახულა ქიზიყში (სილნალის მაზრა).

### სერვიტუტები.

ნივთიერ უფლების ხასიათი აქვს აგრეთვე სერვიტუტს. სერვიტუტი წარმოადგენს სხვისი ნივთის სარგებლობის უფლებას. ასეთია უფლება სარწყავ წყლით, საძოვრით და ტყით სარგებლობის, უფლება სხვის წყლებში თევზაობისა და სხვ.

### ჩინში და ხიზნაბა.

ჩინში შენახულია დასავლეთ რუსეთში და ნოვოროსიის მხარეში. ის მდგომარეობს იმაში, რომ ჩინშევიკს ნება აქვს საშვილო-შვილოთ ისარგებლოს განსაზღვრული მამულით იმ პირობით, რომ პატრონის სასარგებლოთ უნდა იხადოს გადასახადი ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული რაოდენობის. ამით ჩინში არსებითად განსხვავდება იჯარისაგან, რომელიც ყოველთვის განსაზღვრულ ვადით არის დადებული. გარდა ამისა ჩინშს აქვს ნივთიერი უფლების ხასიათი.

რუსულ ჩინშის მაგვარ ინსტიტუტს წარმოადგენდა ჩვენებური ხიზნაბა. ხიზანი იგივე ჩინშევიკია, რადგან სახიზნო მი-

წით ის სარგებლობდა უვადოთ, საშვილიშვილოთ და ყოველ წელიწადს იხდიდა მიწის პატრონის სასარგებლოთ ერთგვარ გადასახადს—დაჯას. ღალის რაოდენობის გადიდება მემამულეს არ შეეძლო.

საქართველოს ახალი კანონმდებლობით ხიზნობა გაუქმებულია და სახიზნო მიწები ხიზნების საკუთრებათ იქნა გამოცხადებული გამოუსყიდველათ, უსასყიდლოთ.

### საგირავნო სამართალი.

ნიეთიერ უფლებათა რიგს აკუთვნებენ აგრედვე საგირავნო სამართალს (залоговое право). აღნიშნული ინსტიტუტის საფუძველია კრედიტის საჭიროება. კაცს აღებ-მიცემობაში ნაკლებათ ენდობიან პირადათ, სამაგიეროთ ენდობიან მის საკუთრებას. საწინდრათ ხდება მიწა, სანამ ვალი იქნებოდეს განაღდებული. ეს დაწინდრება, დაგირავება უნდა აღინიშნოს ნოტარიუსთან სიმტკიცის წესით.

### ვალდებულობითი სამართალი.

ვალდებულება. ვალდებულება ეწოდება ისეთს იურიდიულ ურთიერთობას, რომელშიაც ერთს ზირს უფლება ეძლევა მეორე ზირის მოქმედებაზე.

ამ განმარტებიდან სჩანს, თუ რა ძირითადი განსხვავებაა ნიეთიერ და ვალდებულობით უფლებათა შორის: ნიეთიერ უფლებების ძალით ერთს ეკუთვნის პირდაპირი ბატონობა ნიეთზე და ყველა დანარჩენი მოქალაქენი იძულებულნი არიან ამ გარემოებას ანგარიში გაუწიონ და ხელი არ შეუშალონ. ვალდებულობითი უფლება კი სახელობით აღნიშნავს იმ პირებს, რომელნიც ვალდებულნი არიან რამე შეასრულონ. მაშასადამე, იურიდიული დამოკიდებულება არსებობს ორ მხარეს შორის, რომელთაც ეწოდება კონტრაგენტები. ესენი არიან სუბიექტები ვალდებულებისა. ამათში იმას, ვის სასარგებლოთ უნდა ასრულდეს რამე ეწოდება აქტიური სუბიექტი ანუ კრედიტორი, ხოლო ვინც უნდა ასრულოს—პასიური სუბიექტი, ანუ მოვალე.

ვალდებულების ობიექტი არის მოქმედება, რომელიც შეიძლება იყოს სხვა-და-სხვა გვარი: ა) გადაცემა ნივთისა ერთი პირისაგან მეორეზე, ბ) ნივთით სარგებლობის დაშვება, გ) პირადი სამსახურის გაწევა, დ) უარისთქმა ისეთს მოქმედებაზე, რომლის ერთად ერთი უფლება აქვს უარისმთქმელს, მაგალით. გამომცემლობის ხელშეკრულება, როცა ავტორი ნებას აძლევს გამომცემელს გამოსცეს მისი ლიტერატურული ნაწარმოები.

საკიროა განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს უფლება სხვის მოქმედებაზე. აქტიური სუბიექტი ღებულობს უფლებას პასიურ სუბიექტის მოქმედებაზე, და არა მის პიროვნებაზე ან ნებისყოფაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით მონობას. ამიტომ აქტიურ სუბიექტს შეუძლია მხოლოდ ზარალი აზღვევინოს პასიურ სუბიექტს, უკეთეს ის პირობას დაარღვევს. პროფ. შერშენევიჩს მოყვანილი აქვს შემდეგი ამბავი: პარიზში ყოფილა ერთი შემთხვევა, როცა მსახიობი სასამართლოს დადგენილებით თეატრიდან გაუგდიათ, რადგან მას დაურღვევია ხელშეკრულება მეორე თეატრის გამგესთან დადებული, რომ ის სხვაგან არ ითამაშებდა. ასეთს განაჩენს დიდი პროტესტით შეხვდენ თურმე.

ქანუბრივი ინტერქსი აუცილებელია ვალდებულობისათვის. სხვა ნაირათ არც შეიძლება, რადგან შეუძლებელია იძულებით აასრულებიოთ ვისმეს რამე საქმე, შესაძლებელია მხოლოდ ზარალი აზღვევინოთ. მაგალითად თეატრის მოლარემ დაგირღვიათ პირობა და ბილეთი არ შეგინახათ. რამდენად უნდა დაათვასოთ ზარალი, რომელიც ოპერის მოუსმენლობით მოგივიდათ?

### ვალდებულებათა წყარო (სათავე).

ასეთად შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული ხელშეკრულება და უფლების დარღვევა. იურიდიულ ხელშეკრულების შინაარსი, როგორც უკვე ვთქვით, უნდა იყოს მატერიალური ინტერესი. უფლების დარღვევა კანონით ნებას აძლევს დაზარალებულ პირს ეძიოს დაკმაყოფილება. მაგალითად ავტომობილმა შე-

ფერის გაუფრთხილებლობით კაცს ფეხი მოსტეხა, ამ უკანასკნელს ავტომობილის პატრონმა უნდა უზღოს ზარალი. არის კიდევ მესამე წყარო ვალდებულების, რასაც იურიდიულად ეწოდება უკანონო გამდიდრება სხვის ხარჯზე. ეს ქმნის ვალდებულებას უკანონო გამდიდრებულისა დაზარალებულის წინაშე.

### ხელშეკრულება (ДОГОВОРЪ).

ხელშეკრულება ეწოდება შეთანხმებას ორს ან მეტ ზიარს შორის რამელიმე იურიდიულ ურთიერთობის დასამყარებლათ, შესატყულებლათ ან მოსასპობათ.

შეთანხმება ავტომატური ელემენტია ხელშეკრულების, რომელიც წარმოუდგენელია ისე, თუ მისი მონაწილენი თავისუფლათ არ გამოსთქვამენ თავიანთ სურვილს.

გარდა ამისა საჭიროა, რომ ხელშეკრულობის ობიექტი შესაძლებელი იყოს როგორც ფიზიკურათ ისე იურიდიულათ. ფიზიკური შეუძლებლობა უნდა იყოს საერთო და არა ერთი რომელიმე მონაწილისათვის.

იურიდიული შესაძლებლობა ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების ობიექტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს ან დაწესებულ ზნეობას. მაგალითად, მაქანკალმა მოითხოვა შეპირებული გასამრჯელო სამაქანკლო საქმიანობისათვის. ასეთს ხელშეკრულებას, როგორც უღირსს, იურიდიული ძალა არ აქვს.

### ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია.

იმ მიზნის მიხედვით, რომლისთვისაც ხელშეკრულებებს სდებენ, შეიძლება მათი ოთხ ჯგუფათ დაყოფვა: ა) ნივთების გადაცემა საკუთრებად; ბ) ნივთების გადაცემა დროებით სასარგებლოთ; გ) პირადი სამსახური და დ) განსაკუთრებული უფლებების დათმობა.

ჩამოვთვალოთ ეს ხელშეკრულებები:

1. ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, წინასწარი გაყიდვა, ნარდი მუშაობა („პოსტავკა“) ჩუქება, სესხი, დაზღვევა,

2. დაქირავება ქონების, თხრება.
3. პირადი დაქირავება, იჯარა („პოდრათი“), გადაზიდვა, ვეჭილობა, კომისსია, მიბარება, ამხანაგობა.
4. საგამომცემლო ხელშეკრულება.

### ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა.

ყიდვა-გაყიდვა არის ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალით ერთ მხარეს ევალება გადასცეს მეორეს ნივთი საკუთრებად, მეორე მხარემ კი უნდა გადაუხადოს პირველს განსაზღვრული რაოდენობა ფულის, ფასი.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი მხარე: ერთი ვალდებულია მისცეს მეორეს საკუთრებად ნივთი, მეორე ვალდებულია გადაუხადოს პირველს ამ ნივთის ეკვივალენტი—ფასი. ფასი შეიცავს ფულის განსაზღვრულ რაოდენობას.

ხელშეკრულების ფორმა სხვა-და-სხვაა უძრავისათვის და მოძრავისათვის. მოძრავისათვის სავალდებულო არაა წერილობითი ხელშეკრულება, უძრავისთვის კი შემოღებულია და სავალდებულო ნოტარული სამტკიცის ფორმა. ყიდვა-გაყიდვა შეიძლება გადაიქცეს გაცვლად, როცა ნივთში ფულის მაგიერ აძლევენ საბადლო ნივთს. ასე იყო პირველ ყოფილ ადამიანებში. დღეს გაცვლა-გამოცვლა ხდება თითო-ორი კერძო შემთხვევაში.

### წინასწარი გაყიდვა (запродажа).

წინასწარი გაყიდვა ეწოდება ისეთ ხელშეკრულებას, რომლის ძალით ორი მხარე ერთმანეთს შორის პირობას სდებს, რომ დანიშნულ ვადისათვის ერთი გადასცემს მეორეს ნივთს, ხოლო მეორე მისცემს მას გინსაზღვრულ ფასს.

მაშასადამე წინასწარი გაყიდვა — ეს არის წინასწარი ხელშეკრულება მეორე ხელშეკრულობის დადების თაობაზე. ამ ხელშეკრულობის ფორმა უსათუოდ წერილობითი უნდა იყოს.

მთავარი დამახასიათებელი თვისება ამ ხელშეკრულობისა ის არის, რომ მაშინ როცა გამყიდველს აქვს ის ნივთი, რომელსაც ყიდის, წინასწარი გამყიდავი მხოლოდ პირობას სდებს, შემდეგში გაჰყიდოს და მაშასადამე პირობის დადების დროს შეიძლება მას სულაც არ ქონდეს აღნიშნული ნივთი. მას შეუძლია ის შემდეგში შეიძინოს.

### ნარდი მუშაობა („პოსტავკა“).

ნარდი მუშაობა — ისეთი ხელშეკრულობაა, რომლის ძალით ერთი მხარე პირობით ეკვრის მეორეს, რომ დანიშნულ ვადაში გადასცემს მას განსაზღვრულ ღირსების და რაოდენობის ნივთებს, ხოლო მეორე მისცემს ფულის განსაზღვრულ რაოდენობას.

მაშასადამე ეს ხელშეკრულობა ჰგავს წინასწარ გაყიდვას და განსხვავდება ყიდვა-გაყიდვისაგან იმით, რომ ხელშეკრულობის დადების დროს „პოსტავშიკს“ შეიძლება არ ეკუთვნოდეს ნივთები. გარდა ამისა როგორც ყიდვა-გაყიდვის, ისე წინასწარ გაყიდვის დროს ნივთი უნდა იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული, „პოსტავკის“ ხელშეკრულობაში კი უნდა აღინიშნოს მხოლოდ ნივთების რაოდენობა და ხარისხი.

### ს ე ს ხ ი (заемъ).

სესხი ეწოდება ისეთს ხელშეკრულობას, რომლის ძალით ერთი მხარე პირობას სდებს, რომ ის განსაზღვრულ ვადაში დააბრუნებს წაღებულ ნივთის მაგიერ სხვა ნივთს იმავე რაოდენობის და ხარისხის. სესხის საგანი უნდა იყოს ისეთი ნივთი, რომელსაც ხმარების დროს ინდივიდუალობა ესპობა, მაგალითად: ნასესხები ფული დაიხარჯება, პური შეიქმება და ამიტომ სესხად მიღებულ ნივთის დაბრუნება ინდივიდუალურად აღარ შეიძლება. ამით განსხვავდება სესხი თხობებისაგან. აქ ნივთს იღებენ სასარგებლოთ და შემდეგ ისევ აბრუნებენ. ხალხს კარგათ აქვს შეთვისებული ეს იურიდიული განსხვავება,

როცა ამბობს: ორი პური მასესხე, ერთი ჩანახი ლობიო მასესხე, გუთანი მათხოვე, ხარი მათხოვე.

### ჩ უ ქ ე ბ ა.

ჩუქება ეწოდება უანგარო ხელშეკრულობას, რომლის ძალით ერთი აძლევს მეორეს ნივთს და მაშასადამე პირველის ქონებას აკლდება, ხოლო მეორესას ემატება.

რად ითვლება ჩუქება ხელშეკრულობათ? იმიტომ, რომ საჭიროა მეორე პირის თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მოხდება: მე ყოველთვის შემიძლია საჩუქრის მიღებაზე უარი ვთქვა.

ყიდვა-გაყიდვისაგან ეს ხელშეკრულობა იმითი განსხვავდება, რომ ნივთის გამცემი ეკვივალენტს, ფასს არ იღებს. ასეა, რასაკვირველია, იურიდიულათ, თორემ ისე ჩუქებას ყოველთვის აქვს რაიმე სარჩული—სიამოვნება, სამაგიეროს მიღების მოლოდინი და სხვ.

ჩუქებისაგან განსხვავდება შესაწირავი. შესაწირავი იგივე საჩუქარია, მხოლოდ მიმღები არის არა კერძო პირი, არამედ დაწესებულება.

### ქონებას გაქრავება.

ეს ისეთი ხელშეკრულობაა, რომლის ძალით ერთი მხარე პირობით ეკვრის მეორეს განსაზღვრული ვადით და ქირით დაუთმოს მას ნივთი სასარგებლოთ. დაქირავების ორი ნიშნობლივი თვისებაა, მაშასადამე, სარგებლობის ვადა და სასყიდელი. სასყიდლის გადახდევინებით ის განსხვავდება თხოვებისგან, —რომლის ძალით ნივთი გადაეცემა მეორე პირს ვადით სახმარად, მაგრამ უსასყიდლოთ. რადგან გაქირავებას მუდმივი ხასიათი არ აქვს, ამიტომ ვადის აუნიშნაობა ხელშეკრულობაში ისე გაიგება, რომ ყოველთვის შეიძლება ნივთის უკან დაბრუნება. გაქირავება შეიძლება როგორც მოძრავი, ისე უძრავით ნივთის, როგორც უსულო, ისე სულიერის—ცხოველების.

მოძრავი ნივთის გაქირავებას ეძახიან ქირავნობას (про-  
каты), უძრავისას კი იჯარას (аренда).

ხელშეკრულობის ფორმა: მოძრავი ნივთებისათვის სა-  
კმაოა სიტყვიერი პირობა, უძრავისთვის კი შემოდებულა  
წერილობითი, მხოლოდ, როგორც გამონაკლისი, დაშვებულია  
სიტყვიერი ხელშეკრულობით ქალაქის შენობების იჯარით  
აღება მოკლე ვადით.

### პირადი დაქირავება.

პირადი დაქირავება ეწოდება ისეთს ხელშეკრულობას,  
რომლის ძალით ერთი პირი უფლებას ღებულობს განსაზღ-  
ვრულ სასყიდლით ისარგებლოს მეორე პირის სამსახურით. ამ  
ხელშეკრულობის საფუძველს შეადგენს თავისუფალი ნებისყო-  
ფა, რომელსაც ადგილი არ ქონდა მონურს და ჩვენებურ ბა-  
ტონ-ყმურს ურთიერთობაში: ბატონის უფლებას შეადგენდა  
ყმის სამსახურით ესარგებლა, მაგრამ იქ ადგილი არ ქონდა  
დაქირავებას.

დაქირავების დროს პიროვნება თავისუფალია, არავის არ  
შეუძლია ის ძალით დააყენოს სამუშაოზე, მხოლოდ პირობის  
დარღვევისათვის დაქირავებული პასუხს აგებს ქონებრივად.  
კანონი აწესებს აგრეთვე ვადას იმის შიშით, რომ მუდმივ და-  
ქირავების სახით არ დაკანონდეს მონობა. რუსეთის კანონით  
დაქირავების ვადა არ შეიძლება გაგრძელდეს 5 წელზე ღი-  
ხანს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, დაქირავებულს შეუძლია  
ვადის გასვლამდისაც დაანებოს თავი საქმეს, რისთვისაც ის  
პასუხს აგებს ქონებრივად და არა პირადად.

პირადი დაქირავების ინსტიტუტი აერთებს მრავალ სხვა-  
და-სხვა კატეგორიას, რომელთა შორის ფაქტიურად დიდი  
განსხვავებაა, მაგალითად დაქირავება ხელზე მოსამსახურის და  
მუზიკის მასწავლებლის, ქარხნის მუშის და სოფლის მუშის.

გარდა ამისა, თუმცა ნებაყოფლობით ხდება პირადი და-  
ქირავება, მაგრამ სახელმწიფო აპარატი ხშირად ერევა ამ სა-  
ქმეში და დამქირავებლის თავისუფლებას ზღუდავს. ასეთია კო-

ლექტიური ხელშეკრულობა, რომლის ძალით მექარხნეს სრული თავისუფლება არ აქვს მუშის არც მიღების და არც დათხოვნის საქმეში.

პირად დაქირავებას უახლოვდება ვექილობა. ვექილობის ხელშეკრულობით ვექილი - რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებლის მაგიერობა გასწიოს იურიდიულ მოქმედების შესრულების საქმეში, რისთვისაც უფლება აქვს სასყიდელი მიიღოს.

ჩვენ განზრახ არ ჩამოვთვალეთ ყველა ხელშეკრულებები, რადგან მათი დაწვრილებით შესწავლა სპეციალისტების საქმეა. ვალდებულებითი სამართლის ზოგადად შესასწავლათ კი ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც საკმაოა.

### საოჯახო სამართალი.

სამოქალაქო სამართალს ეკუთვნის, როგორც მისი შტო, საოჯახო სამართალი. ის ეხება ოჯახს და მის წევრთა შორის დამოკიდებულებას — როგორც ქონებრივს, ისე პირადს.

ოჯახი ეწოდება მუდმივ თანაცხოვრობას ცოლქმრის და შვილებისა.

ძველად ოჯახი უფრო ფართო იყო. რუსეთში დღესაც მოიპოება ადგილები, სადაც ერთ ოჯახში რამდენიმე თაობას მოუყრია თავი. სათემო მიწათმფლობელობა იმის საუკეთესო საფუძველს იძლევა.

ეკონომიური განვითარების პირობები ინდივიდუალიზმს აძლიერებს და ოჯახის ფარგალიც ვიწროვდება. ოჯახი შესდგება დედ-მამისა და შვილებისაგან და ეს უკანასკნელნიც სრულ წლოვანებათ გახდომისას ხშირად სტოვებენ დედ-მამას და საკუთარ ოჯახს ქმნიან.

ინდივიდუალიზმის განვითარება იწვევს აგრეთვე ოჯახის წევრთა შორის იურიდიულ კავშირის შესუსტებას. ოჯახს ახასიათებს მისი მეთაურის ბატონობა დანარჩენ წევრებზე — ცოლზე და შვილებზე. ეს ბატონობა სავსებით წააგავს აბსოლუტურ მონარქიაში თვითმპყრობელ მეფის ბატონობას. ძველ რომში

ოჯახის მამის (paterfamilias) ხელში იყო შვილის სიცოცხლე, მამას შეეძლო შვილის გაყიდვა; შვილის შეძენილი ქონება ხომ იმავე მამის ქონება იყო. ოჯახის მამას განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა აგრეთვე ცოლზე, რომელიც უფლებებით გათანასწორებული იყო შვილებთან, ის თითქოს იმათი დაი ყოფილიყო. ცოლი ვალდებული იყო ეცხოვრა ქმართან, თუ ვინმე ხელს შეუშლიდა ქმარს, ამ უკანასკნელს ნება ჰქონდა ეჩივლა და ცოლი უკან დაებრუნებია. ქმარიანი ქალი დღესაც არ არის გათანასწორებული მამაკაცთან არც ქონებრივად და არც პირადათ. ეს უთანასწორობა განსაკუთრებით ძლიერია საფრანგეთში. ყოფილ რუსეთის კანონმდებლობით, რომელიც ჩვენშიაც მოქმედებს, ქონებრივი თანასწორობა თითქმის უკლებლივ არის გატარებული. რაც შეეხება პირად უფლებას, ცოლი ვალდებული იყო ეცხოვრა ქმართან და ქმრის ნებადაურთიველად პასპორტსაც კი ვერ შიიღებდა.

რევოლიუციამ მოსპო ყოველგვარი შეზღუდვა, რომელიც სქესობრივ განსხვავებით იყო გამოწვეული და ჩვენი ქალიც იურიდიულათ სავსებით გათანასწორებულია მამაკაცთან. ვამბობთ იურიდიულათ, რადგან სინამდვილეში დედაკაცი ჯერ კიდევ მონაა ოჯახში, რაც აიხსნება მისი ეკონომიური მდგომარეობით.

რაც შეეხება დამოკიდებულებას მამასა და შვილებს შორის, ქონებრივ სფეროში ისინი გათანასწორებულნი არიან, პირადათ კი მამა ითვლება შვილების კანონიერ მეურვეთ, მზრუნველათ, სანამ ისინი სრულ წლოვანები გახდებოდნენ. სამაგიეროთ მასვე აწევს მოვალეობა როგორც შვილების, ისე ცოლის შენახვისა, თუ, რასაკვირველია, ამის შეძლება აქვს.

### მეურვეობა (აპკა) და მზრუნველობა.

ოჯახურ ურთიერთობის სფეროს ეკუთვნის მეურვეობა და მზრუნველობა. მცირე წლოვანი საჭიროებს ხელმძღვანელობას გზის ჩვენებას. ასეთს ხელმძღვანელობას უწევს მცირე წლოვანს მისი დედ-მამა, რომელნიც ითვლებიან ბუნებრივ მეურვეებათ.

როცა დედ-მამა იხოცება, სახელმწიფო ზრუნავს არ მოაკლდეს მცირეწლოვანებს პატრონობა, კანონი ხელოვნურად ქმნის დარღვეულ ოჯახის სამაგიეროს. ეს ხდება მეურვის და მზრუნველის დანიშვნით. მეურვე ენიშნება 17 წლამდე, ხოლო ჩვიდმეტ წელს ზევით 21 წლამდე მეურვეობა ისპობა და მის ადგილს იჭერს მზრუნველობა. მზრუნველის უფლებები უფრო ვიწროა, ვინემ მეურვის: მეურვე მოქმედებს. მეურვეობის ქვეშ მყოფ პირის მაგიერ, მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი თითონ მოქმედებს და მზრუნველი მას მხოლოდ დახმარებას უწევს თავისი რჩევით.

მეურვეს და მზრუნველის დანიშვნა რესპუბლიკის კანონებით მომრიგებელ მოსამართლეს აქვს მინდობილი.

### ქორწინება.

ოჯახის იურიდიული საფუძველია კავშირი მამაკაცსა და დედაკაცს შორის. ეს კავშირი უნდა იყოს მუდმივი—ამით განსხვავდება ქორწინება, ცოლქმრობა ქალის და კაცის უბრალო თანაცხოვრობისაგან. გარდა ამისა სავალდებულოა ერთგვარი დაკანონებული ფორმა—სულ ერთია სამოქალაქო იქნება ის, თუ საეკლესიო (ჯვრის წერა). ევროპაში გაბატონებულია სამოქალაქო ფორმა და ძალა არ აქვს საეკლესიოს. საფრანგეთში, მაგალითად, ჯვრის წერით არ შეიძლება ცოლქმრობა კანონიერი ვახდეს. კანონიერია სამოქალაქო ფორმა, რომლის შესრულების შემდეგ ახლად შეუღლებულებს, თუ სურთ, შეუძლიათ ჯვარიც დაიწერონ ეკლესიაში.

რუსეთის კანონმდებლობით, პირიქით, სავალდებულოა (ქრისტიანებისათვის), ქორწინების საეკლესიო ფორმა—ჯვრის წერა. დემოკრატიული თვალთახედვით სამოქალაქო ქორწინება, ჩვენში დღეს შესაძლებელია, მაგრამ ის ჯერ არ არის მოწყობილი.

ქორწინებისათვის საჭიროა ურთიერთი თანხმობა, ურომლისოთაც კავშირი ითვლება უკანონოთ, ფიზიკური სიმწიფე. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალულია.

### განქორწინება.

საქრისტიანო ეკლესია ქორწინებას თვლის საიდუმლოდ (тайнство). მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები ცოლქმრულ ურთიერთობას ადარებდა კავშირს ქრისტესა და ეკლესიას შორის. მათეს სახარებაში (5, 32) ქრისტე ამბობს: „ყოველმან, რომელმან განუტევეს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა. მან იმრუშა იგი“. ეს პრინციპი გატარებულია ყველა კანონმდებლობაში და ამით გაძნელებულია კანონიერად შეუღლებულების გაყრა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ალაგი აქვს მრუშებას, ე. ი. ცოლქმრული აღთქმის დარღვევას. ინგლისის კანონებით მრუშება ერთად ერთი საფუძველია განქორწინებისათვის. ჩვენში მომქმედ რუსეთის კანონით არის კიდევ ოთხი სხვა საბაბი: სასამართლოს მიერ ღირსების აყრა, ბერად შესვლა, უკვალოდ დაკარგვა და სქესობრივი უძლურება.

### მემკვიდრეობა.

მემკვიდრეობის ნორმები ეხებიან ადამიანის ქონების ბედს მისი სიკვდილის შემდეგ — სულ ერთია ფიზიკური იქნება ეს სიკვდილი, თუ სამოქალაქო (ბერად აღკვეცა, უფლებების აყრა).

სანამ არ განვითარდებოდა კერძო საკუთრება და ინდივიდუალულობა, მანამდე ქონების ბედიც არ იწვევდა რაიმე ზომების საჭიროებას: ქონება ითვლებოდა მთელი გვარის საკუთრებად.

თანამედროვე სამართალი ცდილობს მოაწესრიგოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონების ბედი. ამიტომ ის იღებს წინასწარ ზომებს დარჩენილ ქონების შესანახად. ამას ეწოდება მემკვიდრეობითი ქონების დაცვა.

### მემკვიდრეობა ანდერძის ძალით.

კანონი სრულს თავის უფლებას ანიჭებს მოქალაქეს სიცოცხლეშივე გადასწყვიტოს თავის ქონების ბედი. რუსეთის კანონით აკრძალულია მხოლოდ საგვარეულო მამულის გარეშე ებზე გადაცემა. იმ განკარგულებას, რომლითაც ადამიანი გადასწყ-

წავატს, თუ რა დანიშნულება უნდა მიეცეს მის ქონებას მისი სიკვდილის შემდეგ, ეწოდება ანდერძი. ანდერძისათვის დაწესებულია წერილობითი ფორმა—სულ ერთია ნოტარიული თუ შინაურული და ერთი რამ აუცილებელია: ანდერძის შემდგენი უნდა იყოს სრულს ჭკუაზე, რათა თავისუფლათ შეეძლოს თავისი ნებისყოფის გამოხატვა. ანდერძი მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სათანადო სასამართლოს. დამტკიცების შემდეგ ნაანდერძევ ქონების დაპატრონება შეუძლია შემკვიდრეს, მხოლოდ იმავე დროს ის ვალდებულია მოანდერძის ვალეზაც გადაიხადოს, თუ ასეთი აღმოჩნდა.

### კანონიერი მემკვიდრეობა.

თუ ვინიცობაა, ვინმემ ვერ მოასწრო ან არ მოისურვა ანდერძის დატოვება, იმ შემთხვევაში ქონებას დაეპატრონებიან კანონიერი მემკვიდრეები. კანონიერ მემკვიდრეებათ კი ითვლებიან სისხლით ნათესავები. ნათესავები არიან პირდაპირი და არა პირდაპირი. პირდაპირი ნათესავები: შვილი, მამა, პაპა. არა პირდაპირი: ძმა, ბიძა და სხვ. მემკვიდრეობაში დატულია ერთგვარი რიგი: ჯერ მიიღებენ მემკვიდრეობას პირდაპირი ნათესავები, შემდეგ არა პირდაპირი ნათესავები მათი ნათესაური სიახლოვის მიხედვით.

### წესი სამოქალაქო სამართლის წარმოებისა.

(სამოქალაქო პროცესი).

უფლებას დაცვა უნდა. კანონი მაშინ არის სასარგებლო, როცა მოქალაქეს საშვალეა აქვს გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება.

მთავრობა საერთოდ ამისთვის არის მოწოდებული. ამისთვის არსებობს პოლიცია ანუ, ჩვენებურათ, მილიცია. მაგრამ როგორც სისხლის სამართლის სფეროშია საქირო დანაშაულის და დამნაშავის მოქმედების დაფასება, ისე სამოქალაქო სფეროშიც საქიროა ცალკე ორგანო, რომელიც არსებულ კანონების მიხედვით განსაზღვრავს მოქალაქეთა შორის ატეხილ და-

ვას და თავის უკანასკნელ სიტყვას იტყვის, სავალდებულო განაჩენს გამოიტანს.

ასეთი ორგანოა კერძო ურთიერთობის სფეროში სსმ-ქალაქი სსსმართლო.

სამოქალაქო სასამართლო (აგრეთვე როგორც სისხლის) დაწესებულია კანონით.

რუსეთში უდიდესი რეფორმა სასამართლოსი მოხდა 1864 წელს, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ. მაგრამ რეფორმის შემოღების პირველ დღეებიდანვე დაიწყო რეაქცია და რეფორმის გაუკუღმართება. 1912 წ. ზოგიერთი ცვლილებები მოხდა.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ ჩვენი კურსის საზოგადო ნაწილში, საქართველოში დღეს მოქმედებს შემდეგი სახის სამოქალაქო სასამართლო: 1) მამრჩეკებელი მოსამართლენი და მათი ყრილობა; 2) ოლქის სსსმართლო; 3) სსმოსამართლო პალატა და 4) საქართველოს სენატის სსმ-ქალაქი დეპარტამენტი.

სენატი ერთია მთელი რესპუბლიკისათვის, ის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოა.

ერთია აგრეთვე სსმოსამართლო პალატა-სამოქალაქო დეპარტამენტით სამოქალაქო საქმეებისათვის.

საოლქო სასამართლო (სამოქალაქო განყოფილებით) მთელს რესპუბლიკაში არის სამი: თბილისის, ქუთაისის და სოხუმის.

ოლქის სასამართლო და პალატა არჩევენ შედარებით დიდ საქმეებს. მათ ეწოდება სსზოგადო სსსმართლო ადგილები. ოლქის სასამართლო პირველი საფეხურია დიდ საქმეებისათვის, ხოლო პალატა—მეორე საფეხური. მათი შემადგენლობა კოლეგიურია (სამ-სამი პირის მონაწილეობით). ოლქის სასამართლოს და პალატის წევრები შედარებით უფრო გამოცდილი პირებია და სამპირიანი კოლეგიაც უფრო უზრუნველ ჰყოფს მართლ-მსაჯულებას. მაგრამ ნაკლიც აქვთ: დაშორებულნი არიან მცხოვრებლებზე, რომელთაც სიშორის გამო საქმის წარმოება უძნელდებათ და ძვირათ უჯდებათ.

მამრჩეკებელი მოსამართლენი სამაგიეროთ ახლოს დგანან ხალხთან. ისინი არჩეულნი არიან მაზრებში სამაზრო ყრილობა-

ბების, ხოლო ქალაქებში—საბჭოების მიერ. მათი რიცხვი თუმცა საკმაოდ დიდია (თფილისში მაგალითად, 22, გორის მაზრაში 11, ოზურგეთის მაზრაში 6). მაგრამ სასოფლო სასამართლოების გაუქმების გამო, ეს რიცხვი მაინც არ არის საკმაოდ.

სამომრიგებლო სასამართლოს მეორე საფეხურია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა—თითო მაზრაზე თითო, თფილისისათვის კი შემოღებულია ცალკე თფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

დემოკრატიული წყობილებისათვის იდეალია ის, რომ ყველა საქმეებს მომრიგებელი მოსამართლენი არჩევენ, რაც დღეს მიუწოდამელია: ჩვენ კოტა გვყავს ამისთვის როგორც იურიდიულათ მომზადებული, ისე საზოგადოებრივათ განვითარებული პირები.

### სამართლის წარმოება.

სამოქალაქო სამართლის წარმოება უმთავრესად იმით განსხვავდება სისხლის სამართლის წარმოებისაგან, რომ ის ყოველთვის მხოლოდ დაინტერესებული პირის თაოსნობით იწყება. არც ერთი სამოქალაქო სასამართლო არ შეუდგება საქმის გარჩევას, თუ ამისთვის მას თხოვნით არ მიმართეს. ასეთს თხოვნას ეწოდება საჩივარი ანუ სარჩელი.

მხარეები. იმას, ვინც სამოქალაქო ინტერესის აღდგენას ითხოვს სასამართლოსაგან, ეწოდება მომჩივანი, ხოლო იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული საჩივარი — მოპასუხე. ამ ორ მხარეს პროცესში — მომჩივან-მოპასუხეს თანასწორი უფლებები აქვს. ჩვენი სამოქალაქო სამართლის წარმოებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე საჯარო, შეჯიბრებითი წესი: მოსამართლე ვალდებულია დაეყრდნოს მხოლოდ იმ საბუთებს და მოსაზრებებს, რომელსაც მხარეები მოიყვანენ და არ შეუძლია საკუთარი ინიციატივა გამოიჩინოს. ეს აიხსნება კანონმდებლის სურვილით, რომ სასამართლომ მიდგომილობა არ გამოიჩინოს.

### განაჩენის ძალაში შესვლა. გადასინჯვა.

სასამართლოს განაჩენი რაკი ის ძალაში შევა ყველასთვის სავალდებულოა სწორეთ ისე, როგორც კანონი. ამიტომ შემოდებულია განაჩენის გადასინჯვა: სასამართლოს პირველი საფეხურის განაჩენი ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დაინტერესებული პირი, პროცესის მონაწილე, მას არ გაასაჩივრებს მეორე საფეხურის სასამართლოში. მეორე საფეხურის ანუ ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებული განაჩენი გასაჩივრებიდან თითქოს აღარ არსებობს: მეორე ინსტანციას შეუძლია მისი გაუქმება და სულ სხვა განაჩენის გამოტანა. მეორე ინსტანციის განაჩენი კი ძალაში შესულათ ითვლება, თუმცა მისი გაუქმებაც შეიძლება საკასაციო წესით, რომელ გაუქმების შემდეგ მეორე ინსტანციის სასამართლო ხელახლა არჩევს საქმეს.

### აპელაცია და კასაცია.

აპელაცია ეწოდება პირველი ინსტანციის განაჩენის მეორეში გასაჩივრებას. სააპელაციო სასამართლო არსებითად არჩევს მასთან შესულ საქმეს და მხედველობაში მიიღებს როგორც პირველი ინსტანციის განკარგულებაში არსებულს, ისე ახალს საბუთებს. სააპელაციო სასამართლოს მოვალეობას ასრულებს; მომრიგებელ მოსამართლის განაჩენისათვის—მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, ხოლო ოლქის სასამართლოს განაჩენისათვის—სამოსამართლო პალატა.

მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის და სამოსამართლო პალატის განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სენატის სამოქალაქო განყოფილებაში საკასაციო წესით. კასაცია ეწოდება ისეთს საჩივარს, რომელიც ეყრდნობა სასამართლოს მიერ არსებულ კანონის მნიშვნელოვან დარღვევას. თუ სენატი გაიზიარებს კასატორის დებულებებს, ე. ი. თუ დარწმუნდება, რომ სასამართლოს საქმის გარჩევის დროს დაურღვევია კანონი, რის გამო საექვო ხდება თითონ განაჩენის საფუძვლიანობა, ამ შემთხვევაში სენატი განაჩენს გააუქმებს და საქმეს დაუბრუ-

ნებს იმავ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია საქმე ხელახლა გაარჩიოს სხვა შემადგენლობით.

### განაჩენის სისრულეში მოყვანა.

სისხლის სამართლის საქმეზე ძალაში შესული განაჩენი თითონ მთავრობას მოყავს აღსრულებაში, რასაც ყურს უგდებს სასამართლოს პროკურორი.

სამოქალაქო საქმის თაობაზე გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა კი დამოკიდებულია თითონ იმ პირზე, ვის სასარგებლოთაც გამოტანილია განაჩენი. აღნიშნულ პირს თუ სურს განაჩენის სისრულეში მოყვანა, ამისთვის ის მიიღებს აღმასრულებელ ფურცელს, რომელსაც წარუდგენს სასამართლოს ბაქაუდს.

ამ უკანასკნელის მოთხოვნით როგორც მილიცია, ისე სამხედრო ძალა ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს მას განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ.

### ბ ა უ ჯ ე ტ ი .

სიტყვა „ბიუჯეტი“ პოპულიარული გახდა. იმას სხვა და სხვა აზრით ხმარობენ, მაგრამ, ჩვეულებრივით, იმაში გულისხმობენ რომელიმე პირის ან დაწესებულების შემოსავლისა და ხარჯების აღრიცხვას.

განსაზღვრული აზრით იხმარება „სახელმწიფო ბიუჯეტი“: ასე ეწოდება სათანადო ორგანოს იურიდიულ აქტს, რომელიც შეიცავს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის წინასწარ დადასტურებას სააღრიცხო დროსთვის (ჩვეულებრივით ერთი წლისთვის).

ბიუჯეტს ისე აღგენენ, რომ შემოსავალი მხოლოდ ფარავდეს გასავალს. ეს იმიტომ, რომ ზედ-მეტი შემოსავალი ნიშნავს ხალხისთვის დიდ გადასახადს, სამძიმო ტვირთს. ამას გარდა, ხშირად მთავრობა ახერხებს და ბოროტად იყენებს თავისუფალ თანხებს (მაგალითად, იწყებს ავანტიურისტულ და ხალხისთვის მახარალებელ ომებს).

ბიუჯეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ის აწესრიგებს სახელმწიფოს საარსებო სახსარს; უკანასკნელის არეგ-დარევა კი სახელმწიფოს კრიტიკულ მდგომარეობას მოასწავებს. თუ არ იქნა სახსარი, მაშინ მოხელენი ვერ მიიღებენ ჯამაგირს და სამსახურში არ წავლენ; ჯარი დაიშლება და სხ., ერთი სიტყვით დაინგრევა სახელმწიფო. სახელმწიფოს სახსარს მოქალაქენი აძლევენ; ცხადია, რომ ისინიც ფრიად დაინტერესებულნი არიან იმისი რაოდენობით, მისი აკრეფისა და განაწილების წესით. საზოგადოებრივი კლასები და ჯგუფები ცდილობენ თითონ, რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადონ, სხვებს კი მეტი დააკისრონ, ხოლო ბიუჯეტის ნაყოფით თვით მეტი ისარგებლონ და სხვებს ნაკლები არგუნონ. ამით აიხსნება, რომ ბიუჯეტის ისტორია სხვა და სხვა სახელმწიფოებში ხშირათ რევოლიუციათა ისტორიაა.

საშუალო საუკუნოებში წოდებათა წარმომადგენლობის არსებობის უმთავრეს მიზანს ბიუჯეტის მოწესრიგების საქმე შეადგენდა. მეფეები მაშინ იწვევდნენ წოდებათა წარმომადგენლებს, როდესაც სახსარი სჭიროდათ. უკანასკნელნიც სარგებლობდნენ მდგომარეობით და იმ პირობით აძლევდნენ მეფეებს სახსარს, თუ ეს უკანასკნელი მათ სურვილებს აასრულებდა.

თვითმპყრობელი მეფეები თავის მოქმედებაში ანგარიშს არავის აძლევდნენ. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ბატონ-პატრონებიც ისინი იყვნენ, მხოლოდ ახალმა დრომ, თვითმპყრობელობათა დაცვამ და კონსტიტუციური წყობილების შემოღებამ ეს საქმე ისევ ხალხის წარმომადგენლებს ჩააბარა.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტით ბიუჯეტს პარლამენტი ამტკიცებს. სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველ-წლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლათ. ჩვენი საბიუჯეტო წელი იწყება 1 ივნისს და თავდება 31 მაისს.

### საერთაშორისო სამართალი.

როგორც სახელმწიფოს შიგნით არის საჭირო ერთგვარი ნორმები, რათა მოქალაქეთა ურთიერთობა წესიერათ მიმდინარეობდეს, ისე საჭიროა ურთიერთობის მოწესრიგება აგრეთვე ცალკე სახელმწიფოთა შორის.

ამ საქმეს ემსახურება საერთაშორისო ნორმები, რომელთა კრებული შეადგენს საერთაშორისო სამართალს.

საერთაშორისო სამართლის წყარო ორგვარია: ადრთი და ხელშეკრულობა.

ადრთა ეწოდება ისეთს მოქცევას, რომელიც ხშირად მეორდება ერთ და იმავე სახით და ამ გამეორებით ერთგვარ სავალდებულო სახეს იღებს, მაგალითად ომის დროს ტყვეებისადმი მოპყრობა.

ხელშეკრულებას უფრო მნიშვნელოვანია. როგორც კერძო ცხოვრებაში, ისე სახელმწიფოთა შორის შეიძლება დაიდოს ესა თუ ის ხელშეკრულობა, რომლის ასრულება ორივე მხარისათვის სავალდებულოა. ხელშეკრულობას ამტკიცებს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო: მეფე ან პარლამენტი (რეპუბლიკაში).

სინამდვილეში ხშირად ხდება ასეთი ხელშეკრულობის დარღვევა. მიზეზი ის არის, რომ არ არსებობს იძულებითი ორგანო, რომელსაც შეეძლოს დამრღვევის დასჯა.

ამ გარემოებას ბევრი საერთაშორისო სამართლის უარყოფამდე მიჰყავს: რა იურიდიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ნორმას, რომელიც საჭიროების დროს ვერ დაემყარება ძალას.

ეს მართალია.

მაგრამ ომის გამოცხადების შიში ხშირად აიძულებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს პატივისცემით მოექცეს მეზობელს.

მაშასადამე სახელმწიფო თითონ არის იძულებული დაიცოს თავის ინტერესები და მან თითონვე უნდა დასაჯოს მოძალადე. ამისთვის მას შეუძლია მიმართოს როგორც საშუალებებს რეპრესიებს და ომს.

## ავტორებისაგან.

ეს სახელმძღვანელო აღნიშნულ დარგში პირველი ცდაა. ამიტომ ზოგი ნაკლი, განსაკუთრებით კი შემუშავებულ ტერმინოლოგიის უქონლობით გამოწვეული, ერთობ ბუნებრივია. ჩვენ მაინც ვეცადეთ დაგვეცო ტერმინების ხმარებაში ერთგვარობა.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანი იყო წიგნი საზოგადოთ მდებო მკითხველისთვისაც ყოფილიყო გამოსადეგი. ამით აიხსნება მისი კონსპექტიური ხასიათი, თუმცა უფიქრობთ, უფრო ვრცელი წიგნი არც მოწაფეებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი: გარდა იმისა, რომ მოწაფეს სრულიად არაერთგვაროვანი მომზადება არ აქვს მეცნიერების ამ დარგში, არც ტრადიციულა შექმნილი სამართლის მეცნიერების სწავლების საქმეში — ეს საგანი ჯერ-ჯერობით სხვათა შორის ისწავლება.

გაუგებრობის გასაფანტავად უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი: წიგნში, განსაკუთრებით იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, მოყვანილია ზოგი ისეთი ცნობა, რომელიც შეიძლება საპოლემიკოდ გადაიქცეს, — რაც პედაგოგიურის თვალსაზრისით შეუფერებელია.

მაგრამ ჩვენ უფიქრობთ, რომ ამას არ ექნება უარყოფითი მხარე, რადგან საგანი ისწავლება უფროს კლასში, სადაც მასწავლებლის დახმარებით მოწაფე ადვილად შესძლებს ჭეშმარიტი გზის პოვნას.

ასეთია წიგნის ის ნაკლი, რომელიც ჩვენ თითონ გვაქვს გათვალისწინებული.

### ს ა რ ჩ ე ვ ი .

შესავალი . . . . .	83- 3
სახელმწიფო სამართალი . . . . .	22
საქართველოს სახელმწიფო სამართალი . . . . .	49
სისხლის სამართალი . . . . .	71
სისხლის სამართლის პროცესი . . . . .	99
სამოქალაქო სამართალი . . . . .	105
„ პროცესი . . . . .	129
ბიუჯეტი, საერთაშორისო სამართალი . . . . .	133

89/60

### გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“.

#### გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო წიგნები ფერადი სურათებით.

- 1. ჩიტ-ბელურა, — ხალხური ზღაპარი  
სტ. ძიმისტრიშვილისა. . . . . ფასი 6 მ.
- 2. ორი ობოლი, — ირ. ევდოშვილისა . . . . . ფასი 7 მ.
- 3. პირველყოფილი კულტურა — გრ. ნათაძისა,  
მრავალი სურათებით . . . . . ფასი 25 მ.
- 4. ზღაპრები, — ჰანს ქრისტიან ანდერსენისა, —  
თარგმ. ილ. ნაკაშიძისა . . . . . ფასი 10 მ.
- 5. სამართლის მეცნიერება, — კირ. ნინიძისა და  
ა. ცისკარიძისა . . . . . ფასი 50 მ.

#### იბეჭდება და ჩქარა გამოვა.

- 1. ნატერის თვალი, — ლეო ქიაჩელისა.
- 2. იგავ-არაკები, — ალ. მირიანაშვილისა.
- 3. მითოლოგია, — ალ. მიქაბერიძისა.
- 4. ლეგენდა, — ელ. ოყეშკოსი, თარგ. ელ. ელიავასი.
- 5. მოთხრობები ცქვიტისა, ნინო ნაკაშიძისა, ლექსები  
გ. ქუჩიშვილისა და სხ.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გამომცემლობის იდეურ ხელმძღვანელთან ნინო ნაკაშიძესთან, — დავითის ქ., № 2, — ტელ. 7—51 და გამომცემლობის ტექნიკურ გამგესთან ალ. არაბიძესთან დამფუძნებელი კრების ქ., სახ. № 5, ეზოში, მალაზია 25. იქვე არის წიგნების საწყობი.

БУКВИНИСТИЧЕСКИЙ  
МАГАЗИН № 22  
1817/55  
80K

ფასი 50 მ.